სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

შრომები

PAPERS

სამეცნიერო ჟურნალი
SCIENTIFIC JOURNAL

გორი, 2022

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

შრომები

PAPERS

სამეცნიერო ჟურნალი
SCIENTIFIC JOURNAL

გორი, 2022

<u>სარედაქციო კოლეგია</u>

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი დავით რაზმაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე

პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელი
ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ჯაფარიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელი
ნიკოლოზ ესიტაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ქეთევან კვესელავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
თინათინ კროპაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

რედაქტორი/კორექტორი

ზურაბ მჭედლიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი

მთარგმნელი

იზა ჯანიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უცხო ენის მთარგმნელი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დავით სტეფანიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის კურსების მთავარი სპეციალისტი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2022

ISSN 2587-4837

Editorial Board

Head of the Editorial Board

Colonel Davit Razmadze — Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili — Head of the Scientific Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Colonel Zurab Zerekidze — Head of Baccalaureate of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Ioseb Japaridze — Head of MA Program of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nikoloz Esitashvili — Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Ketevan Kveselava — Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Tinatin Kropadze — Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Editor/Corrector

Zurab Mchedlishvili — Editor-in-Chief of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Translator

Iza Janiashvili — Foreign Language Translator of the LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Computer Designer

Davit Stepanishvili — Main Specialist in Training Courses of the Distance Learning Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2022

სარჩევი

ნახევარგამტარული სილიციუმის იონიმპლანტაციური ნეიტრონების დეტექტორი ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოებისათვის
ანზორ გულდამაშვილი, გურამ ბოკუჩავა, გიორგი არჩუაძე, იური ნარდაია, ავთანდილ სიჭინავა, რევაზ მელქაძე, ნოდარ გაფიშვილი ____ 9

სპეცდანიშნულების ლითონკერამიკული მასალების თმს-ელექტროგლინვისას დეფორმაციის კერაში სინთეზირებული მასალის დენადობის მოდელირებით მასათა დენადობის კვლევა და მის საფუძველზე სინთეზისა და გლინვის სიჩქარეთა კორექტირება
ზაქარია მელაშვილი, თეიმურაზ ნამიჩეიშვილი, ზურაბ ასლამაზაშვილი, გიორგი პარუნაშვილი, მიხეილ ჩიხრაძე, გიორგი ბასილაია ____ 18

განათლება კოვიდპანდემიის პერიოდში: გამოწვევები და პერსპექტივები
პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე, ნანა მდინარაძე, ქეთევან მდინარაძე ____ 26

სადაზღვევო ინტერესის არსი დაზღვევის ხელშეკრულებაში
თეა კვაბზირიძე ____ 32

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობის ზრდის ბოლო ათწლეულის სტატისტიკის ანალიზი
ირაკლი ლეონიძე, ხატია ლეონიძე ____ 39

მაღალტემპერატურული თერმოელექტრული გენერატორი SiGe შენადნობების ფუძეზე
კარლო ბარბაქაძე, გურამ ბოკუჩავა, ზურაბ ისაკაძე, აზა კუცია, ირაკლი ტაბატაძე, მერი ბარბაქაძე, მერი რეხვიაშვილი ____ 46

საგანგებო სამეულები, მათი სხდომები და ნაირსახეობები
ლერი სარაიდაროვი ____ 52

მომხმარებელთა უფლებების სამართლებრივი რეგულირება - წინ გადადგმული ნაბიჯი ევროინტეგრაციისკენ
ლიკა მორალიშვილი ____ 61

წამებისა (სსკ-ის 1441) და განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულების (სსკ-ის 335) გამიჯვნის პრობლემატიკა თეორიასა და ქართულ პრაქტიკაში
მარიამ რუბაშვილი ____ 67

სიცოცხლის დაზღვევის სოციალური და სამართლებრივი ასპექტები
ნინო სოზიაშვილი ____ 75

Content

The Ion Implanted Neutron Detector of Semiconducting Silicon for National Defence and Security
Anzor Guldamashvili, Guram Bokuchava, Giorgi Archuadze, Yuri Nardaia, Avtandil Sichinava, Revaz Melkadze, Nodar Gapiashvili ____ 11

Study of the Mass Flow by Modeling the Flow of the Synthesized Material in the Deformation Center during SHS-Electrical Rolling of Special Purpose Metal-Ceramic Materials and Relevant Adjustment of the Synthesis and Rolling Speeds
Zaqaria Melashvili, Teimuraz Namicheishvili, Zurab Aslamazashvili, Giorgi Parunashvili, Mikheil Chikhradze, Giorgi Basilaia ____ 19

Education in the Time of the Covid-19 Pandemic: Challenges and Opportunities
Colonel Zurab Zerekidze, Nana Mdinaradze, Ketevan Mdinaradze ____ 27

The Essence of the Insurable Interest in the Insurance Agreement
Tea Kvabziridze ____ 33

Statistical Analysis of the Increase in the Number of Families Receiving Subsistence Allowance over the Last Decade
Irakli Leonidze, Khatia Leonidze ____ 40

High Temperature Thermoelectric Generator Based on SiGe Alloys
Karlo Barbakadze, Guram Bokuchava, Zurab Isakadze, Aza Kutsia, Irakli Tabatadze, Meri Barbakadze, Meri Rekhviashvili ____ 47

The Soviet ad hoc Troikas (Triplets), Their Meetings and Varieties
Leri Saraidarov ____ 52

Regulation on Consumer Protection - A Step Forward to the EU Integration
Lika Moralishvili ____ 61

The Problem of Separation of Torture (1441 of the Criminal Code) and Coercion to Give an Explanation, Testimony or Conclusion (335 of the Criminal Code) in Theory and Georgian Practice
Mariam Rubashvili ____ 68

Social and Legal Aspects of Life Insurance
Nino Soziashvili ____ 76

ნახევარგამტარული სილიციუმის იონიმპლანტაციური ნეიტრონების დეტექტორი ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოებისათვის

ანზორ გულდამაშვილი
სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

გურამ ბოკუჩავა
სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
ფიზიკის აკადემიური დოქტორი

გიორგი არჩუაძე
სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
ფიზიკის აკადემიური დოქტორი

იური ნარდაია
სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ავთანდილ სიჭინავა
სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
ფიზიკის აკადემიური დოქტორი

რევაზ მელქაძე
მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
დირექტორის მოადგილე,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ნოდარ გაფიშვილი
სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

აბსტრაქტი

ნეიტრონების დეტექტირებისათვის შექმნილია და შესწავლილია სილიციუმის იონიმპლანტაციური p-n გადასასვლელიანი პლანარული დიოდი. დიოდის p-ფენა ერთდროულად ნეიტრონების კონვერტერს წარმოადგენს. 10B იონებით მონოკრისტალური Si-ის თანამიმდევრული იმპლანტაციით შექმნილია 1 და 0.25 სმ2 ფართობის დიოდების პარტია. p-n გადასასვლელზე 623 K ტემპერატურაზე დაფენილია 100 და 140 ნმ სისქის Ti-Au ომური კონტაქტები. შესწავლილია დიოდების ვოლტამპერული მახასიათებლები. 20 ვ უკუძაბვის დროს 1 სმ2 ფართობის დიოდების გაჟონვის დენებმა 11.7-12 მკა შეადგინა, ხოლო 0.25 სმ2 ფართობის დიოდებისთვის 8.44-9.55 მკა.

შემუშავებულია დეტექტორის ელექტრონული სისტემის პირველი პროტოტიპი, რომლის გამოყენებით განსაზღვრულია იმპულსური კვების ბლოკის ხმაურის დონე და მისი ფილტრაციის მეთოდები. ასევე ხმაურის ზემოქმედება დეტექტორის მგრძნობიარე ანალოგურ ნაწილზე და ანალოგური კვანძის ეკრანირების სხვადასხვა მეთოდი. პირველი პროტოტიპის ტესტირების შედეგების გათვალისწინებით შემუშავებულია დეტექტორის მოდიფიცირებული, ფუნქციური პროტოტიპი. მოდიფიცირებულია პრინციპული სქემა და შემუშავებულია ბეჭდური დაფები. შემუშავებულია სისტემის მართვის პროგრამის პირველი ვერსია.

საკვანძო სიტყვები:
სილიციუმი, იონური იმპლანტაცია, 10B, ნეიტრონი, დეტექტორი, კონვერტერი, ელექტრონული სისტემა, ფუნქციური პროტოტიპი

The Ion Implanted Neutron Detector of Semiconducting Silicon for National Defence and Security

Anzor Guldamashvili
Chief Research Scientist,
Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology,
Doctor of Sciences in Physics and Mathematics

Guram Bokuchava
Chief Research Scientist,
Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology,
PhD in Physics

Giorgi Archuadze
Chief Research Scientist,
Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology,
PhD in Physics

Yuri Nardaia
Chief Research Scientist,
Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology,
Doctor of Sciences in Physics and Mathematics

Avtandil Sichinava
Chief Research Scientist,
Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology,
PhD in Physics

Revaz Melkadze
Chief Research Scientist,
Deputy Director of Institute of Micro- and Nanoelectronics,
Candidate of Sciences in Physics and Mathematics

Nodar Gapiashvili
Chief Research Scientist,
Ilia Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology,
Candidate of Sciences in Physics and Mathematics

Abstract

The ion implanted silicon planar diode with a p-n junction for neutron detection has been formed and studied. At the same time, the p-layer of diode is the converter of neutrons. A batch of diodes with the area of 1 and 0.25 cm^2 is obtained (formed) by successive ^{10}B ion implantation of monocrystalline Si. Ti and Au ohmic contacts of 100 and 140 nm are deposited on the p-n junction at a temperature of 623 K. The current-voltage characteristics of diodes were studied. At a reverse voltage of 20 V, the current leakage is 11.7-12 μA for 1 cm^2 diodes and 8.44-9.55 μA for 0.25 cm^2 diodes, respectively.

The first prototype of the detector electronic system has been developed and by using this system, the noise level and noise filtration methods for the switching power supply as well as the noise impact on sensitive analog parts of the detector, and different shielding methods of analog node have been determined. Based on the first prototype test results, a modified, functional prototype of the detector has been developed. The principle scheme has been modified and the printed circuit boards have been developed. The first version of the system management program has been developed.

Keywords:
Silicon, ion implantation, ^{10}b, neutron, detector, converter, electronic system, functional prototype

შესავალი

ბირთვული უსაფრთხოებისათვის სხვადასხვა სახეობისა და დანიშნულების მაიონებელი გამოსხივების დეტექტორები გამოიყენება[1]. მათ შორის აღსანიშნავია ნეიტრონების ნახევარგამტარული დეტექტორები[2]. სენსორებში ნეიტრონების რეგისტრაცია შთანთქმის მაღალი კვეთის მქონე მასალებში ნეიტრონებით დასხივების დროს მიმდინარე ბირთვული რეაქციის პროდუქტებით ხორციელდება. ერთერთი ასეთი ნუკლიდის შემცველობის ნივთიერების კილიტა ნეიტრონების მშთანთქმელად - კონვერტერად გამოიყენება. სამომხმარებლო ბაზარზე არსებობს სხვადასხვა ტიპის დეტექტორები დამოუკიდებელი კონვერტერით[3]. თანამედროვე მოთხოვნები განაპირობებენ ახალი კლასის ნეიტრონების ნახევარგამტარული დეტექტორების შექმნის აუცილებლობას. ამდენად, ინოვაციური მეთოდებით გაუმჯობესებული ექსპლუატაციური მახასიათებლების დეტექტორების კლასის და მათი ფუნქციონალური შესაძლებლობების არეალის გაფართოება მეტად აქტუალურია. ნეიტრონების ნახევარგამტარული დეტექტორების შექმნისათვის სხვადასხვა ტექნოლოგიურ მეთოდებს შორის იონური იმპლანტაციის გამოყენება[4] პერსპექტიულ მეთოდად მიგვაჩნია. წონასწორული თერმოდინამიკის მოთხოვნებისაგან განსხვავებულ პირობებში იონური იმპლანტაციით შესაძლებელია ისეთი პარამეტრების დეტექტორების შექმნა, რომელთა განხორციელება სხვა მეთოდებით შეუძლებელია[5].

სტატიაში წარმოდგენილია ნახევარგამტარული სილიციუმის იონიმპლანტაციური ნეიტრონების მიკროპროცესორიანი დეტექტორის შექმნის პროცედურა. შემოთავაზებული დეტექტორი სილიციუმის p-n გადასასვლელიანი პლანარული დიოდია, რომლის აქცეპტორული გამტარობის ინვერსიული p - ფენა ერთდროულად ნეიტრონების კონვერტერს წარმოადგენს.

კონვერტერის შექმნა მაღალი ომური წინაღობის ელექტრონული გამტარობის მონოკრისტალური სილიციუმის ^{10}B იზოტოპის მაღალი ფლუენსის იონების იმპლანტაციით ხორციელდება. მაიონიზებელი ნაწილაკების რეგისტრაცია იზოტოპ ^{10}B-ის ნუკლიდებთან ნეიტრონების ურთიერთქმედებების შედეგად ბირთვული რეაქციის $^{10}B(n,\alpha)^{7}Li$ დაშლის პროდუქტების ჰელიუმისა ^{4}He (1471 კევ, 11777კევ) და ლითიუმის ^{7}Li (839 კევ, 1010 კევ) ნაწილაკების აღრიცხვით მიმდინარეობს. დეტექტორის და ელექტრონული სქემის დაპროექტება ხორციელდება სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. დამოუკიდებელი კონვერტერის და გამოსხივებისადმი არამგრძნობიარე ნაწილის არარსებობა გაზრდის დეტექტორის ნეიტრონების რეგისტრაციის ეფექტურობას და დეტექტორის საიმედოობას, გაამარტივებს მის წარმოებას, ექსპლუატაციას და შეამცირებს ღირებულებას.

წარმოდგენილი ნაშრომი წარმოადგენს სფტი-ში ავტორების მრავალწლიანი მუშაობის გაგრძელებას [6]. იგი შეესაბამება იონური იმპლანტაციის განვითარების თანამედროვე ეტაპსა და ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებს.

1. მასალები და მეთოდები

1.1. საწყისი მასალები

საწყის მასალად გამოყენებულია ჩოხრალსკის მეთოდით მიღებული მაღალომური და არაძირითადი მუხტის მატარებლების მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობის, <100> კრისტალოგრაფიული ორიენტაციის, 50.8 მმ დიამეტრისა და 500 მკმ სისქის n - ტიპის Si-ის ფირფიტები. მისი ორმხრივგაპრიალებული პარალელური ზედაპირების სიმქისე შეადგენს შესაბამისად Ra = 6.2 და 8.1 ნმ-ს, რომელიც აკმაყოფილებს იონური იმპლანტაციისა და იმპლანტირებული მასალების თვისებების კვლევის მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს.

1.2. მბომბავი ნაწილაკების რადიაციული მახასიათებლები

ნახევარგამტარული მასალების იონური იმპლანტაციის ტექნოლოგიის შერჩევისათვის, მათი ელექტროფიზიკური თვისებებისა და მისგან შექნილი დიოდების და დეტექტორების პარამეტრების ინტერპრეტაციისათვის გამოთვლილია სილიციუმის მბომბავი ნაწილაკების რადიაციული მახასიათებლები. მახასიათებლებად შერჩეულია სილიციუმის მბომბავი ^{10}B იონებისა და ბირთვული რეაქციის $^{10}B(n,\alpha)^{7}Li$ დაშლის პროდუქტების - ^{4}He და ^{7}Li ნაწილაკების განარბენებისა და წარმოქმნილი

1 Syed Naeem Ahmed. Physics and Engineering of Radiation Detection. Amsterdam, Elsevier, 2014.

2 Owens Alan. Semiconductor Radiation Detectors. Boca Raton London New York, Taylor & Francis Group, 2019.

3 Sallaska A.L., Hoedl S., Garcia A., Melconian D., Young A.R., Geltenbort P., Sjue S.K.L, Holley A.T.. Characterization of Thin-foil Ultracold Neutron Detectors. Nuclear Instruments and Methods in Physics Research A603 (2009): pp. 421–428.

4 Nastasi M., Mayer Y.W.. Ion Implantation and Synthesis of Materials. Berlin, Springer, 2006.

5 ORTEC-Catalog-Detectors-Section. ORTEC http://www.ortec-online.com. 801 South Illinois Ave., Oak Ridge,TN 37831-0895 U.S.A.

6 Vinogradova I., Gverdtsiteli I., Guldamashvili A., Golubkov V. Ion-doped Semiconductor Spectrometric Detector. (in Russ.). Pribory i Technika Experimenta, №2, (1972): pp.41-43.

წერტილოვანი რადიაციული დეფექტების სივრცული განაწილების პარამეტრები. პარამეტრების გამოთვლა განხორციელდა კომპიუტერზე SRIM-2013 და TRIM-2013 პროგრამებით[7].

დეტექტორის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად შეირჩა სილიციუმში ბორის იონების თანამიმ-დევრული იონური იმპლანტაციის პროცესი და ჩატარდა მისი მოდელირება (ნახ.1).



ნახ.1. TRIM-2013 პროგრამით მიღებული სილიციუმში 100, 65, 35 და 20 კევ ენერგიის თანამიმდევრული იმპლანტაციით ^{10}B იონების განარბენების განაწილების პროფილი.

ბორის იონების სილიციუმის ატომებთან ურთიერთქმედება განიხილებოდა იონ-ატომური ურთიერთქმედების ბინარულ მოდელში, წანაცვლებული სამიზნის ატომების სრული კასკადის მიახლოებაში. ზედაპირის 370 ნმ სისქის ფენაში მიიღება 2.5×10^{20} სმ$^{-3}$ კონცენტრაციის თანაბრად განაწილებული ^{10}B ატომები. აღსანიშნავია, რომ იონების გაფრქვევის კოეფიციენტი არ აღემატება 0.2 ატ/ იონ., ამიტომ სილიციუმის ზედაპირის მნიშვნელოვანი ეროზია მოსალოდნელი არ არის.

კომპიუტერული გათვლების ანალიზის შედეგად შეირჩა სილიციუმის სხვადასხვა ენერგიის ^{10}B იონებით თანამიმდევრული იონური იმპლანტაციის რეჟიმი E ენერგიისა და Φ ფლუენსებისათვის. იონების ენერგიებია: E=100-65-40-25-20 კევ, ფლუენსები შესაბამისად: $\Phi=1\cdot10^{16}$-$2.8\cdot10^{15}$-$4\cdot10^{15}$-$3.3\cdot10^{15}$-$3.1\cdot10^{15}$სმ$^{-2}$. იმპლანტაცია განხორციელდა დანადგარზე ВЕЗУВИЙ 3М, სადაც იონების წყაროში სამუშაო ნივთიერებად გამოყენებულია აირადი $^{10}BF_3$. შერჩეულია დენის სიმკვრივის მნიშვნელობა 10-15 მკა/სმ^2 - ის ფარგლებში, რაც შესაძლებლობას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ სამიზნე ნიმუშების გადახურება. პროცესის მსვლელობისას სამიზნის ტემპერატურა არ აღემატებოდა 330K-ს.

2.1. დეტექტორის ელექტრონული სისტემის განვითარება

შემუშავებული პერსონალური დეტექტორის ცალკეული კვანძებისა და მათი ერთმანეთზე ზემოქმედების შესწავლისათვის შეიქმნა დეტექტორის პირველი პროტოტიპი. მისი გამოყენებით შესწავ-ლილია დეტექტორის ანალოგური კვანძი და იმპულსური კვების ბლოკი. ნახ.2-ზე წარმოდგენილია დეტექტორის ბლოკ სქემა



ნახ.2. დეტექტორის ბლოკ სქემა: 1- დეტექტორი; 2- წინასწარი გამაძლიერებელი; 3-მაფორმირებელი გამაძლიერებელი; 4-კომპარატორი; 5-მიკროპროცესორული ბლოკი; 6-კლავიატურა; 7- თხევადკრისტალური დისპლეი; 8-წანაცვლების ძაბვის გენერატორი; 9- კვების ბლოკი ბატარეის მართვით; 10- ბატარეა;

პროტოტიპის გამოყენებით განსაზღვრულია იმპულსური კვების ბლოკის ხმაურის დონე და მისი ფილტრაციის მეთოდები, ხმაურის ზემოქმედება დეტექტორის მგრძნობიარე ანალოგურ ნაწილზე და ანალოგური კვანძის ეკრანირების სხვადასხვა მეთოდი[8]. ანალოგური კვანძი მოდელირებულია

7 Ziegler James F., Ziegler M.D., Biersack J.P. SRIM-The Stopping and Range of Ions in Matter. Nucl. Inst. Met. Phys. Res. B. 268(2010): pp.1818-1823.

8 Ott H.W. Noise Reduction Techniques in Electronic Systems (2nd edd.), New York, Wiley,1988.

LTSpice-ში[9]. ტესტირება ჩატარდა იმპულსების გენერატორისა და 39dB შეთანხმებული ატენუატორის საშუალებით ანალოგური კვანძის შესასვლელზე, სილიციუმში 1მევ-ის ექვივალენტური დენის იმ-პულსების მიწოდებით, რომელიც განხორციელდა იმპულსების გენერატორიდან ძაბვის იმპულსით 2.2 პფ ტევადობის კონდენსატორის გავლით. სილიციუმში 1მევ-ის ექვივალენტური მუხტი:

$$1\text{მევ (Si)} = (1\ \text{მევ} \times 1.6 \times 10^{-19}\ \text{ჯ} / 3.6\ \text{ევ}) = 0.044 \times 10^{-12}\ \text{ჯ}$$

აქედან გამოთვლილია შემავალი იმპულსის ამპლიტუდა:

$$V = Q / C = (0.44 \times 10^{-12}\ \text{ჯ}) / (2.2 \times 10^{-12}\ \text{ფ}) = 20\ \text{მ}$$

3. შედეგები

3.1. იონიმპლანტაციური დიოდური სტრუქტურების შექმნა-შესწავლა.

ჩატარებული პროცედურების შედეგად მიღებულია p-n სტრუქტურები, რომლის ინვერსიული p-ფენა ერთდროულად ნეიტრონების კონვერტერსაც წარმოადგენს.

152.2 მმ დიამეტრის სფეროზე მიღებული მიკროშლიფის დეკორირებით გაიზომა ინვერსიული ფენების სისქე. დადგენილმა p-n გადასასვლელის სიღრმემ შეადგინა 0.3 მკმ (მოწვამდე) და 0.35 მკმ (მოწვის შემდეგ).

თანამიმდევრული იონური იმპლანტაციით მიღებულ დიოდებზე დანადგარზე УВН-71П3 დაიფინა შესაბამისად 100 და 140 ნმ სისქის Ti და Au ომური კონტაქტების ფენები, ხოლო ნიმუშების უკანა, არაიმპლანტირებულ მხარეზე შეიქმნა იმავე სისქის Ti – Au-ის ომური კონტაქტები. ომური კონტაქტების შეცხობა განხორციელდა Heatpulse 21OT-02 დანადგარზე ფოტონური მოწვით 350 °C ტემპერატურაზე 12 წმ-ის განმავლობაში. შედეგად დამზადებულია 1 სმ^2 და 0.25 სმ^2 ფართობის პლანარული p-n გადა-სასვლელიანი დიოდების პარტია. Keithley 2401 ხელსაწყოზე შესწავლილია მიღებული დიოდების ვოლტამპერული მახასიათებლები. 20 ვ უკუძაბვის დროს დიოდების გაჟონვის დენებმა შესაბამისად შეადგინა 11.7-12 მკა 1 სმ^2 ფართობის დიოდებზე და 8.44-9.55 მკა 0.25 სმ^2 ფართობის დიოდებზე.

3.2. დეტექტორის ელექტრონული სისტემის ფუნქციური პროტოტიპის განვითარება

პირველი პროტოტიპის ტესტირების შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა დეტექტორის მოდიფიცირებული, ფუნქციური პროტოტიპი.

სისტემის ხმაურისადმი მგრძნობიარე ნაწილის განცალკევებისთვის და მისი ეფექტურად ეკრანი-რებისათვის სისტემა გაიყო ორ დამოუკიდებელ ნაწილად: ძირითადი ბლოკი და ანალოგური ბლოკი, რამაც დამატებით უზრუნველყო სისტემის მინიატურიზაცია. ძირითად ბლოკში თავმოყრილია: ბატარეა, ბატარეის დამმუხტავი, ბატარეის მუხტის განმსაზღვრელი სისტემები, იმპულსური კვების ბლოკები, მიკროპროცესორი, ინფორმაციის ინდიკაციისა და მონაცემთა შეყვანის სისტემები და ბლუთუზისა და USB საკომუნიკაციო მოდულები. ანალოგურ ბლოკში თავმოყრილია ნეიტრონების სენსორი, წინასწარი და მაფორმირებელი გამაძლიერებლები და ანალოგური სიგნალის დამუშავების შუალედური კვანძები.

მიღებული შედეგების ღირებულება და აქტუალობა მდგომარეობს მაიონებელი გამოსხივების დეტექტორებზე არსებულ მოთხოვნებსა და სერიული წარმოების შესაძლებლობაში. დეტექტორები გამოყენებული იქნება საჯარისო ნაწილებისა და სპეციალური დანიშნულების დანაყოფებში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის და ეროვნული უსაფრთხოების, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების, ბირთვული ტერორიზმისაგან თავდაცვის უზრუნველყოფისათვის. დეტექტორები განთავსდება საჰაერო, საზღვაო, რკინიგზის სადგურებსა და საზღვაო საბაჟოებზე. დეტექტორების გამოყენება შესა-ძლებელია გარემოს დაცვის, ბირთვული ენერგეტიკული დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფისათვის, ბირთვულ ტექნოლოგიებში, ბირთვულ ფიზიკაში, გეოლოგიაში, ქიმიაში, ბიო-ლოგიაში, მედიცინასა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სხვა დარგებში.

დასკვნა

1. გამოთვლილია Si-ის მბომბავი სხვადასხვა ენერგიის ^{10}B იონების, ბირთვული რეაქციის პროდუქტების ^{4}He და ^{7}Li ნაწილაკების რადიაციული მახასიათებლების განაწილების პარამეტრები. კომპიუტერული მოდელირება განხოციელებულია SRIM-2013 და TRIM-2013 პროგრამებით.

Goulding F.S. Pulse Shaping in Low-Noise Nuclear Amplifiers: A Physical Approach to Noise Analysis. Nucl. Instr. Meth. 100 (1972): pp.493–504

9 Van der Plas G., Gielen G., Sansen W. M. C. A Computer-aided Design and Synthesis Environment for Analog Integrated Circuits. Analog Circuits and Signal Processing, Boston: Kluwer Academic Publishers, 2002.

2. ჩატარდა თანამიმდევრული იონური იმპლანტაცია სხვადასხვა ენერგიისა (E) და ფლუენსის (Φ) ^{10}B იონებით შემდეგ პირობებში: E_1=100 კევ, $Φ_1$=1•10^{16} იონ•სმ$^{-2}$; 2) E_2=65 კევ, $Φ_2$=2.8•10^{15} იონ•სმ$^{-2}$; 3) E_3=40 კევ, $Φ_3$=4•10^{15} იონ•სმ$^{-2}$; 4) E_4=25 კევ, $Φ_4$=3.3•10^{15} იონ•სმ$^{-2}$; 5) E_5=20 კევ, $Φ_5$=3.1•10^{15} იონ•სმ$^{-2}$.
3. შექმნილია სილიციუმის იონიმპლანტაციური p-n გადასასვლელიანი პლანარული დიოდი. დიოდის p-ფენა ერთდროულად ნეიტრონების კონვერტერს წარმოადგენს.
4. დამუშავებულია ინვერსიული ფენების ელექტროფიზიკური პარამეტრების გაზომვის მეთოდიკა და შესწავლილია ნიმუშების კუთრი წინაღობა, მუხტის მატარებლების კონცენტრაცია და ძვრადობა.
5. ელექტრონული სისტემის პირველი პროტოტიპის ტესტირების შედეგების გათვალისწინებით შემუშავებულია დეტექტორის ფუნქციური პროტოტიპი. ფუნქციური პროტოტიპი აღჭურვილია სიგნალის დამუშავების სრული, ანალოგური და ციფრული კვანძებით, USB და Bluetooth საკომუნიკაციო მოდულებითა და ინფორმაციის აუდიო და ვიზუალური ინდიკაციის საშუალებებით.
6. შემუშავებული პორტატული დეტექტორის ელექტრონული სისტემის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის ნახევარგამტარული რადიაციის სენსორისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

- Syed Naeem Ahmed. Physics and Engineering of Radiation Detection. Amsterdam, Elsevier, 2014;
- Grupen Claus, Buvat Irène /Editors. Handbook of Particle Detection and Imaging. Berlin Heidelberg Springer-Verlag 2012;
- Knoll Glenn F.. Radiation Detection and Measurement. Fourth Edition. Hoboken, NJ, John Wiley & Sons, Inc. 2010;
- Owens Alan. Semiconductor Radiation Detectors. Boca Raton London New York, Taylor & Francis Group, 2019;
- Lutz Gerhard. Semiconductor Radiation Detectors. Device Physics. Berlin Heidelberg New York, Springer 2007;
- Sallaska A.L., Hoedl S., Garcia A., Melconian D., Young A.R., Geltenbort P., Sjue S.K.L, Holley A.T.. Characterization of Thin-foil Ultracold Neutron Detectors. Nuclear Instruments and Methods in Physics Research A603 (2009): pp. 421–428;
- McGregor D.S., Bellinger S.L., Fronk R.G., Henson L., Huddleston D., Ochs T., Shultis J.K., Sobering T.J., Taylor R.D., "Development of Compact High Efficiency Microstructured Semiconductor Neutron Detectors," Rad. Phys. Chem., 116(2015):pp.32-37;
- Nikolic R. J., Shao Q., Voss L. F., Conway A. M., Radev R., Wang T. F., Dar M., Deo N., Cheung C. L., Fabris L., Britton C. L. and Ericson M. N., "Si Pillar Structured Thermal Neutron Detectors: Fabrication Challenges and Performance Expectations." SPIE Micro. Nano. Tech. Sen. Sys. App.III., 803109 (2011);
- Nastasi M., Mayer Y.W.. Ion Implantation and Synthesis of Materials. Berlin, Springer, 2006;
- ORTEC-Catalog-Detectors-Section. ORTEC http://www.ortec-online.com. 801 South Illinois Ave., Oak Ridge,TN 37831-0895 U.S.A;
- Guldamashvili A., Bokuchava G., Archuadze G., Nardaia Iu., Nebieridze Ts., Sichinava A., Gapishvili N.. Development of Technological Conditions of Ion Implantation of Silicon by Boron for Ion Implanted Neutron Sensors. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, New Series,12, №1, (2018): pp. 54-60;
- Guldamashvili A., Bokuchava G., Archuadze G., Nardaya Yu., Nebieridze Ts., Sichinava A., Gapishvili N.. Ion Implanted Silicon Diode for Neutron Detection. GADEST 2017, Lopota, Georgia. Gettering and Defect Engineering in Semiconductor Technology XVII. Program & abstract booklet. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. 2017;
- Guldamashvili A., Bokuchava G., Nardaya Y., Nebieridze Ts., Sichinava A.. Ion-Implanted Semiconductor Neutron Sensor (IISNS). International Conference. Nuclear Radiation Nanosensors and Nanosensors Systems. Program & Abstracts.(6-9 March 2014 Tbilisi, Georgia). Tbilisi, Georgian Technical University,2014;
- Guldamashvili A.I., Bokuchava G.V., Kutelia R.N., Nebieridze Ts.M.. High Effective Ion-Implanted Semiconductor Neutron Detector. Bulletin Georgian-Academy Sciences, 172, №2(2005):pp.250-253;
- ISTC G-33, 1998. Design of the Processes for the Development of Ion-implanted Semiconductor Thermal Neutron Detectors. / Project manager: Guldamashvili A.I.;
- Guldamashvili A.I., Kutelia R.N., Sadagashvili M.I. Ion-Implantation Semiconductor Detector Thermal Neutrons. Georgian Symposium for Project Development & Conversion. (Tbilisi, 18. 05. 1995). International Science and Technology Centre. Collection Reports. Tbilisi,(1995): pp.139-142;
- Agrba T., Gverdtsiteli I., Guldamashvili A., Jhirnov V., Shaumian T. Ion-doped Semiconductor Neutron Counter with High Detection Efficiency(in Russ.). Pribory i Technika Experimenta, №3(1979): pp.81-83;
- Gverdtsiteli I., Guldamashvili A., Jhirnov V., Agrba T., Shaumian T. Ion-doped Semiconductor Coordinate Detector of Charged Particles. (in Russ.). Pribory i Technika Experimenta, №2 (1978): pp.45-47;
- Gverdtsiteli I., Guldamashvili A., Jhirnov V. High-resolution Ion-doped Silicon Spectrometric Detector of α-particles(in Russ.). Proceedings of the VI All-Union Conference on the Physics of the Interaction of Char-

ged Particles with Single Crystals. (Moscow, 26-28, 05, 1974). Moscow, MSU, 1975;
- Vinogradova I., Gverdtsiteli I., Guldamashvili A., Golubkov V. Ion-doped Semiconductor Spectrometric Detector. (in Russ.). Pribory i Technika Experimenta, №2, (1972): pp.41-43;
- Ziegler James F., Ziegler M.D., Biersack J.P. SRIM-The Stopping and Range of Ions in Matter. Nucl. Inst. Met. Phys. Res. B. 268(2010): pp.1818-1823;
- Ott H.W. Noise Reduction Techniques in Electronic Systems (2nd edd.), New York, Wiley,1988;
- Goulding F.S. Pulse Shaping in Low-Noise Nuclear Amplifiers: A Physical Approach to Noise Analysis. Nucl. Instr. Meth. 100 (1972): pp.493–504;
- Van der Plas G., Gielen G., Sansen W. M. C. A Computer-aided Design and Synthesis Environment for Analog Integrated Circuits. Analog Circuits and Signal Processing, Boston: Kluwer Academic Publishers, 2002.

სპეცდანიშნულების ლითონკერამიკული მასალების თმს[1]-ელექტროგლინვისას დეფორმაციის კერაში სინთეზირებული მასალის დენადობის მოდელირებით მასათა დენადობის კვლევა და მის საფუძველზე სინთეზისა და გლინვის სიჩქარეთა კორექტირება

ზაქარია მელაშვილი
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის
ლითონური მასალების წნევით დამუშავების
ლაბორატორიის უფროსი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
თეიმურაზ ნამიჩეიშვილი
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის
დირექტორის მრჩეველი სამეცნიერო დარგში,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ზურაბ ასლამაზაშვილი
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის თმს
ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
გიორგი პარუნაშვილი
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის
ლითონური მასალების წნევით დამუშავების
ლაბორატორიის მკვლევარი მთავარი სპეციალისტი
მიხეილ ჩიხრაძე
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის თმს
ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
გიორგი ბასილაია
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის
ლითონური მასალების წნევით დამუშავების ლაბორატორიის მკვლევარი სპეციალისტი

აბსტრაქტი

სამუშაოში განხილულია თმს-ელექტროგლინვით Ti-B და Ti-BN სისტემის ფუძეზე, ლითონკერამიკული მასალების პლასტიკური დეფორმაციისას, მასათა დინების კვლევა. თერმოდინამიკური გათვლებით განსაზღვრულია კაზმების ოპტიმალური შემადგენლობა და სინთეზზე მოქმედი პარამეტრები. მოყვანილია, დეფორმაციის კერაში, გარდამავალი პროცესისას, შესვლის კვეთიდან გამოსვლის კვეთამდე კაზმის სიმკვრივის განმსაზღვრელი კორექტირებული ემპირიული ფორმულა. გაანალიზებულია ე.წ."უარყოფითი" გამოჭიმვის მოვლენა და მის საფუძველზე განსაზღვრულია სინ-თეზირებული მასალის სიგრძის მატება სხვადასხვა მოჭიმვის რეჟიმებსა და კაზმის სიმკვრივის ცვლილებისას. დეფორმაციის კერამდე, სინთეზის წვის ფრონტის კვეთის მუდმივი დაშორების პირობიდან გამომდინარე (დაყოვნების დროის მუდმივობა), გათვლილია გლინვის სიჩქარის ცვლილება სინთეზის სხვადასხვა სიჩქარისას.

საკვანძო სიტყვები:
ჯავშანკერამიკა, სიმკვრივე, თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი, ელექტროგლინვა, კომპაქტირება, მასათა დენადობა, გლინვის სიჩქარე, გლინების ბრუნვათა რიცხვი

1 თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი

Study of the Mass Flow by Modeling the Flow of the Synthesized Material in the Deformation Center during SHS[2]-Electrical Rolling of Special Purpose Metal-Ceramic Materials and Relevant Adjustment of the Synthesis and Rolling Speeds

Zaqaria Melashvili
Head of Metal Materials Pressure Processing Laboratory,
Senior Research Scientist,
LEPL - Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute,
Doctor of Technical Science

Teimuraz Namicheishvili
Scientific Advisor of Director,
Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute,
Doctor of Technical Science

Zurab Aslamazashvili
Chief Research Scientist of SHS Laboratory,
Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute,
PhD in Technical Sciences

Giorgi Parunashvili
Researcher-Chief Specialist of Metal Materials Pressure Processing Laboratory, Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute

Mikheil Chikhradze
Senior Research Scientist of SHS Laboratory,
Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute,
PhD in Technical Sciences

Giorgi Basilaia
Research Specialist of Metal Materials Pressure Processing Laboratory,
Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute

Abstract

The study of mass flow during plastic deformation of metal-ceramic materials on the basis of Ti-B and Ti-BN system with SHS-electrical rolling is discussed in the work. Thermodynamic calculations determine the optimal composition of the cells and the parameters affecting the synthesis. A corrected empirical formula for determining the density of the case in the center of deformation, during the transition from the entry section to the exit section, is given. The so-called "negative" stretching event is analyzed and the length increase of the synthesized material is determined on the basis of different stretching regimes and changes in case density. Based on the condition of a constant distance of the intersection of the synthesis combustion front to the center of deformation (constant delay time), the change in the rolling speed at different synthesis speeds is calculated.

Keywords:
Armor ceramics, density, self-propagating high-temperature synthesis, electrical rolling, compaction, mass flow, rolling speed, number of rotations of rolls

2 Self-propagating high-temperature synthesis

შესავალი

თანამედროვე ტექნიკის განვითარება მოითხოვს მაღალი ხარისხის სპეცთვისებების მასალებს, რომელიც მოიცავს ერთდროულად სხვადასხვა აგრესიული გარემოსადმი წინააღმდეგობას (კოროზია-მედეგობა, ცვეთამედეგობა და სხვა), გამოირჩევიან მაღალი მექანიკური თვისებებით (დარტყმამედეგობა, სისალე, სიმტკიცე) და ავლენენ მდგრადობას მაღალი ტემპერატურებზე ექსპლუატაციისას (მხურვალ-მედეგობა, ხენჯმედეგობა). ასეთ მასალებს მიეკუთვნება ლითონკერემიკული და კერამიკული, ერთ-შრიანი და მრავალშრიანი, ფენოვანი, გრადიენტული თვისებების მქონე მასალები, რომელთა მიღების მეთოდები თმს წნეხვით, ლიტერატურაში ფართოდაა განხილული. ზემოთ მოყვანილი თვისებების, შე-უზღუდავი გრძივი და გაზრდილი განივი გაბარიტების ლითონკერამიკული და კერამიკული ფილების მიღების შესაძლებლობას იძლევა ფ.თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში დამუშავებული თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზისა (თმს) და ელექტროგლინვის შერწყმული პროცესი[1]. ამ პროცესის სირთულიდან გამომდინარე სინთეზირებული მასის ძვრითი დე-ფორმაციისა და სასურველი ხარისხის კომპაქტირებისათვის საჭიროა თხიერი ფაზა, ამიტომ ასეთი ფი-ლების მისაღებად შერჩეულია Ti-B და Ti-BN სისტემის ფუძის ნაერთები, რომლებიც აკმაყოფილებენ დაგეგმილ თვისებებს. ამ ნაერთების სინთეზისას წარმოიქმნება TiB, TiB_2, TiN და Ti_2N მარცვლები და ტიტანის თხიერი ფაზა. კომპაქტირებისას, ეს უკანასკნელი ასრულებს შემკვრელისა და ე.წ. საპოხის რო-ლს.

თმს პროცესის თერმოდინამიკური ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ წვის პროდუ-ქტების ტემპერატურა და შემადგენლობა, იმ დაშვებით, რომ პროცესი ადიაბატურია და სინთეზის პრო-დუქტებში დამყარებულია სრული ქიმიური წონასწორობა.

თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები

ჩატარებული თერმოდინამიკური გათვლებით შეირჩა საკაზმე ნარევის შემადგენლობა, კერძოდ:

Ti–B სისტემისათვის: Ti–75%, B-25%; Ti–80%, B-20%;

Ti–B-Cu სისტემისათვის: Ti-70%, B-26% ,Cu-4%; Ti-75%,

Ni-Ta-Ni-Cr-C სისტემისათვის: Ti-20%, Ta-51,9%, Ni-10%, Cr-18%, C-0,1%;

Ti-10%, Ta-61,9%, Ni-10%, Cr-18%, C-0,1%

თმს-ელექტროგლინვით ხარისხიანი ფილების მიღების პროცესზე (მაღალი:სისალე,კოროზიამედ ეგობა,ცვეთამედეგობა,ბალისტიკური დარტყმამედეგობა და დაბალი ფორიანობა) მოქმედებს შემდეგი პარამეტრები:

1. კაზმის დისპერსიულობა, გამოშრობის ხარისხი, აქტივიზაცია და არევის ხარისხი;
2. ცივად წინასწარი დაბრიკეტების ძალები;
3. კონტეინერში ბრიკეტების განლაგება;
4. კონტეინერის ზომები.

სინთეტიკური კომპოზიციური კერამიკული მასალის (სკკმ) სინთეზი ხორციელდება ტექნოლო-გიური სქემის მიხედვით, რომლის პირველი ეტაპი მოიცავს:

1. საწყისი კომპონენტების გამოშრობას;
2. კაზმის დოზირებას;
3. კომპონენტების შერევას;
4. კაზმის წინასწარი დაწნეხვას - ნიმუშის ფორმირებას;

დიდი განივი გაბარიტებისა და შეუზღუდავი სიგრძის ფილების მისაღებად შემუშავებული თმს-ელექტროგლინვის პროცესის ტექნოლოგიური სქემების დასამუშავებლად საჭიროა სინთეზირებული მასის დენადობის კანონზომიერების კვლევა დეფორმაციის კერაში.

კვლევებმა აჩვენა, რომ თმს -ელექტროგლინვის პროცესში ძირითადი ტექნოლოგიური პარა-მეტრები განიცდიან მოსალოდნელზე მეტ ცვლილებებს[2]. მაგალითად, თმს-ელექტროგლინვის პრო-ცესში, კომპაქტური ლითონების გლინვისაგან განსხვავებით, ბლანტი, ცხელი სინთეზირებული მა-სალის გამოჭიმვა ხორციელდება არა მარტო გლინვის მიმართულებით, არამედ საწინააღმდეგო მიმართულებითაც. ამ მოვლენის შესასწავლად, დეფორმაციის კერას მთელ სიგრძეზე წარმოსახვით ვყოფთ თანაბარი სიგრძის მონაკვეთებად. თითოეული უბნის წინა და უკანა კვეთები განიხილება

1 T.Namicheishvili, A.Tutberidze, Z.Melashvili, G.Tavadze, Z.Aslamazashvili, G.Oniashvili, G.Zakharov. Method for obtaining inorganic product from powder exothermic chasm, Saqpatenti. Patent P 6541 . LEPL Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute, 2016.

2 Melashvili Z, Tutberidze A.,Namicheishvili T. ,Aslamazashvili Z., Papava K.,Parunashvili G., Basilaia G. Investigation of the Fluidity of the Synthesized Charge in the Deformation Site on SHS-Electrical Rolling. Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 14, no. 4, 2020

როგორც დეფორმაციის კერაში ნამზადის შესვლისა და გამოსვლის კვეთები (სურ.1).



სურ.1. დეფორმაციის კერის წარმოსახვით დაყოფა თანაბარი სიგრძის a=b=c მონაკვეთებად

დეფორმაციის პროცესში, ყოველ უბანში, გახურებული ბლანტი პლასტიკური მასალა მიედინება სამი, კუმშვის ვერტიკალური, განივი და გრძივი მიმართულებით. ამასთან, გრძივი დეფორმაცია მიმდინარეობს როგორც გლინვის („დადებითი“ გამოჭიმვა), ისე მის საწინააღდეგო („უარყოფითი“ გამოჭიმვა) მიმართულებით. ეს მოვლენა შემდეგნაირად აიხსნება: ვინაიდან ბლანტი მასის გადინება ძირითადად ნაკლები წინააღმდეგობის მიმართულებით მიმდინარეობს, ჩვენს შემთხვევაში კი, ყოველი წინა უბნის ფორიანობა მეტია შემდგომი უბნის ფორიანობაზე, მასალის გარკვეული ნაწილი სწორედ ამ, ნაკლები წინააღმდეგობის მიმართულებით მიედინება.

დეფორმაციის კერის გასწვრივ საწყისი უბნიდან ბოლო უბნამდე ზოგადად მიმდინარეობს საკაზმე მასალის თანდათანობითი გამკვრივება, მცირდება ე.წ. კერძო Δh_i მოჭიმვა (უბანზე მოქმედი მოჭიმვა). მცირდება აგრეთვე უბნებს შორის მასალათა სიმკვრივის (ფორიანობის) განსხვავება, აქედან გამომდინარე, თანდათანობით იზრდემა „დადებითი“და მცირდება „უარყოფითი“ გამოჭიმვა. „უარყოფითი“ კერძო გამოჭიმვების ჯამი იწვევს ნაგლინის გარკვეულწილად „უარყოფით“ გამოჭიმვას. აქედან, თმს-ელექტროგლინვის პროცესში ნაგლინის გრძივი მიმართულების სრული ნამატი არის „დადებითი“ და „უარყოფითი“ გამოჭიმვების ჯამი.

თმს-ელექტროგლინვისას, დეფორმაციის კერაში, გარდამავალ პროცესში, შესვლის კვეთიდან გამოსვლის კვეთამდე, მოჭიმვების (დეფორმაციის) გავლენით გამკვრივების მნიშვნელობების დასადგენად გამოყენებულია ემპირიული კორექტირებული გამოსახულება:

$\rho_x=\rho_0+(\rho_1-\rho_0)(\varepsilon_x/\varepsilon)^{(1-0,01L_x)}$, (1)

სადაც: ρ_x- სიმკვრივეა საძიებელ კვეთში, გ/სმ^3 ; ρ_0 - საწყისი სიმკვრივეა, გ/სმ^3; ρ_1 - ნაგლინის სიმკვრივეა, გ/სმ^3; ε_x და ε - დეფორმაციის კერის საძიებელი კვეთისა და ჯამური ფარდობითი დეფორმაციებია, %; L_x - დეფორმაციის კერის სიგრძე ნამზადის შესვლის კვეთიდან საძიებო კვეთამდე, მმ.

(1) გამოსახულება გვაძლევს საშუალებას განვსაზღროთ დეფორმაციის კერის გასწვრივ გაგლინული მასალის ნებისმიერი კვეთის, ფარდობითი დეფორმაციისაგან დამოკიდებული საძიებელი სიმკვრივის მნიშვნელობები. ემპირიული გამოსახულების სანდოობა შემოწმებულია ექსპერიმენტებით Ti-B და Ti-BN სისტემის ფუძეზე ლითონკერამიკული მასალის თმს ელექტროგლინვისას ცვლადების ფართო დიაპაზონში. ფარდობითი ცდომილება შეადგინა 2-4%.

თმს-ელექტროგლინვისას, დამყარებულ პროცესში ნაგლინის ბოლო მონაკვეთი (საერთო სიგრძის დაახლოებით 10%) ირღვევა, ან წყდება ძირითად ტანს. ეს აიხსნება იმით, რომ „უარყოფითი“ გადინება ცვლის ნამზადის ელექტროგლინვის ტემპერატურულ რეჟიმს. „უარყოფითი“ გადინების მაღალ ტემპერატურის სინთეზირებილი კაზმი მასაგადატანით შეაღწევს რა შეტაცების კვეთის წინ არსებულ კაზმის წვის ზონაში, იწვევს მისი სიმკვრივის გარვეულწილად ზრდას და ახლომდებარე ჯერ აუნთებელი მასის ე.წ. “შეხურების ზონის” დამატებით გათბობას. ანალოგიურ ზეგავლენას ახდენს ფორებში დაგროვილი მაღალტემპერატურული აირი, რომელიც ფილტრაციული რეჟიმით ინტენსიურად ვრცელდება ნამზადის ამ აუნთებელ ნაწილებისკენ. ამით ადვილდება კაზმის შემდეგი ულუფის ანთების პროცესი, რის გამოც იზრდება წვის ფრონტის გადაადგილების სიჩქარე. წვის ფრონტი თანდათანობით ცილდება გლინებში შეტაცების კვეთს, ამავე დროს ნამზადის ბოლო გადაადგილდება შეტაცების კვეთისაკენ ე.ი. ისინი მოძრაობენ შემხვედრი მიმართულებებით და მათი შეხვედრის კვეთში წყდება სინთეზური წვა, ნამზადის ეს ბოლო მანაკვეთი აღარ ღებულობს დამატებით თბურ ენერგიას, იწყება მისი დაჩქარებული გაცივება და შეტაცების კვეთამდე მიღწევისას ასწრებს გაცივებას თმს ფაზური ჩამოყალიბების ტემპერატურაზე დაბლა, მასალა ხდება არადეფორმირებადი, მყიფე და შემდგომი დეფორმაცია იწვევს მასში ბზარების გაჩენას და ნამზადის რღვევასაც კი[3].

3 ზ.მელაშვილი, თ.ნამიჩეიშვილი, ზ.ასლამაზაშვილი, გ.პარუნაშვილი, გ.ზახაროვი, მ.ჩიხრაძე, კ.პაპავა. მაღალი ბალისტიკური ეფექტიანობის ლითონკერამიკული ფილების მიღების ტექნოლოგიის კვლევა-

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნაგლინის ბოლო მონაკვეთის რღვევის ძირითადი მიზეზი არის გლინვის სიჩქარისა და კაზმის წვის ფრონტის გადაადგილების სიჩქარეთა სინქრონიზაციის დარღვევა, კერძოდ, გლინვის სიჩქარის ჩამორჩენა.

კაზმის წვის ფრონტის გადაადგილების სიჩქარის გლინვის სიჩქარესთან სინქრონიზაციისათვის საჭირო ხდება გლინვის ჩქაროსნული რეჟიმის კორექტირება. გლინვის ისეთი სიჩქარის შერჩევა, რომ ნამზადის ბოლო მონაკვეთი შეტაცების კერას მიადგეს გახურებულ ბლანტ პლასტიკურ მდგომარეობაში.

დეფორმაციის კერის გარკვეულ კვეთებში საერთო ჯამურ მოჭიმვაზე დამოკიდებული კერძო Δhi მოჭიმვების განსაზღვრისათვის, დეფორმაციის კერის გეომეტრიდან გამომდინარე მიღებულია ფორ-მულა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გამკვრივების პროცესის ანალიზი:

$$\Delta hi = \frac{2i+1}{n2} \Delta h \qquad (2)$$

სადაც: n- პირობითად დაყოფილი უბნების რაოდენობაა; i = 0 ÷ (n-1) ; Δh – ჯამური მოჭიმვაა.

დეფორმაციის კერა არ წარმოადგენს დიდ არეს და სინთეზირებული მასის სტრუქტურული ჩამოყალიბება ხდება მცირე დროში, ამიტომ ბლანტ პლასტიკურ მდგომარეობაში მყოფი მასა განიცდის მრავალმხრივ გადაადგილებას. კომპაქტირების ხარისხის გაზრდის მიზნით, ვირჩევთ კალიბრში გლინვას, რომლის დროსაც განივი გადაადგილება შეზღუდულია.უნდა აღინიშნოს, რომ კომპაქტური ლითონების ცხლად გლინვისგან განსხვავებით, რომლის დროსაც მოქმედებს მოცულობის მუდმივობის კანონი, უგაზო წვისას თმ სინთეზირებული ფორიანი მასალების გლინვისას ადგილი აქვს მასათა მუდმივობის პირობებს. ე.ი. დეფორმაციის კერაში შესვლის კვეთსა და გამოსვლის კვეთებში მიწოდებული კაზმისა და ნაგლინი მასალის მასები თითქმის უცვლელია. მოცულობები მცირდება დეფორმაციის კერის გასწვრივ და კაზმის კომპაქტირების ხარჯზე იზრდება მასალის სიმკვრივე. Ti-B და Ti-BN სისტემის ფუძეზე TiB_{06}, TiB_2 TiBN კაზმების გლინვისათვის, სხვადასხვა საწყისი ნიმუშის და მისაღები მასალის გაბარიტული ზომებისათვის, აგრეთვე კაზმის სხვადასხვა სიმკვრივის მნიშვნელობებისათვის, დეფორმაციის კერის თითოეული უბნისათვის განისაზღვრა: კერძო მოჭიმვები, კვეთის მოცულობები, სიმკვრივეები, უბნების მიხედვით შესაბამისი გამკვრივებისათვის (კომპაქტირებისათვის) საჭირო და წარმოსახვით მიწოდებული სინთეზირებული კაზმის მასა და ამ მასებს შორის სხვაობა, რომელიც შემდგომ ნაწილდება ნაგლინის სიგრძეზე გამოჭიმვის სახით.

ცივად დაბრიკეტებული ρ_0=2,50 გ/სმ^3 სიმკვრივის, 24x210x350მმ^3-ის ზომის კონტეინერში მოთავ-სებული TiBN კაზმის, 66,7% ფარდობითი დეფორმაციისას გაგლინული მასალის თეორიული ანგარიშის მონაცემები მოყვანილია სურ.2.



სურ.2. გარდამავალი პროცესისას, წარმოსახვით მიწოდებული და დაკომპაქტირებული მასალის მასათა სხვაობა დეფორმაციის კერაში პირობითად დაყოფილი უბნების მიხედვით (1-პირველადი ანგარიშით, 2-კორექტირებული).

სურ.2-დან ჩანს, რომ გლინვის გარდამავალ პროცესში პირველიდან მეხუთე უბნამდე მიწოდებულ და დაკომპაქტირებული მასალის მასათა სხვაობა უარყოფითი მნიშვნელობისაა (მრუდი 1), ანუ დაკომპაქტირებული მასალის მასა აღემატება მიწოდებული მასალის მასას, რაც შეუძლებელია. ეს განპიროვნებულია იმით, რომ მასალის დეფორმაციის კერაში შესვლის მომენტიდან კალიბრის შევსე-ბამდე ხდება პლასტიკური მასის თავისუფალი განივი გადაადგილება. იზრდება უბნის მოცულობა და არსებული მოჭიმვა ვერ უზრუნველოფს შესაბამის სიმკვრივის ჩამოყალიბებას. ეს კი თავისთავად

ამცირებს კომპაქტირების ხარისხს. ამ დროს (1) გამოსახულებით გამოთვლილი სიმკვრივის მნიშვ-ნელობა აცდენილია რეალურს და საჭიროა მისი კორექტირება. ამ შემთხვევაში მიწოდებული და დაკომპაქტირებული მასები ტოლია და შესაბამისად მოსალოდნელია მასალის დაბალი სიმკვრივე. მეექვსე უბნიდან, ყუთოვანი კალიბრი შევსებულია და მისი გვერდები ზღუდავს მასის გვერდით გადაადგილებას, შემდგომი უბნების მოცულობები მცირდება და კომპაქტირების ხარისხიც იზრდება (მრუდი 2). ჭარბი მასა ნაკლები წინააღმდეგობის გამო გადაადგილდება მეტად ფორიანი და ნაკლები სიმკვრივის მქონე უკანა უბნებისაკენ და მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს დამყარებული პროცესისას. დამყარებულ პროცესში ჭარბი მასა თანდათანობით იზრდება და როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული აწვება რა შეთბობის უბანს, ზრდის სინთეზის ტალღის გადაადგილების სიჩქარეს და ანთების ზონა თან-დათანობით ცილდება დეფორმაციის კერაში შესვლის კვეთს, ანუ გვიანდება სინთეზირებული მასალის დეფორმაცია. თმს-ელექტროგლინვის პირობიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს სინთეზისა და გლინვის სიჩქარეთა ტოლობას, საჭიროა ანთების კვეთიდან დეფორმაციის კერაში შესვლის კვეთამდე, მასალის სიგრძის ზრდის შესაბამისად, გაზრდილი იქნას გლინვის სიჩქარე. სხვადასხვა რეჟიმებისათვის, ნამზადის სიგრძეზე, მასალის სიგრძის მატება მოცემულია ცხრ.1 და 2-ში.

ცხრ.1. TiBN მასალების თმს ელექტროგლინვისას სიგრძეთა ნამატი და სიმკვრვეები, კაზმის სხვადასხვა სიმკვრივისას და დეფორმაციის რეჟიმებისას, მოსალოდნელი ნაგლინი მასალის სიმკვრივე ρ_1 =5,2 გ/სმ³.

	კაზმის სიმკვრივე $_0$=2,10 გ/სმ³ ფორიანობა 59,6%				კაზმის სიმკვრივე $_0$=2,49გ/სმ ფორიანობა 52,1%				კაზმის სიმკვრივე $_0$=3,05 გ/სმ³ ფორიანობა 41,3%			
ε%	ρ_1 გ/სმ³	Δl სმ	ფორ П,%	ρ_1კორექტ გ/სმ³	ρ_1 გ/სმ³	ფორ П,%	Δl სმ	ρ_1კორექტ გ/სმ³	ρ_1 გ/სმ³	ფორ П,%	Δl სმ	ρ_1კორექ გ/სმ³
50	4,67	-5	10,2	4,01	4,73	9,1	0,2	-	4,80	7,7	+7,5	-
52,4	4,73	-4,9	9,1	4,21	4,78	8,1	1,5	-	4,84	6,9	+9,2	-
54,5	4,79	-2,8	7,9	4,41	4,83	7,1	2,9	-	4,88	6,2	+10,9	-
56,5	4,83	-1,6	7,1	4,61	4,87	6,4	4,3	-	4,91	5,6	+12,7	-
58,3	4,88	-0,5	6,2	4,81	4,91	5,6	5,7	-	4,94	5,0	+14,5	-
61,9	4,96	+2,1	4,6	-	4,98	4,2	8,8	-	5,00	3,9	+18,5	-
63,6	5,00	+3,6	3,9	-	5,01	3,7	10,7	-	5,02	3,5	+20,7	-
65,2	5,04	+5,0	3,8	-	5,04	3,8	12,5	-	5,05	2,9	+23,0	-
66,7	5,07	+6,5	2,5	-	5,07	2,5	14,2	-	5,07	2,5	+25,3	-

ცხრ.2. TiB მასალების თმს ელექტროგლინვისას სიგრძეთა ნამატი და სიმკვრივეები კაზმის სხვადასხვა სიმკვრივისას და დეფორმაციის რეჟიმებისას მოსალოდნელი ნაგლინი მასალის სიმკვრივე ρ_1 =4,52 გ/სმ³

	კაზმის სიმკვრივე ρ_0 =2,0 გ/სმ³ ფორიანობა 55,8%				კაზმის სიმკვრივე ρ_0=2,5გ/სმ ფორიანობა 44,7%				კაზმის სიმკვრივე $_0$=2,67 გ/სმ³ ფორიანობა 40,9%			
ε%	ρ_1 გ/სმ³	ფორ П,%	Δl სმ	ρ_1კორექ გ/სმ³	ρ_1 გ/სმ³	ფორ П,%	Δl სმ	ρ_1კორექ გ/სმ³	ρ_1 გ/სმ³	ფორ П,%	Δl სმ	ρ_1კორექ გ/სმ³
50	4,16	8,0	-2,9	3,82	4,22	6,6	+4,6	-	4,25	6,0	+7,0	-
52,4	4,21	6,9	-1,7	4,01	4,26	5,8	+6,2	-	4,28	5,3	+8,8	-
54,5	4,25	6,0	-0,4	4,20	4,30	4,9	+7,7	-	4,32	4,4	+10,4	-
56,5	4,29	5,1	+0,8	-	4,33	4,2	+9,3	-	4,35	3,8	+12,4	-
58,3	4,33	4,2	+2,0	-	4,36	3,5	+11,0	-	4,37	3,3	+14,0	-
61,9	4,40	2,7	+4,9	-	4,42	2,2	+14,6	-	4,42	2,2	+18,0	-
63,6	4,43	2,0	+6,5	-	4,44	1,8	+16,7	-	4,45	1,6	+20,1	-
65,2	4,46	1,3	+8,1	-	4,47	0,7	+18,7	-	4,47	0,7	+22,3	-
66,7	4,49	0,7	+9,6	-	4,49	0,7	+21,8	-	4,49	0,7	+24,9	-

ცხრ.1 და 2-დან ჩანს, რომ საწყისი სინთეზირებული მასალის დაბალი სიმკვრივისა (ρ_0=2,10 და ρ_0=2,0 გ/სმ³) და ფარდობითი დეფორმაციისას (ε=50-58,3% და ε=50-54,5%) ნაგლინის სიგრძე იკლებს. ეს ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული პარამეტრები ვერ უზრუნველყოფენ მოსალოდნელი სიმკვრივის მნიშვნელობებით კომპაქტირებას. ე.ი. გაგლინული მასალის სიმკვრივე მოსალოდნელზე დაბალია. რეალური სიმკვრივის განსაზღვრისათვის საჭიროა მათი კორექტირება. რეალური სიმკვრივის მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილის ბოლო გრაფაში. სხვა დანარჩენ შემთხვევაში აღინიშნება სიგრძის ნამატი და როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ეს ნამატი ნაწილდება სინთეზირებული, გასაგლინი მასალის სიგრძეზე.

ამრიგად, სინთეზირებული მასის ელექტროგლინვის პროცესისას საჭიროა ტექნოლოგიური პა-რამეტრების (გეომეტრიული, ჩქაროსნული და ძალოვანი) გათვალისწინებით, გლინვის სიჩქარის ცვლილება, რომ არ დაირღვეს სიჩქარეთა ბალანსი.

თმს-ელექტროგლინვისას აუცილებელი პირობაა თმს და ელექტროგლინვის სიჩქარეთა თანხვედრა, ანუ $V_{სინ}=V_{გლ}$,

გასაგლინი L_0 სიგრძის ნამზადის სინთეზირების და გლინვის დრო ტოლია

$t_{სინ}=L_0/V_{სინ}$ $t_{გლ}=L_0/V_{გლ}$.

ნამზადის სიგრძის მატება ხდება სინთეზის შემდეგ და რადგან $t_{სინ}=t_{გლ}=(L_o+\Delta L)/V_1$, ამიტომ ნამზადის ნამეტი სიგრძის, გლინვის სიჩქარე იქნება:

$V_1= (L_0+\Delta L)/t_{სინ}$. (3)

ქვემოთ მოყვანილია სხვადასხვა სინთეზის სიჩქარეზე, კორექტირებული გლინვის სიჩქარეები ε=58,3% ფარდობითი მოჭიმვაზე გლინვისას (ნახ.3):



სურ.3. კორექტირებული გლინვის სიჩქარე, სინთეზის სხვადასხვა სიჩქარისგან დამოკიდებულებით (ε=58,3%); 1- L=370მმ, 2- L=460მმ, 3- L=490მმ,

ცხრ.3-ში მოყვანილია გლინვის სიჩქარის ნამატი სინთეზის სხვადასხვა სიჩქარისგან დამოკიდებულებით (ε=58,3%).

ცხრ.3.გლინვის სიჩქარისა და გლინების ბრუნთა რიცხვის ნამატი სინთეზის სხვადასხვა სიჩქარისგან დამოკიდებულებით (ε=58,3%)

$\upsilon_{სინ}$, მმ/წმ	$n_{გლ}$, ბრ/წთ	Δ υ, მმ/წმ			Δ n, ბრ/წთ		
	წამზ. სიგრძე, L_0=350მმ	ნაგლინის სიგრძე, L=370მმ	ნაგლინის სიგრძე, L=460მმ	ნაგლინის სიგრძე, L=490მმ	ნაგლინის სიგრძე, L=370მმ	ნაგლინის სიგრძე, L=460მმ	ნაგლინის სიგრძე L=460მმ
6	0,48	0,35	1,89	2,4	0,03	0,15	0,19
8	0,64	0,45	2,50	3,19	0,04	0,20	0,26
10	0,80	0,57	3,14	4,00	0,05	0,25	0,32
12	0,96	0,67	3,75	4,78	0,05	0,30	0,38
14	1,12	0,80	4,40	5,60	0,06	0,35	0,45
16	1,28	0,89	5,01	6,37	0,07	0,40	0,51
18	1,44	1,07	5,71	7,26	0,08	0,46	0,58
20	1,60	1,14	6,29	8,00	0,09	0,50	0,64
22	1,76	1,27	6,93	8,82	0,10	0,57	0,71
24	1,92	1,34	7,51	9,56	0,11	0,60	0,77

თმს-ელექტროგლინვის სიჩქარეთა ბალანსის შენარჩუნების მიზნით, აუცილებელია ნამეტი გლინვის სიჩქარის გადანაწილება ნამზადის სიგრძეზე. რადგან უგაზო წვისას სინთეზის სიჩქარე მუდმივია, ამიტომ საჭიროა გლინვის სიჩქარე მისი საწყისი მნიშვნელობიდან თანაბრად გაიზარდოს.

შედეგები

თერმოდინამიკური გათვლებით შერჩეულია კაზმების შემადგენლობა , რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი მაღალი სისალისა და დარტყმამედეგი, კოროზიამედეგი, ცვეთამედეგი თვისებების ლითონ-კერამიკული ფილების მიღებას;

-ექსპერიმენტალური კვლევების საფუძველზე შემოთავაზებულია დეფორმაციის კერაში, გარდამავალ ეტაპზე სიმკვრივის განმსაზღვრელი ემპირიული გამოსახულება.

-თეორიული და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე, შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა სპეცდანიშნულების ლითონკერამიკული მასალების თმს-ელექტროგლინვისას, დეფორმაციის კერაში სინთეზირებული მასალის დენადობის მოდელირებით მასათა დენადობის კვლევა და მის საფუძველზე სინთეზისა და გლინვის სიჩქარეთა კორექტირება;

-დადგენილ იქნა სპეცდანიშნულების ლითონკერემიკული ფილების მიღების შემდეგი ტექნოლოგიური სქემა: კაზმების შერჩევა; კაზმების არევა ბურთულებიან წისქვილში 24 საათის განმავლობაში; ცივად დაბრიკეტება ძალვებით - 5-100ტ დიაპაზონში; თმს სიჩქარე და მისი ცვლილების შესაბამისი ნამზადის გადაადგილების გრძივი სიჩქარე და გლინების ბრუნვათა რიცხვი; კონტეინერი, ზომებით 25x126x210მმ 0,5 მმ სისქის თუნუქის ფურცლიდან

საგლინავი დგანის აწყობისათვის გამოყენებულ იქნა გლინებზე ყუთოვანი კალიბრება და გლინ-ვისათვის შეირჩა ფარდობითი მოჭიმვა 55-66%; გლინვის შემდეგ ხორციელდება ნაგლინის დატვირთვის ზემოქმედების ქვეშ მდორე გაციება.

გამოყენებული ლიტერატურა

- T.Namicheishvili, A.Tutberidze, Z.Melashvili, G.Tavadze, Z.Aslamazashvili, G.Oniashvili, G.Zakharov. Method for obtaining inorganic product from powder exothermic chasm, Saqpatenti. Patent P 6541 . LEPL Ferdinand Tavadze Metallurgy and Materials Science Institute, 2016;
- Melashvili Z, Tutberidze A.,Namicheishvili T. ,Aslamazashvili Z., Papava K.,Parunashvili G., Basilaia G. Investigation of the Fluidity of the Synthesized Charge in the Deformation Site on SHS-Electrical Rolling. Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 14, no. 4, 2020;
- ზ.მელაშვილი, თ.ნამიჩეიშვილი, ზ.ასლამაზაშვილი, გ.პარუნაშვილი, გ.ზახაროვი, მ.ჩიხრაძე, კ.პაპავა. მაღალი ბალისტიკური ეფექტიანობის ლითონკერამიკული ფილების მიღების ტექნოლოგიის კვლევა-დამუშავება. სსიპ-დავით აღმაშენებლის სახ. საქ. ეროვნ. თავდაცვის აკადემიის სამეცნ. პრაქტ. კონფერენციის ნაშრომთა კრებ. გორი, 2021, გვ. 61-68.

განათლება კოვიდპანდემიის პერიოდში: გამოწვევები და პერსპექტივები

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის ხელმძღვანელი

ნანა მდინარაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

ქეთევან მდინარაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის მენეჯმენტის პროფესორი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში პოსტკოვიდური პერიოდის საგანმანათლებლო სივრცის მიმოხილვას. პანდემიამ ახალი რეალობის წინაშე დააყენა მსოფლიო, რის გამოც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. ერთადერთი გზა უსაფრთხო განათლებისათვის ონლაინ სწავლება აღმოჩნდა. ყოველივე ეს კი უნივერსიტეტების მართვის სისტემაში მკვეთრ ცვლილებების მოითხოვდა. სასწავლო წლის დაწყებამდე უნივერსიტეტები არსებული ონლაინ სერვისების გაუმჯობესებას შეეცადნენ, რაც გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დისტანციური სწავლება დიდი ხანია დანერგილია და წარმატებითაც ხორციელდება. ჩვენს ქვეყანაში ამის გამოცდილება არ იყო, რამაც გარკვეული სიძნელეები წარმოშვა. გაჩნდა ელექტრონული სახელმძღვანელოების, ვირტუალური ლაბორატორიების შექმნის, პერსონალის გადამზადების აუცილებლობა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანი არის საგანმანათლებლო სისტემაში არსებული მდგომარეობის შესწავლა და შეფასება. დღეისათვის არსებულ კვლევებზე დაყრდნობით გავაანალიზეთ პანდემიის გავლენა განათლების სისტემის სხვადასხვა სექტორზე. წარმოვადგინეთ ჩვენი ხედვა და რეკომენდაციები უმაღლესი განათლების განვითარების შესახებ.

საკვანძო სიტყვები:
საგანმანათლებლო სისტემა, დისტანციური განათლება, პანდემია კოვიდ-19, ციფრული ტექნოლოგიები სწავლების პროცესში, უნივერსიტეტის მართვის ტრანსფორმაცია

Education in the Time of the Covid-19 Pandemic: Challenges and Opportunities

Colonel Zurab Zerekidze
Head of Baccalaureate,
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nana Mdinaradze
Quality Assurance Specialist,
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Candidate of Medical Sciences
Ketevan Mdinaradze
Professor of Construction Management, Department of Construction,
Georgian Technical University,
Candidate of Economic Sciences

Abstract

The article provides an overview of the educational space of the post-Covid period in Georgia. The pandemic has put the world in front of a new reality; thus, higher education institutions have faced serious challenges. Online learning turned out to be the only way for safe education. All this required drastic changes in the management system of universities. Before the beginning of the academic year, the universities attempted to improve the available online services that was associated with certain difficulties. It must be noted that in many countries of the world, distance learning has been introduced for too long already and is being successfully implemented. Our country has had no experience in this regard, so it caused certain difficulties. There was a need to create electronic textbooks, virtual laboratories, and train the staff.

Considering the above mentioned, our aim is to study and evaluate the current situation in the educational system. We have analyzed the impact of the pandemic on various sectors of the educational system based on the studies available today. We also presented our vision and recommendations on the improvement of higher education.

Keywords:
Educational system, online education, Covid-19 pandemic, digital technologies in teaching, university management transformation

შესავალი

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა კორონავირუსის პანდემია, რაც ეკონომიკის ყველა სფეროზე აისახა და მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. გამონაკლისი არ ყოფილა განათლების სფერო. მიმდინარე წლის 16 მარტს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვისა და სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშრებით.

ჯერ კიდევ პანდემიამდე მსოფლიოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აწყდებოდა განათლების, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების რეალიზების მნიშვნელოვან სირთულეს. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უმეტეს ქვეყანაში, ბავშვების დიდ რაოდენობა, 250 მილიონზე მეტი, არ დადიოდა სკოლაში, ხოლო 800 მილიონი ზრდასრული წერა-კითხვის უცოდინარია.

კაცობრიობის ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ეტაპი, რომლებიც საზოგადოებამ, თავის განვითარების გზაზე, თანმიმდევრულად გაიარა. დღეს თანამედროვე მსოფლიო ინფორმაციულ ეპოქაში ცხოვრობს. ჩამოყალიბებულია თვისობრივად ახალი ტიპის საზოგადოება, რომელსაც ინფორმაციულ საზოგადოებას უწოდებენ. დღეს ინტესნსიურად მიმდინარეობს საინფორმაციო პროცესების თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით წარმართვისა და ინფორმაციის მიღების უფლების რეალიზაციის ოპტიმალური პირობების შექმნის პროცესი, რაც მიზნად ისახავს მოსახლეობის ინფორმირებულობის საჭირო დონის უზრუნველყოფას. აღნიშნული მიზნის რეალიზების აუცილებლობა დღეს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო ცხადად დაგვანახა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ტექნოლოგიების ცოდნა სცდება ინფორმატიკის არეალს და მოითხოვს ინტეგრირებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ბიზნესი, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, კულტურა, ინჟინერია, სპორტი და სხვა. თუმცა, არსებობს სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა ყოველ მეოთხე ადამიანს არ აქვს.

საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვა ქვეყანაში ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროცესის მონაწილე მოსწავლე, სტუდენტი, აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი კარანტინის პერიოდში იმყოფება სახლში. ასეთ პირობებში განათლების სამინისტროს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს განათლების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფა.

ამ მიზნით, საქართველოს განათლების სამინისტრომ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესთავაზა დისტანციურ სასწავლო პროცესს მორგებული მაიკროსოფტის სხვადასხვა პროდუქტები და, ასევე, სხვა საკომუნიკაციო პლატფორმები, რომლებიც ვიდეო გაკვეთილების, ლექციების, მათი ჩაწერების, დავალებების მომზადების, თემების ჯგუფურად განხილვისა და სამუშაო ფაილების გაზიარების შესაძლებლობას იძლევა. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (**The Organisation for Economic Co-operation and Development – OECD**) 2020 წლის პანდემიით განათლების სფეროში შექმნილი გამოწვევების დასაძლევად გამოქვეყნებულ ანგარიშში საქართველოს მთავრობის მიერ განათლების მიღების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯები ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეაფასა[1].

ძირითადი ნაწილი

იუნესკოს შეფასებით 165 ქვეყანაში 1.5 მილიარდ ბავშვს და ახალგაზრდას (სკოლამდელი ასაკის ბავშვებიდან უნივერსიტეტის სტუდენტების ჩათვლით) არ ჰქონდა შესაძლებლობა დასწრებოდა გაკვეთილებს კოვიდის გამო[2]. პანდემიამ აიძულა გლობალური აკადემიური საზოგადოება მიემართა სწავლების ახალი მეთოდებისათის, როგორიც არის დისტანციური და on-line სწავლება. ეს არ აღმოჩნდა ადვილი არც სტუდენტებისათვის, არც პედაგოგებისთვის, რომელთაც მოუხდათ გამკლავება უარყოფით ემოციურ, ფიზიკურ და ეკონომიკურ შედეგებთან, რაც თან ახლდა ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან გაჩნდა ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულებები: „დისტანციური“, „ელექტრონული“, „ღია“, „ვირტუალური“. მათ გააჩნიათ ორიგინალური ორგანიზაციული სტრუქტურა სწავლების თავისებური მეთოდებითა და ფუნქციონირების ეკონომიკური მექანიზმებით.

სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ძირითად სახელმწიფოებრივ პრიორიტეტად ითვლება. ამ მხრივ გასათვალისწინებელია მოწინავე უცხო ქვეყნების გამოცდილება. თანამედროვე ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენება და მისი სასწავლო პროცესში დანერგვა თანამედროვეობის კანონზომიერი პროცესია. კომპიუტერული პროგრამები სტუდენტს უზრუნველყოფს ღრმა და ვრცელი ინფორმაციით, რომელიც გამდიდრებულია ეფექტური თვალსაჩინოებებით, რაც უცხოა სწავლების ტრადიციული მეთოდისათვის. დისტანციური სწავლება

1 განათლების სექტორის მიმოხილვა COVID-19 პანდემიის პირობებში/ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბ.,2021;

2 United Nations/Covid-19 and High Education, 2019;

წარმოადგენს ცოდნის მიღების პროგრესულ საშუალებას თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით[3].

მუდმივად მიმდინარეობს კვლევა იმის შესახებ, თუ სწავლების რომელი ფორმა ჯობია on-line თუ კლასიკური. მეცნიერების მიერ ასობით კვლევა მომზადდა, სადაც ნათქვამია, რომ on-line სწავლება უფრო ეფექტურია, ვიდრე კლასიკური და ასევე მრავალი კვლევა არსებობს, რომელიც ადასტურებს საპირისპიროს.

დღეს ექსპერტები თანხმდებიან იმ აზრზე, რომ on-line და off-line სწავლების შედარება არასწორია. ორივე ფორმატს აქვს თავისი უდავო უპირატესობები და ნაკლოვანებები. შედეგი დამოკიდებულია კონტექსტზე, სწავლების მიზნებზე, სტუდენტის პიროვნულ მახასიათებლებზე, საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების ხარისხზე და ა.შ.

დისტანციური განათლება ჰუმანისტური პრინციპით ხასიათდება, რომლის თანახმად არავინ არ უნდა იყოს მოკლებული განათლების მიღების უფლებას სიღარიბის, უნარშეზღუდულობის, სოციალურად დაუცველობის, ტერიტორიულად დაშორებული მდებარეობისა თუ დროის დეფიციტის გამო.

განათლების on-line ბაზარი ძალიან მრავალფეროვანია - ეს არის ღია on-line კურსები, ფართო პროფილის საგანმანათლებლო პლატფორმები, საგანმანათლებლო მობილური აპლიკაციები და კომპიუტერული თამაშები, ინსტრუმენტები ვიდეო კონფერენციებისთვის, ვირტუალური გაკვეთილები მასწავლებლებთან და მრავალი სხვა. რა არის უფრო ეფექტური? - კითხვის დასმა არასწორია. უფრო მნიშვნელოვანია იმის გარკვევა როგორ გაერთიანდეს სწავლების ფორმატები და ინსტრუმენტები საუკეთესო შედეგის მისაღწევად. შემთხევითი არ არის, რომ პანდემიის პირველი ტალღის შემდეგ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების უმრავლესობამ განაცხადა სწავლების შერეული მეთოდის დანერგვის შესახებ, რომლის დროსაც კლასიკურ სააუდიტორო მეცადინეობას ავსებს სამუშაოები ონლაინ პლატფორმაზე[4].

ეს გადაწყვეტილება გამოწვეული იყო არა მხოლოდ პანდემიის შესაძლო გაგრძელების შემთხვევაში შესაბამისად მომზადების აუცილებლობით, არამედ ობიექტური მიზეზებითაც. აშშ-ში გამოკითხული სტუდენტების 81 პროცენტი მიიჩნევს, რომ დამხმარე ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათ აკადემიურ მოსწრებას უნივერსიტეტებში.

უწყვეტი სწავლების ეპოქაში, როდესაც ჩვენ რეგულარულად გვჭირდება ახალი ცოდნისა და უნარების შეთვისება, on-line სწავლება ძალიან ეფექტურია. თუმცა ბევრი სპეციალობა მოითხოვს ფუნდამენტურ სწავლებას კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური ბაზების დახმარებით. ნაკლებად სავარაუდოა ვინმეს მოუნდეს მკურნალობა დისტანციურად მიღებული განათლების, თუნდაც ყველაზე თანამედროვე მულაჟებით გავლილი პრაქტიკის მქონე ექიმთან. „ როგორ შევამოწმოთ პულსი სხეულის სხვადასხვა ნაწილზე? ინტერნეტით ასეთი რამის ახსნა ბევრად რთულია“,- ამბობს კემბრიჯის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი. ამ მხრივ კლასიკურ განათლებას აქვს უდავო უპირატესობა - მონაწილეთა ცოცხალი კონტაქტი. თანამედროვე ტექნოლოგიები შორსაა იმისგან, რომ შექმნას პროცესში მონაწილეობის განცდა. თუმცა უფრო მოქნილი და ეფექტურია - თვითონ ირჩევ მეცადინეობების გრაფიკს და სასწავლო თემებს. განათლება ხელმისაწვდომია მოსახლეობის ყველა ფენისთვის, საკმარისია გქონდეს კომპიუტერი და ინტერნეტი. ტრადიციულ განათლებასთან შედარებით ნაკლებ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

რა თქმა უნდა, თუ ვსაუბრობთ ფუნდამენტურ განათლებაზე, როგორიცაა საბაკალავრო, სამაგისტრო, ან სახვა საგანმანათლებლო პროგრამებზე, დამსაქმებლის თვალში ტრადიციული დიპლომის ღირებულება მაინც შეუდარებლად მაღალია. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ დამსაქმებლების სულ უფრო დიდი რაოდენობა ცვლის დასაქმების აქამდე არსებულ პრაქტიკას. პრიორიტეტს ანიჭებენ სამუშაოს მაძიებლის უნარ-ჩვევებს და არა ფორმალურ დიპლომებსა და სერთიფიკატებს. ასე რომ, მნიშვნელოვანია ის თუ რა ვისწავლეთ და არა სად და როგორ.

საქართველოს განათლების სისტემაში დისტანციური სწავლების პრაქტიკა პანდემიამდე არასდროს გამოუყენებიათ და ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა ახალ გამოწვევას. 2020 წელს, შინამეურნეობების 38 პროცენტს არ ჰქონდა კომპიუტერი და 16 პროცენტს კი ინტერნეტთან წვდომა.

შინამეურნეობებს არ აქვთ საკმარისი კომპიუტერები, რომ ყველა მოსწავლისათვის განახორციელონ დისტანციური სწავლება. რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე მონაწილეების 60 პროცენტი იყენებს პერსონალურ კომპიუტერს სწავლისთვის, რაც შეეხება სხვა რესპოდენტებს, ისინი სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებებს იყენებენ. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია პერსონალური კომპიუტერი, ამიტომ ერთადერთი გამოსავალია სხვა ტექნიკური მოწყობილობების გამოყენება. კვლევებიდან ჩანს, რომ პროგრამა TEAMS-ით მასწავლებლებისა და მოსწავლეების 11პროცენტს თითქმის არ უსარგებლიათ.

2019/2020 სასწავლო წელს მოსწავლეთა თითქმის 1.4 პროცენტმა მიატოვა სკოლა. მათ შორის 42 პროცენტი დაწყებითი და საბაზო განათლების საფეხურის მოსწავლე იყო, მაშინ როცა, დაწყებითი და საბაზო განათლება საქართველოში სავალდებულოა. სკოლის მეთორმეტე კლასის დასკვნითი გამოცდების კრიტერიუმები დაბალი იყო საქართველოში. საჯარო სკოლას 96 პროცენტი ამთავრებს, რაც სამხრეთ კორეის მერე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. მაშინ როდესაც, PISA-ს ტესტირების ქულები და სხვა ხარისხის განმსაზღვრელი ინდიკატორები აჩვენებს, რომ სკოლის განათლების ხარისხი

3 მდინარაძე ქ., ციფრული ეკონომიკა, გამომემლობა „მერიდიანი“, თბ.2021

4 მდინარაძე ქ., ელექტრონული სწავლება - სწავლების ახალი ფორმა - იდეა, ტექნოლოგიები, პრობლემები და პერსპექტივები, თბილისის ღია უნივერსიტეტის შრომათა კრებული, თბ., 2016, გ.116-126

საქართველოში დაბალია.

პროფესიული პროგრამები სრულად ვერ პასუხობენ შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და აღნიშნული სასწავლებლების პოპულარობა ბოლო შვიდ წელში მნიშვნელოვნად შემცირდა.

უმაღლეს სასწავლებლებლებში სწავლის მიღების მსურველთა რაოდენობა მაღალია, მაგრამ უნივერსიტეტის მხოლოდ დიპლომი ვერ უზრუნველყოფს მაღალ-ანაზღაურებად სამუშაოს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ცნობებზე დაყრდნობით, საქართველოში 96,000 სტუდენტი ცხოვრობს სოციალურად დაუცველ ოჯახებში და შეფასებულია, რომ აღნიშნულიდან 78,000-ს არ აქვს წვდომა ინტერნეტთან ან კომპიუტერთან. Charte.ge-მ შეისწავლა სოციალურად დაუცველი ოჯახები და მათი ხელმისაწვდომობა დისტანციურ სწავლებაზე. კვლევების თანახმად „100 მლნ ლარამდეა საჭირო სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის მისაწოდებლად, რომ მათ დისტანციურ სწავლების პლატფორმასთან წვდომა ჰქონდეთ“[5].

დისტანციური სწავლების პროცესი უფრო რთულად მიმდინარეობს სოფლებში და რეგიონებში, მსხვილ ქალაქებთან შედარებით. სოფლებში შინამეურნეობების წილი, ვისაც არ ჰქონდათ კომპიუტერი და ინტერნეტი შესაბამისად 68 და 26 პროცენტი შეადგინა. თუმცა, იმავე პერიოდში, შინამეურნეობების წილმა ქალაქებში, ანალოგიური გამოწვევებით, შესაბამისად 24 და 9 პროცენტი შეადგინა. 473 სოფელი და საერთო ჯამში 2,000-მდე დასახლება ჯერ კიდევ ელოდება მაღალი სიჩქარის მქონე ინტერნეტს.

პანდემიამ გაზარდა სიღარიბის მაჩვენებელი საქართველოში. კვლევების თანახმად მოსახლეობის 21.3 პროცენტმა მიაღწია აბსოლუტურ სიღარიბეს 2020 წელს, რაც +0.8 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე.

საერთაშორისო განათლების ევროპული ასოციაციის ანგარიშში, რომელიც მომზადდა ევროპული განათლების სივრცის 38 ქვეყანაში მომუშავეთა გამოკითხვის პასუხებზე დაყრდნობით, გამოთქმულია შეშფოთება კრიზისის მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების შესახებ. მაგალითად, საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი, რომელიც სწავლობდა აშშ-დან და ჩინეთიდან სტუდენტთა მობილობის პროცესს დაასკვნა, რომ გრძელვადიან პერიოდში გართულდება სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა და თანამშრომლობა უნივერსიტეტებს შორის.

პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობის ზრდა და შემოსავლების შემცირება, რაც ასევე აისახება განათლებაზე. შემოსაველბის შემცირების შედეგად სტუდენტები ვეღარ ახერხებენ სწავლის დაფინანსებას, ხოლო დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს უნივერსიტეტის დასრულება უწევთ გაურკვეველ პირობებში.

COVID-19-ის პანდემიის გამო 2020 წლის მარტის თვიდან წლის ბოლომდე ყოველ მესამე ოჯახში შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა, აქედან გამომდინარე 53 პროცენტს შეუმცირდა ყოველთვიური შემოსავალი საქართველოში[6].

Unicef-ის 2020 წლის კვლევის თანახმად, მოსახლეობის თითქმის ნახევარს საშუალო თვიური ხელფასი შეუმცირდა 25 პროცენტზე მეტით.

საქართველოში უმუშევრობის წილი უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალაში მნიშვნელოვნად მცირდება. 2011 წელს, უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის თითქმის 24 პროცენტი იყო უმუშევარი, მაგრამ ეს რიცხვი 2019 წელს 11 პროცენტამდე შემცირდა, თუმცა, ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია ვიდრე OECD წევრებისა (6%) და ევროკავშირის ქვეყნების (6%) მაჩვენებელი, რაც უმაღლეს სასწავლებლებში განათლების დაბალ დონეზე მიუთითებს.

მნიშვნელოვნად აუცილებელია განათლების სისტემაზე გამოიყოს უფრო მეტი რესურსები, რაც უზრუნველყოფს მასწავლებლების პროფესიულ ზრდას, ყოველივე ეს დაეხმარება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას და გააუმჯობესებს მათი სწავლის ხარისხს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორიტეტულმა კვლევითმა ორგანიზაცია "worldatlas"-მა საქართველო მსოფლიოს ყველაზე ნაკლებად დაფინანსებული საგანმანათლებლო სისტემის მქონე ქვეყნების სიაში შეიყვანა. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ქვეყნის განათლების სისტემაზე ყველაზე მეტად ამ სფეროში ქვეყნის ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა და მისი მშპ-სთან შესაბამისობა მეტყველებს.

საქართველო საგანმანათლებლო ხარჯების სიმცირით მსოფლიოში 25-ე ადგილზეა. განათლების სისტემაში მშპ-ის 2,7 პროცენტიანი ხარჯით საქართველო სიერა ლეონეს, კამბოჯას, პერუს, ჩადისა და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკების გვერდით დგას.

ორგანიზაცია მოუწოდებს მთავრობებს, გაიაზრონ, რომ ძლიერი საზოგადოება განათლების სისტემაზე დგას და განათლების სისტემა ქვეყნის წარმატებული მომავლის საწინდარია.

worldatlas-ის ექსპერტების აზრით, საქართველომ და მსგავსმა ქვეყნებმა განათლებაში დახარჯული ფულის მოცულობა უნდა გაზარდონ.

---

5 Charte.ge არის საქველმოქმედო დისტანციური პლატფორმა, რომელიც 2017 წელს შეიქმნა, პროექტის ავტორია საგანმანათლებლო ფონდი „Educare Georgia".

6 საქსტატი, 2021;

დასკვნა

ახალი კორონავირუსული ინფექციის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით შეზღუდვების რეჟიმმა ითამაშა ინდიკატორის როლი, რომელმაც გამოავლინა და გაამძაფრა მსოფლიო განათლების სისტემაში არსებული პრობლემები და წინააღმდეგობები. საგანმანათლებლო სფეროს ყველა მონაწილისათვის ცხადია, რომ უნივერსიტეტის მართვის სისტემა საჭიროებს სერიოზულ ტრანსფორმაციას კრიზისული პერიოდის შედეგების გათვალისწინებით. უნდა შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და მიწოდების ტრადიციული მეთოდები. საჭიროა კოორდინირებული საქმიანობა არა მხოლოდ უნივერსიტეტების ადმინისტრაციებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, არამედ მათთან ერთად საფინანსო ინსტიტუტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. მთელი სისტემა უნდა გახდეს უფრო მოქნილი და თავისუფლად მოერგოს კრიზისულ მოვლენებს და ცვალებად გარემოს.

გამოყენებული ლიტერატურა

- განათლების სექტორის მიმოხილვა COVID-19 პანდემიის პირობებში/ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბ.,2021;
- მდინარაძე ქ., ელექტრონული სწავლება - სწავლების ახალი ფორმა - იდეა, ტექნოლოგიები, პრობლემები და პერსპექტივები, თბილისის ღია უნივერსიტეტის შრომათა კრებული, თბ., 2016, გ.116-126
- მდინარაძე ქ., ციფრული ეკონომიკა, გამომემლობა „მერიდიანი“, თბ.2021;
- ფიონა კროზიერი, ანკა გრეერი, ონლაინ და/ან შერეული სწავლისა და სწავლების შეფასების კრიტერიუმები და სახელმძღვანელო პრინციპები, თბ.2020;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, წლიური პუბლიკაცია „ბაცშვები და მოზარდები საქართველოში“, 2021;
- United Nations/Covid-19 and High Education, 2019;
- https://www.un.org/development/desa/dspd/wp-content/uploads/sites/22/2020/08/sg_policy_brief_covid-19_and_education_august_2020.pdf;
- https://data.unicef.org/topic/education/covid-19/;
- http://mes.gov.ge/mesgifs/1609239131_2020_Angarishi.pdf.

სადაზღვევო ინტერესის არსი დაზღვევის ხელშეკრულებაში

თეა კვაბზირიძე
სტუ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

დაზღვევა საზოგადოების სოციალური თუ ეკონომიკური ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. თანამედროვე ცხოვრების რითმის გათვალისწინებით მისი მნიშვნელობა ყოველდღიურად იზრდება, ფიზიკური თუ იურიდიული პირები საჭიროებენ გარანტიას, რომ ცალკეული შემთხვევის დადგომის შედეგად მათთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება. დაზღვევა წარმოადგენს რისკის განაწილების საშუალებას და მიზნად ისახავს, დაიცვას პირი მისთვის უარყოფითი მოვლენის საფუძველზე მიყენებული ზარალისაგან, აღადგინოს ზიანის გამომწვევ ქმედებამდე არსებული მდგომარეობა.

დაზღვევის ისტორია უძველესი დროიდან იღებს სათავეს, რაც გასაკვირი არაა, ვინაიდან ადამიანს ყოველთვის გააჩნდა სურვილი წინასწარ განეჭვრიტა მისთვის ზიანის მიმყენებელი მოვლენის დადგომის ალბათობა და ასეთ შემთხვევას მომზადებული შეხვედროდა. დაზღვევა საუკენეების განმავლობაში ყალიბდებოდა პირთა მოთხოვნილებების, პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემებისა და ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა ძირითადი მიზნის - რისკის შემცირების - გათვალისწინებით.

დღეის მდგომარეობით, დაზღვევა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სამართლებრივი ურთიერთობაა. სულ უფრო იზრდება ბაზარზე სადაზღვევო კომპანიათა რიცხვი, კონკურენცია მათ შორის და დაზღვევის მსურველ პირთა ოდენობა. ამიტომ, დაზღვევის თავისებურებების შესწავლა მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომში განხილულია სადაზღვევო ინტერესის ცნება და მისი მნიშვნელობა. სადაზღვევო ინტერესი წარმოადგენს დაზღვევის სავალდებულო ნიშანს, რომელიც არა მარტო განასხვავებს დაზღვევას სხვა სამართლებრივი ურთიერთობებისგან, არამედ წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის აუცილებელ წინაპირობას. შესაბამისად, თემაში განხილულია, სადაზღვევო ინტერესის არსებობის დანიშნულება, პრაქტიკაში მისი გამოხატულება, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის გავლენა დაზღვევის განვითარებაზე, მისი ურთიერთკავშირი დამზღვევის კეთილსინდისიერებასთან. დაზღვევის ინტერესის მნიშვნელობა წინასახელშეკრულებო ეტაპზე და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის.

დასკვნის სახით შეჯამებულია თემაში განხილული საკითხები, დაზღვევის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის საკითხი, სადაზღვევო ინტერესის, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების აუცილებელი ელემენტისა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის სავალდებულო წინაპირობის, მნიშვნელობა და სასამართლოს როლი მისი არსებობის დადგენისას.

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის განვითარება ერთი მხრივ მნიშვნელოვნად გაზრდის მხარეთა კეთილსინდისიერებას სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მეორე მხრივ ამაღლდება მომხმარებლის ნდობას სადაზღვევო ბაზრის მიმართ.

საკვანძო სიტყვები:
დაზღვევის ინტერესი, დაზღვევის ობიექტი, დოქტრინა

The Essence of the Insurable Interest in the Insurance Agreement

Tea Kvabziridze
Associate Professor of the Department of Law and International Relations,
GTU,
Doctor of Economic Sciences

Abstract

Insurance is an integral part of society's social and economic relations. Its importance is increasing day by day. Taking into account the rhythm of modern life, individuals and legal entities need a guarantee that the damage caused to them as a result of an individual incident will be compensated. Insurance is a means of risk distribution and aims to protect a person from losses caused to him based on a negative event, to restore the situation that existed before the action that caused the damage.

The history of insurance dates back to ancient times, which is not surprising, since people have always had the desire to anticipate the probability of an event causing harm to them and to be prepared for such an event. Insurance was formed throughout the ages, taking into account the needs of individuals, problems raised in practice, and the main goal of physical or legal entities - risk reduction.

As of today, insurance is one of the most relevant legal relationships. The number of insurance companies on the market, the competition between them and the number of people seeking insurance are increasing. Therefore, studying the features of insurance is a very important issue.

Based on the above, the concept of insurable interest and its meaning is discussed in the paper. Insurable interest is a mandatory sign of insurance, which not only distinguishes insurance from other legal relationships, but is also a necessary prerequisite for issuing insurance compensation. Therefore, the purpose of the existence of insurable interest, its expression in practice, the influence of the doctrine of insurable interest on the development of insurance, and its relationship with the good faith of the insurer are discussed in the topic. The value of the insurance interest at the pre-contractual stage and at the time of occurrence of the insured event.

As a conclusion, the issues discussed in the topic, the issue of perfecting the legal regulation of insurance, the importance of insurable interest as a necessary element of an insurance contract and a mandatory prerequisite for issuing insurance compensation, and the role of the court in determining its existence are summarized.

The development of the doctrine of insurable interest will significantly increase the good faith of the parties in contractual relations, as well as the consumer's confidence in the insurance market.

Keywords:
Insurance interest, object of insurance, doctrine

შესავალი

დაზღვევა არის რისკის მართვის ერთ-ერთი ფინანსური ინსრტუმენტი. დაზღვევის საჭიროება არ იარსებებდა, რომ არ არსებობდეს რისკი. დაზღვევის საშუალებით შესაძლებელია რისკის რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება. ბევრ ქვეყანაში დაზღვევის სისტემის სწორად ორგანიზება და რაციონალური მართვა უდიდეს პოტენციალს ქმნის წარმოებისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარებისათვის. სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში, მომეტებული რისკების პირობებში აუცილებელია ქვეყანაში ფუნქციონირებდეს სრულყოფილი სადაზღვევო ბაზარი, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს რეალური ეკონომიკის განვითარებას.

დაზღვევის ხელშეკრულება ალეატორული ბუნებისაა, რომლის შესრულებაც დამოკიდებულია რაიმე უცნობი მოვლენის განხორციელებაზე (სიტყვა ალეატორული წარმოსდგება ლათუნური სიტყვისგან "ალეა", რაც რისკს, შემთხვევას ნიშნავს), შესაბამისად დაზღვევის ხელშეკრულების საგანი იცავს მომავალში შესაძლო მოვლენების უარყოფითი შედეგებისაგან დაცულ სიკეთეს. სადაზღვევო შემთხვევა წარმოადგენს დაზღვევის რისკის რეალიზაციის შედეგს. დაზღვევის რისკი კი ის საფრთხეა, რომლისგანაც დაზღვეულია დამზღვევის ქონება, პიროვნება ან პასუხისმგებლობა[1]. ჩვენს გარშემო არსებული მრავალი ობიექტი ატარებს ხიფათის განხორციელების შესაძლებლობას. მათ თან სდევთ არასასურველი მოულოდნელობები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს, როგორც ფინანსური ზიანი, აგრეთვე ჯანმრთელობის გაუარესებაც.

სადაზღვევო დაცვის ეკონომიკური არსი ხელშეკრულების პირობების განუხრელ დაცვაში ვლინდება. დაზღვევის ხელშეკრულების განმარტებისას, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში დაზღვევის ხელშეკრულებისადმი არსებული ინტერესის ცნებაში მოიაზრება ერთი მხრივ, „დაზღვევის ობიექტი" როგორც დაზღვევის ინტერესი.[2] მეორე მხრივ, თავად დაზღვევის ხელშეკრულებისადმი მხარის ინტერესი.[3] ცალკეული დავის განხილვის პროცესში კი აღნიშნული ტერმინების არსის დაზუსტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

სტატიის მიზანს წარმოადგენს ლოგიკური და სისტემური მეთოდების გამოყენებით, გამოკვლეულ იქნეს სადაზღვევო ინტერესის მნიშვნელობა დაზღვევის ინსტიტუტსა და სადაზღვევო ხელშეკრულებაში.

ძირითადი ნაწილი

,,სადაზღვევო ინტერესის" დეფინიციას კანონმდებლობა არ იცნობს. ,,სადაზღვევო ინტერესი არის დაზღვეულის მატერიალური დაინტერესების სიდიდე დაზღვევის ობიექტში."[4] ,,სადაზღვევო ინტერესი არის ის სამართლებრივი ინტერესი, რომელიც დამზღვევს გააჩნია დაზღვევის ობიექტის მიმართ. პირადი დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო ინტერესი მიმართულია დამზღვევის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ხოლო ქონების დაზღვევისას კი - ქონების შენარჩუნებისაკენ.

დაზღვევის ინტერესი სადაზღვევო სამართალში არის სამართლებრივი ურთიერთკავშირი პიროვნებასა და ქონებრივ სიკეთეს შორის, რომლის დაზიანებას ეკონომიკურად უარყოფითი შედეგები მოჰყვება[5]. დაზღვევის ხელშეკრულება არ წარმოადგენს ერთადერთ ალეატორულ (სარისკო ტიპის) ხელშეკრულებას, ასეთი შეიძლება იყოს სანაძლეო და თამაშობა. მსგავსი კატეგორიის ხელშეკრულებისგან დაზღვევას განასხვავებს სადაზღვევო ინტერესი[6]. დაზღვევის ხელშეკრულების დადების განმაპირობებელი გარემოება დამზღვევის მხრიდან არის მომავალში ინტერესის მქონე სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შიში.

საკმაოდ აქტუალურია კითხვა, თუ რა შეიძლება იყოს სადაზღვევო ინტერესი, მისი გაიგივება ხშირად ხდება დაზღვევის ობიექტთან. სადაზღვევო ინტერესი არ გულისხმობს მხოლოდ უფლებას დაზღვევის ობიექტზე ან მის ნაწილზე, სადაზღვევო ინტერესი გამოხატავს მჭიდრო კავშირს დამზღვევსა და დაზღვევის ობიექტს შორის. დაზღვევის ობიექტის ღირებულება გამოხატულებას ჰპოვებს ფულად ერთეულში, სადაზღვევო ინტერესის ღირებულება კი შეიძლება ბევრად აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის ღირებულებას, რადგან სადაზღვევო ინტერესი მატერიალური და მორალური ინტერესების ერთობლიობაა.[7] მორალური რისკი განიმარტება, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების დადების შედ-

1 მარიამ ცისკაძე, "ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება", გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2001, 8.

2 ცისკაძე მ.., ნებაყოფლობითიდაზღვევისსამართლებრივირეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი,"თბ., 2001,8.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლო, №ას-719-674-2010, განჩინება, 27.06.2011.

4 გიგოლაშვილი გ., ,,სადაზღვევო საქმე", გამომცემლობა ,,კომერსანტი", თბილისი 2012, გვ. 63

5 MaNfred WaNdt, "VersicheruNgsrecht", 5. Auflage, Carl HeymaNNsverlag 2010, S.240

6 იქვე

7 ირემაშვილი ქ., სტატია: "სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის ანალიზი", "სამართლის ჟურნალი", N2, 2013, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის გამომცემლობა, გვ.58

ეგად დამზღვევის მხრიდან დაზღვევის ობიექტისადმი ინტერესის შემცირების ან მისი დაკარგვის საფრთხე.[8]

დაზღვევის ინტერესი არის არა მხოლოდ კონკრეტული საგნის მესაკუთრის ინტერესი ქონებასთან დაკავშირებით, არამედ აღნიშნული საგნისგან შემდგომი მოგების მიღების ინტერესიც, მაგალითად, საგნის სხვადასხვა ფორმით რეალიზაციის დროს. კანონმდებლობით დადგენილია, რომ ყველა სახის ინტერესი არ არის დაზღვევადი. არ შეიძლება სადაზღვევო ინტერესი იყოს ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც სამართლებრივად აკრძალულია, ასევე გარიგებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ზნეობის ნორმებს ან საჯარო წესრიგს[9], ასევე სისხლის სამართლებრივი ქმედების შედეგად მისაღები მოგება.

ზემო აღნიშნული მსჯელობის მიხედვით სადაზღვევო ინტერსესს წრამოადგენს მხოლოდ კანონით დაცული ინტერესი, რომლის შელახვასაც პირისთვის უარყოფითი შედეგები მოჰყვება. ასევე არ შეიძლება ის იყოს უკანონო გზით შემოსავლის მიღების სურვილით გამოხატული.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, დაზღვევის ობიექტს განიხილავენ როგორც დაზღვევის ინტერესს, რომლის განსაზღვრაც აუცილებელია დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად, ხოლო დაზღვევის ხელშეკრულების საგანია- მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. შესაძლო უარყოფითი მოვლენის დადგომის ფაქტი წარმოადგენს საერთო ელემენტს, რაც ახასიათებს როგორც "სადაზღვევო რისკს", ისე "დაზღვევის ინტერესს". ინტერესი არსებობს იქ, სადაც შესაძლოა გაჩნდეს ზიანი, ხოლო რისკი - ეს არის ზიანის დადგომის შესაძლებლობა[10]. ინტერესი და რისკი ერთმანეთთან იმდენად მჭიდრო კავშირშია, რომ შეუძლებელია მათი განცალკევებულად განხილვა. იქ, სადაც ინტერესია, ყოველთვის არსებობს რისკის საფთხე, და პირიქით, რაც სარისკოა, ყველგან არსებობს ინტერესი. შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვა ეფუძნება რისკის იდეას[11].

როდესაც საუბარია დაზღვევის ინტერესზე, აქცენტი ყოველთვის კეთდება ზიანზე, ხოლო როდესაც საუბარია სადაზღვევო რისკზე, აპელირება ხდება საფრთხეებზე, საშიშროებაზე. შესაბამისად, საშიშროების ხარისხზეა დამოკიდებული რისკის ხასიათი. მაგალითად, ქონების დაზიანების რისკი ხანძრის შემთხვევაში და ამ ქონების გადაზიდვისას სხვადასხვაა. ხოლო ქონების შენარჩუნების ინტერესისათვის არ აქვს მნიშვნელობა, რა ფაქტორებით იქნება განპირობებული ამ ქონებაზე ზიანის მიყენება. მაგალითად ჯანმრთელობის შენარჩუნების იურიდიული ინტერესისათვის არ აქვს მნიშვნელობა, რა გამოიწვევს ჯანმრთელობის გაუარესებას, ავადმყოფობა, ქუჩაში მომხარი ავარია თუ დანაშაული.[12]

შესაბამისად, სადაზღვევო რისკი და დაზღვევის ინტერესი ერთმანეთისგან განსხვავდება კონსტრუქციით და ურთიერთობის ფაქტობრივი მხარეებისათვის სხვადასხვა მიმართულებით პოულობს გამოხატულებას.

სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის თავდაპირველი მიზანია მორალური რისკის შემცირება. თუმცა, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა ამცირებს, მორალური რისკის დონეს დაზღვევის ხელშეკრულებაში, მაგრამ ბოლომდე არ გამორიცხავს. დოქტრინა ეფექტურია მაღალი მორალური რისკის შემცველი ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თვალსაზრისით, რითაც ის ერთგვარ დამცავ ფუნქციას ასრულებს (მესამე პირების უსაფრთხოებისა და საჯარო წესრიგის დაცვის თვალსაზრისით). შესაბამისად, სადაზღვევო ინტერესი და მორალური რისკი არ წარმოადგენენ თანაბარი მნიშვნელობის ცნებებს. სადაზღვევო ინტერესი განიხილება როგორც მორალური რისკის შემცირების ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი საშუალება.

მორალური საფრთხის შემცირება არის სადაზღვევო ინტერესის ცნების თავდაპირველი განზრახვა. თუმცა, სადაზღვევო დოქტრინის იდეა მცირდება, მაგრამ მთლიანად არ გამორიცხავს მორალურ საფრთხეს სადაზღვევო ხელშეკრულებაში. დოქტრინა ერთგვარ დამცავ როლს ასრულებს, რადგან ის ეფექტურია მნიშვნელოვანი მორალური საფრთხის შემცველი კონტრაქტების ბათილად ცნობაში (მესამე პირების უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით). შედეგად, სადაზღვევო ინტერესის და მორალური რისკის ცნებები არ არის თანაბრად მნიშვნელოვანი. სადაზღვევო ინტერესი განიხილება, როგორც მორალური რისკის შემცირების ერთ- ერთი, თუმცა არა ერთადერთი საშუალება.

მზღვეველს აქვს უნიკალური ურთიერთობა სადაზღვევო ინტერესთან, რის გამოც, ერთი მხრივ, ის აზღვევს ობიექტს დაზიანების ან/და განადგურების შემთხვევაში ამით მიღებული ზიანის შესამცირებლად, ხოლო მეორე მხრივ, დაინტერესებულია დაიცვას აღნიშნული ობიექტი მისი დაზიანების თავიდან აცილებით. ყველა ზემოაღნიშნული ადასტურებს სადაზღვევო ინტერესის მნიშვნელობას.

პრაქტიკაში უმეტესად პრობლემური ხდება ისეთი შემთხვევები, როდესაც კონკრეტული საგნის

8 Loshin, J. Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 14

9 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და ზნეობის ნორმებს.

10 Теория и практика страхования Учебное пособие", Москва 2003, Коллектив авторов, 2003 ISBN 5-86476-200-8 © «Анкил», 2003, с.50

11 См.: Агарков М. М. Очерки кредитного права. М., 1996. С. 52.

12 Vaughan E., Vaughan T., Fundamentals of Risk and Insurance, Seventh Edition, John Wiley & Sons, Inc, 1995, p.224

ბედით დაინტერესებულია რამდენიმე პიროვნებაა და მათი ინტერესი არის თანაბარი ხარისხის. მაგალითად, როდესაც გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობისას მყიდველი აზღვევს ნივთს, ამ შემთხვევაში სადაო ხდება, მყიდველმა თავისი ინტერესი დააზღვია თუ გამყიდველის. გერმანიის ფედერალური სასამართლოს მოსაზრებით, მყიდველის ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ დასაბუთებულია, მიუხედავად იმისა, რომ თანხის სრულად გადახდამდე, საგანი ჯერ ისევ გამყიდველის საკუთრებაში იმყოფება, რადგან გაყიდული ნივთის გადაცემით მყიდველზე გადადის მისი შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი. სადაზღვევო ინტერესთან დაკავშირებით პრობლემა წამოიჭრება მაშინ, როდესაც აღმოჩნდება, რომ მზღვეველმა არ იცოდა ხელშეკრულების დადების ეტაპზე სადაზღვევო ინტერესის არარსებობის შესახებ ან როდესაც ასეთი ინტერესი დაიკარგა ხელშეკრულების დადების შემდგომ[13]. ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სადაზღვევო ინტერესის დადგენის საკითხს. სასამართლომ უნდა განმარტოს, რაში გამოიხატება ხელშეკრულებით დადგენილი სამართლებრივი სიკეთისადმი დამზღვევის ინტერესი[14]. დაზღვევის მიზანი მდგომარეობს სამართლებრივი სიკეთის ეკონომიკურად უარყოფითი შედეგებისაგან დაცვაში, აღნიშნული ინტერესის მატარებელი სუბიექტია ის, ვინც ამ დაზღვეული ობიექტისგან სარგებელს მოელის. ეკონომიკური და სამართლებრივი დამოკიდებულება ინტერესის მფლობელსა და ობიექტს შორის დაზღვევის სახეების თავისებურებების გათვალისწინებით სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს[15]. შესაბამისად, ფორმალურად საკუთრების უფლებაზე დაზღვევის ინტერესის მიბმა არ არის გამართლებული. მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევისას სადაზღვევო ინტერესის შემადგენლობა წარმოდგენილია სამართლებრივი და ეკონომიკური ინტერესების ერთიანობით[16]. შესაბამისად, სადაზღვევო ინტერესის არსი თითოეულ კონკრეტულ საქმეზე ცალკეული სპეციფიკის, ფაქტობრივი გარემოებების და თავისებურებების გათვალისწინებით უნდა იქნეს განსაზღვრული.

განუზომლად დიდია სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის გავლენა დაზღვევის სამართლის განვითარებაზე. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, რომ არა სადაზღვევო ინტერესი, დაზღვევის ხელშეკრულება თამაშსა და სანაძლეოს დაემსგავსებოდა[17]. შედეგად, დამზღვევს მუდმივად ექნებოდა დაზღვევის ობიექტის განადგურების მოტივაცია. თამაში და სანაძლეო ითვალისწინებს მოგების მიღების შესაძლებლობას, დაზღვევის ხელშეკრულება კი სოციალურად სასარგებლო ფუნქციას ასრულებს. მისი მიზანია არა მოგების მიღება, არამედ შესაძლო ზიანისგან დაცვა[18]. ეკონომიკურ და მორალურ ინტერესს შორის მკვეთრი ზღვარის პოვნა საკმაოდ რთულია. გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სადაზღვევო ინტერესის მატარებელი სუბიექტის განსაზღვრის შესახებ საკითხი ძირითადად მესაკუთრის სასარგებლოდ წყდება და სხვა დაინტერესებული პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა დაცვის მქონე ინტერესის მატარებლად, როდესაც ხელშეკრულება გარკვეული სიცხადით უთითებს ასეთის არსებობის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 833-ე მუხლის მიხედვითაც, თუ დაზღვეული ქონება გასხვისდა, მაშინ დამზღვევის უფლებები და მოვალეობები გადადის შემძენზე.

დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას მხარეები თანხმდებიან დაზღვევის ინტერესების შესახებ. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულებაში აუცილებლად ზუსტად უნდა იკვეთებოდეს სადაზღვევო ინტერესი, დავის შემთხვევაში კი, სადაზღვევო ინტერესის შინაარსის დასადგენად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად უნდა განსაზღვროს მისი შემადგენლობა. თუ ხელშეკრულება არ შეიცავს სადაზღვევო ინტერესის შესახებ დათქმას, ან თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის აღარ არსებობს სადაზღვევო ინტერესი, ხელშეკრულება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით „ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე“.

სადაზღვევო ინტერესის არსებობა ნიშნავს, რომ დაზღვეული დაზღვევის ობიექტის დაზიანების, განადგურების, დაკარგვის (ქონების დაზღვევა), ან სხეულის დაზიანების/გარდაცვალების (პირადი დაზღვევა) ან მესამე პირისადმი მატერიალური პასუხისმგებლობის (პასუხისმგებლობის დაზღვევა) დადგომის შემთხვევაში მიიღებს ზარალს. სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დაზღვეულს სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისა და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროისთვის აუცილებლად უნდა ჰქონდეს სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ობიექტისადმი.[19]

სადაზღვევო ინტერესის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისას გასათ-

13 ირემაშვილი ქ., სტატია: “სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის ანალიზი”, “სამართლის ჟურნალი”, N2, გამომცემლობა, 2013, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის გვ.59

14 ირემაშვილი ქ., სტატია: “სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის ანალიზი”, “სამართლის ჟურნალი”, N2, გამომცემლობა, 2013, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის, გვ.59

15 იქვე

16 ირემაშვილი ქ,, სტატია: “სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის ანალიზი”, “სამართლის ჟურნალი”, N2, გამომცემლობა, 2013, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის, გვ.60

17 იქვე

18 იქვე

19 გიგოლაშვილი გ., ,,სადაზღვევო საქმე“, გამომცემლობა ,,კომერსანტი”, თბილისი 2012, გვ. 63

ვალისწინებელია მზღვეველის კეთილსინდისიერების საკითხი. შესაძლებელია მზღვეველმა ხელშეკრულების დადების ეტაპზე იცოდეს სადაზღვევო ინტერესის არარსებობის შესახებ და/ან არასათანადოდ გააფრთხილოს დამზღვევი მისი მნიშვნელობის შესახებ, ხოლო სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ეტაპზე კი უარი უთხრას ზიანის ანაზღაურებაზე სადაზღვევო ინტერესის არარსებობის გამო. [20] სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა არ უნდა იქცეს მზღვეველის ხელში უკანონო მოგების მიღების იარაღად. დოქტრინის ასეთი გამოყენება საფუძველშივე ეწინააღმდეგება მის იდეას საჯარო წესრიგისა და კეთილსინდისიერი სახელშეკრულებო ურთიერთობების დაცვის შესახებ.[21]

თუ დამზღვევს არ გააჩნია ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ, ითვლება, რომ ის არ განიცდის ზიანს. ხოლო თუ ზიანი არ არსებობს, როგორც ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა, არ არსებობს არც ანაზღაურების მოთხოვნა.[22] ამ ლოგიკის გათვალისწინებით, სადაზღვევო ინტერესი განიხილება, როგორც ზიანის დაზღვევის იდეის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი. სადაზღვევო ინტერესის არსებობის მომენტის განსაზღვრისას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ზიანის დადგომის ეტაპს მიენიჭება რადგან სადაზღვევო ინტერესის არარსებობის შემთხვევაში, არც ზიანი და არც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ წარმოიქმნება.

ხელშეკრულებაში სადაზღვევო ინტერესის პირობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სადაზღვევო ინტერესის განმარტებისას მოსამართლემ განსაკუთრებულად უნდა გაითვალისწინოს. მოსამართლეს შეუძლია გამოიყენოს ერთი ან მეორე დასკვნა თითოეული კონკრეტული დავის გადასაჭრელად. ამასთან, გასათვალისწინებელია ასევე სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სადაზღვევო ინტერესის გარდა, სადაზღვევო ანაზღაურების წინაპირობად დაზღვევის ინტერესის განხილვისას არსებობს კიდევ სხვა მოთხოვნები მზღვეველის მოთხოვნის მიმართ. გარდა ამისა, მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმება დაუყოვნებლივ არ წყდება, თუ ისინი არ შეასრულებენ მზღვეველის მოთხოვნას. სადაზღვევო ინტერესის არქონის გამო ხელშეკრულების ბათილად ცნობა კი მოითხოვს მხარეთა შორის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. ამ თვალსაზრისით, უკან დაბრუნების საკითხი წარმოადგენს პრობლემას. აღნიშნულთან დაკავშირებით პოზიციები არის არაერთგვაროვანი, როცა საქმე გადახდილი პრემიების დაბრუნებას ეხება. უმეტეს შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის დაბრუნება არამიზანშეწონილად მიიჩნევა, რადგან მზღვეველის მიერ რისკის აღების მომენტიდან პრემია გამომუშავებულად ითვლება.[23] მსგავსი პრაქტიკა შესაძლოა ზრდიდეს არაკეთილსინდისიერი ქმედების მოტივაციას მზღვეველის მხრიდან, რაც თავისათვად გულისხმობს სადაზღვევო ინტერესის არარსებობის პირობებში ხელშეკრულების გაფორმებას და შესაბამისად უკანონო შემოსავლის მიღებას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების ბათილობა უფრო მომგებიან მდგომარეობაში აყენებს მზღვეველს ვიდრე მისი შესრულება. ამასთან, პრემიის დაბრუნება გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს დამზღვევის კეთილსინდისიერი მოლოდინით ხელშეკრულების ნამდვილობისადმი.

დასკვნა

სადაზღვევო ურთიერთოებების საფუძველს დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს. ხელშეკრულების დადებამდე მხარეები თანხმდებიან დაზღვევის ხელშეკრულების არსებით პიროებებზე. სადაზღვევო ინტერესის მნიშვნელობა იმდენად დიდია დაზღვევის ხელშეკრულებაში, რამდენადაც მისი არსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს.

არსებული თეორიული და პრაქტიკული მასალის გაანალიზებით, ლოგიკური და სისტემური მეთოდების გამოყენებით გამოკვლეულ იქნა სადაზღვევო ინტერესის გავლენა სადაზღვევო ხელშეკრულებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო ინტერესს არსებითი მნიშვნელობა აქვს დაზღვევის ხელშეკრულებაში, საკანონმდებლო დონზე მისი ლეგალური დეფინიაცია არ არსებობს. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სადაზღვევო ინტერესის არსის განსაზღვრა ყოველ ცალკეულ საქმეზე კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებითა და მათი დაზღვევის პრინციპებთან შესაბამისობის ანალიზით და არა მოსამართლის მხრიდან შეფასებითი კატეგორიების გამოყენებით, რაც დოქტრინის არაერთგვაროვანი სახით განვითარებას გამოიწვევს.

სადაზღვევო ინტერესის განმარტებისათვის, მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს იგი დაზღვევის ობიექტისაგან და მხარის ხელშეკრულებისადმი ინტერესისაგან. თეორიული მასალის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია სადაზღვევო ინტერესის თავისებურებები. მათი შემდგომი განხილვა კვლავაც საინტერესოა, რათა სწორად და ზუსტად განისაზღვროს თუ სად გადის ზღვარი დაზღვევის ინტერესს, დაზღვევის ობიექტსა და დაზღვევის ხელშეკრულებისადმი ინტერესს შორის.

20 Jerry/RichmoNd, UNdersta NdiNg INsuraNce Law, 2007, p. 311
21 იქვე
22 Jerry/RichmoNd, UNdersta NdiNg INsuraNce Law, 2007, p. 278.
23 Jerry/RichmoNd, UNdersta NdiNg INsuraNce Law, 2007, p. 312

გამოყენებული ლიტერატურა

- Mariam Tsiskadze, “Legal Regulation of Voluntary Insurance”, “Meridian” Publishing House, Tbilisi 2001;
- Gigolashvili G., “Insurance Case”, Kommersant Publishing House, Tbilisi, 2012;
- Katamadze N, The place of the insurance contract in the civil law system and the peculiarities of legal regulation;
- Iremashvili K., article: “Doctrine of insurable interest and analysis of the criticism expressed towards it”, “Law Journal”, N2, 2013, IV. Publishing House of Javakhishvili Tbilisi State University;
- Jerry/RichmoNd, UnderstaNdiNg INsuraNce Law, 2007, p. 278. Loshin, Insurance Law’s Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, The Yale Law Journal, December, 2007;
- Meixel/Steinbeck, “Das Neue Versicherungsvertragsrecht”, Verlag C.H.Beck München, 2008;
- Vgl. BGHZ 59, 82- VersR 1972, 849, NJW 1972, 1575 (Nigerianische Masken, Sittenwidrigkeit und deshalb Nichtigkeit einer Trasportversicherung wegen Verstosses gegen ausländisches ausfuhrverbot);
- Meixel/Steinbeck, “Das Neue Versicherungsvertragsrecht”, Verlag C.H.Beck München, 2008;
- Wandt Manfred, “Versicherungsrecht”, 5. Auflage, Carl Heymanns Verlag 2010;
- MaNfred WaNdt, “VersicheruNgsrecht”, 5. Auflage, Carl HeymanVerlag 2010;
- Theory and practice of insurance Textbook”, Moscow 2003, Team of authors, 2003 ISBN 5-86476-200-8 © Ankil, 2003;
- See: Agarkov M. M. Essays on credit law. M., 1926;
- Civil Code of Georgia;
- Supreme Court of Georgia, No. AS-719-674-2010, ruling, 27.06.2011;
- Loshin, J. Insurance Law’s Hapless Busybody: A Case Against Insurable Interest Requirement, 2007, 14.

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობის ზრდის ბოლო ათწლეულის სტატისტიკის ანალიზი

ირაკლი ლეონიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი
ხატია ლეონიძე
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ბაკალავრიატის სტუდენტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობის ზრდის პრობლემა საქართველოში, რომელიც შეფასებულია შემწეობის მიმღები ოჯახების საერთო რაოდენობის, ტერიტორიული განაწილებისა და ასაკობრივი ჯგუფების სამართლებრივი ანალიზის მაგალითზე. კვლევის აქტუალობა განპირობებულია პანდემიამდე და პოსტ-პანდემიურ პერიოდში საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობის ზრდის სტაბილური მაჩვენებლის შენარჩუნებითა და მოქალაქეთა სოციალური პირობების გაუარესებით მთელი ქვეყნის მასშტაბით.

აღნიშნული პრობლემა თავისი არსით ურთულესი გამოწვევაა სახელმწიფოსთვის, რომელიც შესაძლოა გარდაიქმნას საფრთხედ, რადგან მოქმედი კანონმდებლობით აღიარებულია სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპები, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა და საყოფაცხოვრებო პირობები მოითხოვს დამატებით ახალ სოციალურ პოლიტიკასა და არსებული ურთიერთობების დროულ გაჯანსაღებას.

სტატიაში გაანალიზებულია საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ და მათი მხარდაჭერის აუცილებლობა სხვადასხვა მიზნობრივი მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები:
საქართველოს კონსტიტუცია, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი, ბავშვის უფლებები, კოდექსი, სახელმწიფო, სტატისტიკა, სიღარიბე

Statistical Analysis of the Increase in the Number of Families Receiving Subsistence Allowance over the Last Decade

Irakli Leonidze
Master's Student of the Department of Law,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Khatia Leonidze
Undergraduate Student of the Department of Law and Social Sciences,
Batumi Shota Rustaveli State University

Abstract

The article discusses the problem of extreme growth of the numbers of families in Georgia who receive the subsistence allowance. The issue is evaluated on the bases and examples of legal analysis of the overall number of families who receive subsistence allowance, their territorial dislocation and different age groups. The actuality of the research is caused by the steady rise of numbers of families who receive allowance and the dramatic fall of living conditions in the whole country before the pandemic and in post -pandemic periods.

The abovementioned issue within its nature is the most pressing challenge for the Georgia that might turn into the hazard as far as the current legislation acknowledges legal and social principles of the state. Although, despite this, the legal conditions of the citizens and living conditions require additional new social politics and the relevant renovation of the current affairs.

The article analyzes the approach of the families that receive the allowance towards the state and the need of support in different targeted directions.

Keywords:
Constitution of georgia, families receiving subsistence allowance, the children rights, code, state, statistics, poverty

შესავალი

ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას,[1] რომელიც უფლებრივ მოცემულობად გადაიქცევა მაშინ, როდესაც მოქალაქეები ამ უფლების განხორციელების შედეგად ყოველდღიური და უკიდურესი სიდუხჭირის წინაშე აღმოჩნდებიან.[2]

საქართველოს კონსტიტუციაში დღემდე განხორციელებული არაერთი ცვლილების მიუხედავად, მოქალაქეთა სოციალური კეთილდღეობა საყოველთაოდ და საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს, რომ აღნიშნულ გამოწვევათა საპასუხოდ კანონთა სისტემა მოქალაქეებს ვერ სთავაზობს კონსტიტუციური უფლების დაცვისა და ნებისმიერ დროს განხორციელების ეფექტიან მექანიზმს, რადგან დღითიდღე იზრდება საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის პირობებში იქნეს უზრუნველყოფილი მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარება,[3] რომლის ერთ-ერთ სახეს საარსებო შემწეობის გაცემა წარმოადგენს, მისი მოთხოვნის უფლება აქვს ოჯახს.[4]

კვლევის მიზანია კანონის მოქმედების სფეროს ფარგლებში საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობის ამსახველი მრავალმნიშვნელოვანი მონაცემების შესწავლა, რომლის სამართლებრივი შეფასების მაგალითზე შესაძლებელია დადგინდეს საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდის მაღალი მაჩვენებელის გამომწვევი ერთი ან რამდენიმე მიზეზი.

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა

რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობის შედარება და მათ შორის განსხვავებების შეფასება ქორწინების უფლების ძირითად მნიშვნელობასა და მონაცემთა ზრდის დინამიკაზე დაგვაფიქრებს. გასათვალისწინებელია, რომ ქართული სახელმწიფოს მომავალს, არსებულ

პრობლემათა საპასუხოდ, მხოლოდ კანონის მიღება ვერ განსაზღვრავს, სახელმწიფოს მომავალს განაპირობებს მოქალაქეთა სურვილი დაემორჩილონ კანონს და სამართლიანი კანონის საფუძველზე უზრუნველყონ უფლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული თანაცხოვრება. მოქმედმა კანონმდებლობამ გააუფერულა და დაამდაბლა ის საკითხები, რომელთანაც სუბიექტური შეუთავსებლობა ჩამოუყალიბდა კანონმდებელს. მაგალითად, ოჯახზე გასაცემი საარსებო შემწეობის თანხა არის საგრძნობლად დაბალი, დემოგრაფიული ვითარება გაუარესებულია, მოსახლეობისგან იცლება მთისა და ბარის სოფლები და განსაკუთრებით პოსტ-პანდემიურ პერიოდში შეინიშნება საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობის ზრდის მაღალი (სტაბილური) მაჩვენებელი.

პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობის საკვლევად შერჩეულია: 2008-2012, 2012-2018 და 2018-2020 წლების მონაცემები.

2008 წელს, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 502 689 ოჯახი ფიქსირდება, 2009 წლიდან მაჩვენებელი იზრდება და 2010 წელს აღწევს შემდგომ წლებთან შედარებით ყველაზე მაღალ ნიშნულს - 545 619 ოჯახი. 2011 წლისთვის მაჩვენებელი შემცირდა 509 324 რეგისტრირებულ ოჯახამდე და 2012 წლისთვის, 2008 წელთან შედარებით რეგისტრირებული მაჩვენებელი გაიზარდა 4.5%-ით 525 137 ოჯახამდე.[5] საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობრივი მაჩვენებელი 2008 წელს 131 182 ოჯახს შეადგენდა, ხოლო 2012 წელს 163 183 ოჯახი აღირიცხა. ასევე, 2012 წლის ბოლოსთვის, 2008 წელთან შედარებით საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის რაოდენობრივი მაჩვენებელი გაზრდილია 24.4%-ით და აღწევს ყველაზე მაღალ ნიშნულს შემდგომ წლებთან შედარებით.

2012 წლის დასაწყისიდან საბოლოო ნიშნულამდე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის რაოდენობრივი მაჩვენებელი 39.4%-ით იკლებს. 2018 წლისთვის აღწევს 317 796 ოჯახს, რაც 2012 წელს აღრიცხულ მონაცემთან შედარებით 207 686-ით ნაკლებია.[6] რეგისტრირებული მაჩვენებლის კლების განმავლობაში საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობრივი მაჩვენებელიც იკლებს, მხოლოდ 2016 წელს ფიქსირდება ზრდის მაჩვენებელი. 2012 წელს აღრიცხულ მაჩვენებელთან შედარებით 2018 წლის მაჩვენებელი 35 364-ით ნაკლებია, რაც 21.7%-იანი კლებაა.

1 საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995, 30-ე მუხლი.

2 ნინო აბესაძე „ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკური ასპექტები“, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, (2018):18-19.

3 საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, 29/12/2006, პირველი მუხლი.

4 იქვე, მე-7 მუხლი.

5 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2008-2020 წლები, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa> [14.05.2022].

6 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოციალური უზრუნველყოფა, 2015-2021 წლები, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa> [14.05.2022].

2018 წლიდან 2019 წლამდე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის მაჩვენებელი მცირდება 307 694 ოჯახამდე, ხოლო 2020 წელს 330 943 ოჯახს შეადგენს. წინა წელთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებელი შესაძლოა პანდემიით განპირობებულ პრობლემებს დაუკავშირდეს. ასევე, 2020 წელს დაფიქსირებული მაჩვენებელი ბევრად ნაკლებია 2008 და 2012 წელს აღრიცხულ მონაცემებთან შედარებით, თუმცა 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით ფიქსირდება ზრდის 4.1%-იანი ნიშნული. ამავე მიმართულებით ხასიათდება საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების მაჩვენებელი. 2019 წლისთვის ფიქსირდება კლება, ხოლო 2020 წლისთვის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით იზრდება და შეადგენს 146 619 ოჯახს. 2020 წელს დაფიქსირებული რაოდენობრივი მაჩვენებელი მეტია 2008 წელს აღრიცხულ მონაცემზე, თუმცა ნაკლებია 2012 წელს აღრიცხულ მონაცემზე, ხოლო 2018 წელთან შედარებით ფიქსირდება ზრდის 14.7%-იანი მაჩვენებელი.

ზრდადი მაჩვენებლის შესასწავლად, მნიშვნელოვანია ამ წლის მონაცემების დარგობრივი მიმართულებით განხილვა.[7] შესაძლოა ვიფიქროთ პანდემიით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე,[8] მისგან გამოწვეული ზრდის კონტროლი ეფექტური და მეთოდური საშუალებების გამოყენებას საჭიროებს.

საკონსტიტუციო ცვლილებების კონსტიტუციური მნიშვნელობის მიუხედავად სოციალური ხასიათის მქონე მოვლენებზე ეს მნიშვნელობა არ ასახულა. შესაბამისი მექანიზმების არ არსებობიდან გამომდინარე,[9] პანდემიის გავრცელებას სახელმწიფო წარსულში მოუგვარებელი პრობლემის თვითგანახლების ფუნქციის გადავადებით პასუხობდა.[10] ამიტომ, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობის ზრდა გამოწვეულია არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა მიზეზით.

საქართველოს კონსტიტუციაში სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპების აღიარება პირობითი იქნება მაშინ, როდესაც საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა მუდმივად გაიზრდება. წლების განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ, ზრდის სტაბილური მაჩვენებელი, როგორც წესი, არ უნდა იყოს დამახასიათებელი სოციალური სახელმწიფოსთვის.

სახელმწიფოს წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია მოსახლეობის კრიტიკული საჭიროებების დროული და სათანადო უზრუნველყოფა. შესაბამისად, თანადროულად უნდა შემუშავდეს უფრო მეტად ცხადი საკანონმდებლო ნორმები, ოჯახების სოციალური გაძლიერებისა და სტატისტიკური აღრიცხვის ეფექტური მექანიზმები, რათა სახელმწიფოს ახალი პოლიტიკა არსებითად სწორ და ნამდვილ მონაცემს დაეფუძნოს.

ტერიტორიული განაწილება

2020 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იყო 330 943 ოჯახი, ხოლო საარსებო შემწეობის მიმღები 146 619 ოჯახი, რაც რეგისტრირებული მაჩვენებლის 44.3%-ს შეადგენს. განსახილველად შერჩეულია 2018-2020 წლების საკვლევი შუალედი და შემდეგი ტერიტორიული ერთეულები.[11]

ქ. თბილისში 2018 წლიდან იმატებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახისა და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის რაოდენობრივი მაჩვენებელი. ზრდადი მაჩვენებელი ფიქსირდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ყველა რაიონში. 2018 წლამდე მეტ-ნაკლები ინტენსივობით ზრდადი მაჩვენებელი 2018 წლიდან უკვე სტაბილურად ზრდად ხასიათს იძენს. 2020 წელს, 63 117 რეგისტრირებული ოჯახი და მათგან 51.8% ანუ 32 721 საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი აღირიცხა. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდადობის მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით არის 10.8%.

ქ. თბილისის შემდეგ ყველაზე მეტი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი 2020 წლისთვის იმერეთში აღირიცხა. 2018-2020 წლებში ზრდადობის მაჩვენებელი შეუქცევად ხასიათს იძენს და თითოეულ მუნიციპალიტეტში იზრდება როგორც რეგისტრირებული ოჯახის ისე საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა. 2020 წელს რეგისტრირებული 54 346 ოჯახის 34.9%-სს შეადგენდა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა, ჯამურად 18 988 ოჯახი. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდადობის მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით არის 5.4%.

სამეგრელო-ზემო სვანეთში 2020 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 36 966 ოჯახის 50.3%-სს შეადგენდა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების

7 შეად. გელიტაშვილი ნონა. ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, 2011, 24.

8 ფორჩხიძე, რატი, ადეიშვილი გივი. ანტიკრიზისული გეგმის მიმოხილვა, თბილისი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2020, 11-17.

9 თოიძე, თამთა. ბენეფიციარების მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაზე დამოკიდებულების გამომწვევი ფაქტორები, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 33-34.

10 საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში: ადამიანის უფლებების დაცვა COVID-19-ით გამოწვეული კრიზისას, 2020, 54-55.

11 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მონაცემები მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2018-2020 წლები, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa> [14.05.2022].

რაოდენობა, ჯამურად 18 588 ოჯახი. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდადობის მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით არის 27.3%.

კახეთში 2020 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 35 672 ოჯახის 40.6%-სს შეადგენდა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა, ჯამურად 14 487 ოჯახი. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდადობის მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით არის 7.8%.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2020 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 31 521 ოჯახის 37.2%-სს შეადგენდა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა, ჯამურად 11 726 ოჯახი. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდადობის მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით არის 38.2%.

ქვემო ქართლში 2020 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 30 327 ოჯახის 55.2%-სს შეადგენდა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა, ჯამურად 16 749 ოჯახი. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდადობის მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით არის 31.8%.

შიდა ქართლში 2020 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 30 012 ოჯახის 44.1%-სს შეადგენდა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა, ჯამურად 13 223 ოჯახი. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდადობის მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით არის 4.2%.

გურიაში 2020 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 16 650 ოჯახის 33.5%-სს შეადგენდა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა, ჯამურად 5 581 ოჯახი. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდადობის მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით არის 22.8%.

სამცხე-ჯავახეთში 2020 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 12 231 ოჯახის 30.3%-სს შეადგენდა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა, ჯამურად 3 703 ოჯახი. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდადობის მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით არის 14.9%.

მცხეთა-მთიანეთში 2020 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 10 907 ოჯახის 45.8%-სს შეადგენდა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა, ჯამურად 4 994 ოჯახი. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდადობის მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით არის 1.1%.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 2020 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 9 186 ოჯახის 63.8%-სს შეადგენდა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა, ჯამურად 5 859 ოჯახი. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდადობის მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით არის 3.9%.

ამდენად, 2020 წლისთვის ზრდადობის მაჩვენებელი შეუქცევად ხასიათს იძენს. კოვიდ პანდემიამ უფრო დაამძიმა მოქალაქეთა მდგომარეობა. ჩნდება წარმოდგენა, რომ მოქმედი კანონმდებლობა დაცლილია მატერიალური, სოციალური და საარსებო მნიშვნელობებისგან. მაგალითად, სოციალურად დაუცველ საქართველოს მოქალაქეებს არ სურთ მიწის დარეგისტრირება საჯარო რეესტრში, რადგან ფიქრობენ, რომ ეს უარყოფითად აისახება სოციალური დახმარების მიღების საკითხზე. წლებია რაც ეს ეჭვი სათანადოდ არ იქნა უარყოფილი.[12] აღსანიშნავია, რომ საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახები თავიანთ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას ეფექტურად ვერ იყენებენ სტაბილური შემოსავლის მისაღებად, რის გამოც ისინი მხოლოდ საარსებო შემწეობის იმედად რჩებიან. ფაქტია, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავლიანობა და შემოსავლიანობა შემცირებულია, ტურისტული პოტენციალი სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში არის არაერთგვაროვანი, ქალაქად და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა უფრო მეტად დამოკიდებულია იმპორტირებულ საკვებ, სამომხმარებლო, საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის პროდუქტებზე, ვიდრე ადგილობრივ ნაწარმზე. შესამჩნევია, თუ როგორ იკლებს ჰორიზონტალური თვითორგანიზებულობა მოსახლეობაში და მკვიდრდება ვერტიკალური დამოკიდებულების სურვილი საარსებო შემწეობის მიღებასა და სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსის მოპოვებაზე.

საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა ასაკობრივი ჯგუფები (უპირატესად ქ. თბილისის მაგალითზე)

2020 წელს 2019 წელთან შედარებით საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფებისა და რეგიონის მიხედვით შესაძლებელია შევაფასოთ ქ. თბილისის მონაცემების განხილვის მაგალითზე.

ქ. თბილისში 0-6 წლის შუალედში 2019 წელს აღირიცხა საარსებო შემწეობის მიმღები 9597 ფიზიკური პირი, 2020 წელს 9910. ზრდადობა 3.3%. 6-18 წლის შუალედში 2019 წელს აღირიცხა საარსებო

12 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მიწის რეგისტრაციის რეფორმა საქართველოში, <https://napr.gov.ge/p/1465> [14.05.2022].

შემწეობის მიმღები 23 391 ფიზიკური პირი, 2020 წელს 25 461. ზრდადობა 8.8%.

18-30 წლის შუალედში 2019 წელს აღირიცხა საარსებო შემწეობის მიმღები 10 066 ფიზიკური პირი, 2020 წელს 10 559. ზრდადობა 4.9%. 30-40 წლის შუალედში აღირიცხა საარსებო შემწეობის მიმღები 12 931 ფიზიკური პირი, 2020 წელს 13 648. ზრდადობა 5.5%. 40-60 წლის შუალედში 2019 წელს აღირიცხა საარსებო შემწეობის მიმღები 17 717 ფიზიკური პირი, 2020 წელს 18 813. ზრდადობა 6.2%. 60-65 წლის შუალედში აღირიცხა საარსებო შემწეობის მიმღები 3621 ფიზიკური პირი, 2020 წელს არის 3818. ზრდადობა 5.4%. 65-70 წლის შუალედში 2019 წელს აღირიცხა საარსებო შემწეობის მიმღები 3019 ფიზიკური პირი, 2020 წელს არის 3305. ზრდადობა 9.5%. 70 და მეტი წლის შუალედში 2019 წელს აღირიცხა საარსებო შემწეობის მიმღები 7197 ფიზიკური პირი, 2020 წელს არის 8086. ზრდადობა 12.4%.

ქ. თბილისის მაჩვენებელი 2019 და 2020 წლის ასაკობრივ ჯგუფებს შორის ყველაზე მაღალია და თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში წინა წელთან შედარებით შეინიშნება არანაკლებ 4%-იანი და მაქსიმალური 12%-მდე ზრდადობის მაჩვენებელი. საგულისხმოა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფის განსაკუთრებული მოწყვლადობა. მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე რთული პოლიტიკური, პანდემიური თუ სხვა სახის მოვლენები აისახება საქართველოზე. გამოწვევათა საპასუხოდ აუცილებელია ადამიანური, ფინანსური და ეკონომიკური რესურსი, ასევე, უფლებამოსილ პირთა ნება და რეალური შესაძლებლობა, რათა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახები იქცნენ ფინანსურად ძლიერ ოჯახებად.

რეკომენდაცია

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოში დაიწყოს მიწის რესურსის სათანადო ათვისება, დამუშავება და მოქალაქეთა ნებაყოფლობითი სისტემური მიმაგრება მუდმივ სამიწათმოქმედო საცხოვრისზე, ეს გულისხმობს ტურისტული მნიშვნელობის მქონე არეალის განვითარების ხელშეწყობასაც.

დღესდღეობით, მიწის რესურსი სამოქალაქო ბრუნვაში თავისუფლად განიკარგება, მოქალაქეები თავიანთი ნებით ასხვისებენ უძრავ ქონებას, ძირითადად კი, მიწის ნაკვეთებს, რითიც ნასყიდობის ერთჯერადი თანხის სანაცვლოდ უარს ამბობენ შემოსავლისა და განვითარების ამოუწურავ წყაროზე. უფლებამოსილი ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ ამ პრობლემის პრევენციას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა რამდენიმე ცვლილება, რომლის საფუძველზეც გამყარდა ბავშვის უფლებები უძრავ და მოძრავ ნივთებზე, მაგრამ ეს არ არის საკმარისი საქართველოს მიწის ფონდის საქართველოს მოქალაქეთა (ოჯახის წევრთა) საკუთრებაში შესანარჩუნებლად.

აუცილებელია, რომ ოჯახებმა მიიღონ მაღალი შემოსავალი საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გეგმაზომიერი დამუშავებიდან ან ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე, დაიცვან და გაუფრთხილდნენ მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას, შემდგომში აღნიშნული ქონება მემკვიდრეობით გადასცენ თავიანთ შთამომავლებს.

დასკვნა

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდის დინამიკა: საერთო რაოდენობის, ტერიტორიული განაწილებისა და ასაკობრივი ჯგუფების განხილვის მაგალითზე ადასტურებს რომ სიღარიბე არა მხოლოდ საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების, არამედ მოქალაქეების ძირითად პრობლემად ჩამოყალიბდა, ამ პროცესის დაჩქარებას კი ხელს უწყობს პანდემიით განპირობებული პოსტ-პანდემიური უარყოფითი შედეგები.[13] დინამიკა იმდენად კომპლექსურია რომ იწვევს მხოლოდ ზრდის მაჩვენებლის განვითარებას ქვეყნის მასშტაბით.[14]

პანდემიით განპირობებულმა სხვადასხვა უარყოფითმა შედეგმა წარსულში დაურეგულირებელი საკითხები მეტად გაამწვავა და შეზღუდა მოქალაქეების სოციალური მდგომარეობა. ამიტომ, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდადობის დინამიკის წარმოშობის არ შესწავლა ან მომდევნო წელთან შედარებით მისი მაჩვენებლის გადაფარვა პრობლემურ საკითხს ვერ დაარეგულირებს,[15] რადგან დღეს-დღეობით, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების თითოეული სტატისტიკული მონაცემის მიღმა არის ოჯახი, რომელიც განიცდის უკიდურეს მატერიალურ სიდუხჭირეს.

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობის ზრდისა და სახელმწიფოში მოქალაქეთა იმედგაცრუების დასაძლევად აუცილებელია, რომ დაიგეგმოს საქართველოს მოქალაქეთა, შემდგომში საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების საკუთრებაში არსებული ქონების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების) სარგებლიანობა-შემოსავლიანობის გაზრდისა და მატერიალური მდგომარეობის გაჯანსაღებისკენ მიმართული მოქმედებები, რათა საარსებო შემწეობის მიმღებმა ოჯახმა, სახელმწიფოსგან მიღებული დახმარებისა და მხარდაჭერის საფუძველზე, დამოუკიდებლად შეძლოს ეკონომიკურად და ფინანსურად ძლიერ ოჯახად გარდაქმნა.

13 დამატებით იხ. მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2017.

14 შეად. მოკლე ინფორმაცია სოციალური ქვეპროგრამების შესახებ, <https://tbilisi.gov.ge/page/3283> [14.05.2022].

15 შეად. ანა გიორგაშვილი მიზანი №1 - ყველა სახის სიღარიბის აღმოფხვრა, ესე კონკურსისთვის „მდგრადი განვითარების მიზნები და საქართველო“, (2017):1-2.

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995;
- საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, 29/12/2006;
- აბესაძე, „ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკური ასპექტები“, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, (2018):18-19;
- გიორგაშვილი, მიზანი №1 - ყველა სახის სიღარიბის აღმოფხვრა, ესე კონკურსისთვის „მდგრადი განვითარების მიზნები და საქართველო“, (2017):1-2;
- გელიტაშვილი ნონა. ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, 2011, 24;
- თოიძე, თამთა. ბენეფიციარების მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაზე დამოკიდებულების გამომწვევი ფაქტორები, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 33-34;
- მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2017;
- ფორჩხიძე, რატი, ადეიშვილი გივი. ანტიკრიზისული გეგმის მიმოხილვა, თბილისი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2020, 11-17;
- საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში: ადამიანის უფლებების დაცვა COVID-19-ით გამოწვეული კრიზისას, 2020, 54-55;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა, 2008-2020 წლები.

მაღალტემპერატურული თერმოელექტრული გენერატორი SiGe შენადნობების ფუძეზე

კარლო ბარბაქაძე
სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

გურამ ბოკუჩავა
სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ზურაბ ისაკაძე
სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

აზა კუცია
სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

ირაკლი ტაბატაძე
სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

მერი ბარბაქაძე
სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ინჟინერი

მერი რეხვიაშვილი
სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ინჟინერი

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია ზოგადი ცნობები თერმოელექტრული გენერატორის (თეგ) შედგენილობისა და მუშაობის პრინციპის შესახებ. თეგ–ის ძირითად კვანძებად დასახელებულია თერმოელემენტი და თერმოელექტრული მოდული. აღწერილია თერმოელემენტის კონსტრუქცია და მუშაობის პრინციპი. მოყვანილია 16 თერმოელემენტის შემცველი მონოლითური თერმოელექტრული მოდულის სქემატური გამოსახულება. მოყვანილია თერმოელექტრული მასალის მქკ-ის დამოკიდებულება მის ეფექტურობასა და ცხელსა და ცივ ბოლოებს შორის არსებულ ტემპერატურათა სხვაობაზე. ნაჩვენებია თერმოელექტრული SiGe შენადნობების პერსპექტულობა მაღალტემპერატურული თეგ–ების შესაქმნელად. ნაჩვენებია გერმანიუმის მცირე შემცველობის SiGe შენადნობების გამოყენების უპირატესობა ფართო მოხმარების თეგ-ების შესაქმნელად. აღწერილია n - და p–ტიპის Si0.95Ge0.05 შენადნობების დამზადების, მათი კომუტაციური გადასვლების ფორმირების და მათ ფუძეზე ჰაერზე 900°C ტემპერატურამდე მომუშავე მონოლითური თერმოელექტრული მოდულის შექმნის ტექმნოლოგია. აღნიშული ტექნოლოგიებით დამზადებულია 16 თერმოელემენტის შემცველი 6 მოდული, რომლებსაც ცივ ბოლოებზე მიერთებული აქვთ ელექტროსაიზოლაციო კვანძები. მოყვანილია ერთერთი ასეთი თერმოელექტრული მოდულის ენერგეტიკული მახასიათებლები გაზომილი გაზის გამახურებელისა და წყლის გამაცივებელის გამოყენების პირობებში. მითითებულია თერმოელექტრული SiGe შენადნობების ფუძეზე შექმნილი თეგ-ის გამოყენების პერსპექტული მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები:
თერმოელექტრობა, თერმოელექტრული ეფექტურობა, თერმოელექტრული ბატარეა, თერმოელექტრული გენერატორი

High Temperature Thermoelectric Generator Based on SiGe Alloys

Karlo Barbakadze
Head of Laboratory,
Sokhumi Institute of Physics and Technology,
Doctor of Technical Science
Guram Bokuchava
Director of Sokhumi Institute of Physics and Technology,
Doctor of Technical Science
Zurab Isakadze
Research Scientist,
Sokhumi Institute of Physics and Technology
Aza Kutsia
Research Scientist,
Sokhumi Institute of Physics and Technology
Irakli Tabatadze
Research Scientist,
Sokhumi Institute of Physics and Technology,
Doctor of Technical Science
Meri Barbakadze
Engineer,
Sokhumi Institute of Physics and Technology
Meri Rekhviashvili
Engineer,
Sokhumi Institute of Physics and Technology

Abstract

The article provides general information on the composition and working principle of the thermoelectric generator (TEG). The main nodes of the TEG are the thermocouple and the thermoelectric module. The article describes the construction and operating principle of the thermocouple and provides a schematic representation of a monolithic thermoelectric module containing 16 thermocouples. It also shows the dependence of the coefficient of performance of the thermoelectric material on its efficiency and the temperature difference between hot and cold ends. The viability for thermoelectric SiGe alloys for the development of high-temperature TEGs as well as the advantages of using SiGe alloys with low germanium content to produce widely used TEGs are demonstrated. The article describes the technology of making n - and p-type Si0.95Ge0.05 alloys, forming their commutative transitions and creating a monolithic thermoelectric module operating at the temperature of 900 °C. 6 modules containing 16 thermoelements are made using the mentioned technologies that have electrical insulation nodes connected to the cold ends. The article provides the energy characteristics of one of the thermoelectric modules that are measured under the conditions of using gas heater and water cooler. Prospective directions for the use of a TEG created based on the thermoelectric SiGe alloys are indicated.

Keywords:
Thermoelectricity, thermoelectric effectiveness, thermoelectric battery, thermoelectric generator

შესავალი

თერმოელექტრული გენერატორი (თეგ) მასში გასულ სითბურ ენერგიას პირდაპირ გარდაქმნის ელექტრულ ენერგიად. გარდაქმნას n - და p-ტიპის გამტარობის თერმოელექტრული მასალებისაგან დამზადებული შტოები ახორციელებენ, რომლებიც თეგ–ის შემადგენელ თერმოელექტრულ მოდულებში არის განთავსებული.

თეგ–ი ერთი ან რამდენიმე მოდულისაგან შედგება. უმარტივეს თეგ–სა და მოდულს თერმო-ელემენტი წარმოადგენს, რომლის სქემატური გამოსახულება ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.



ნახ. 1. თერმოელემენტის სქემატური გამოსახულება. 1 – დენგამტარები; 2 –კომუტაციური გადასვლები; n – ტიპის შტო; p – ტიპის შტო; T_h – ცხელი ბოლოების ტემპერატურა; T_c – ცივი ბოლოების ტემპერატურა; R- მომხმარებლის ელექტრული წინააღმდეგობა.

თერმოელემენტის შტოები ერთიმეორესთან მიმდევრობით არის კომუტაციური და დენგამტარი ფირფიტებით შეერთებული. ეს უკანასკნელები ელექტრული და სითბური დანაკარგების შემცირების მიზნით მაღალი ელექტრული და სითბური გამტარობის მასალებისაგან არის დამზადებული. ამავე მიზნით თერმოელექრტული შტოებისა და საკომუტაციო ფირფიტების დამაკავშირებელი კონტაქტები მაღალი სიმტკიცით, ელექტროგამტარობით და სითბოგამტარობით ხასიათდებიან. როდესაც თერმო-ელემენტის ერთი ბოლო ცხელია, მეორე კი შედარებით ცივი ის ზეებეკის ეფექტით გარკვეული სიმძლავრის ელექტრულ ენერგიას გამოიმუშავებს.

ნახ. 2–ზე ნაჩვენებია მიმდევრობით შეერთებული 16 თერმოელემენტის (32 შტოს) შემცველი მონოლითური თერმოელექტრული მოდულის სქემატური გამოსახულება, რომელსაც ცხელ და ცივ ბოლ-ოებზე მიერთებული აქვს ელექტროსაიზოლაციო კვანძები.



ნახ. 2. მონოლითური თერმოელექტრული მოდულის სქემატური გამოსახულება.

1 - ცხელი მხარის კომუტაციური ფირფიტა;
2 - ცივი მხარის კომუტაციური ფირფიტა;
3 - შტოებსშორისი ელექტროიზოლაციური ფენა;
4 - დენის გამტარები.
5 - კერამიკული ფირფიტა;
6 - ელექტროსაიზოლაციო კვანძის კოლექტორი;
7 - დენის გამომყვანები.

თერმოელექტრული მასალის შტოს მიერ გამომუშავებული ელექტრული ენერგიის მქკ η შემდეგი ფორმულით გამოისახება[1], სადაც T_h და T_c არის შტოს ცხელი და ცივი ბოლოების ტემპერატურები, Z კი შტოს შესაბამისი მასალის ეფექტურობა.

$$\eta = \frac{\grave{O}_h - \grave{O}_c}{\grave{O}_h} \frac{\sqrt{1 + Z\frac{\grave{O}_h + \grave{O}_c}{2}} - 1}{\sqrt{1 + Z\frac{\grave{O}_h + \grave{O}_c}{2}} + \frac{\grave{O}_c}{\grave{O}_h}}$$

ამ ფორმულის პირველი წევრი მქკ-ის თერმოდინამიკურ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც სამუშაო ტემპერატურის გაზრდით იზრდება, მეორე წევრი კი – მატერიალურ ნაწილს, რომელიც თერმოელექტრული მასალის ეფექტურობის გაზრდით იზრდება. აქედან გამომდინარე, მაღალტემპერატურული თეგ-ის შექმნა მაღალი ეფექტურობის თერმოელექტრული მასალების ფუძეზე ენერგეტიკული თვალსაზრისით პერსპექტულია.

თერმოელექტრული მასალის ეფექტურობა Z შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$Z=\alpha^2\sigma/\lambda$$

სადაც α არის ზეებეკის კოეფიციენტი, σ – ელექტროგამტარობა, λ კი – სითბოგამტარობა. თერმოელექტროობაში მომუშავე მკვლევარების ამოცანას მაღალი ეფექტურობის თერმოელექტრული მასალების დამუშავება და მათ ფუძეზე მაღალი ეფექტურობის თეგ-ის შექმნა წარმოადგენს, რაც დაბალი ელექტრული და სითბური წინააღმდეგობების კომუტაციური გადასვლების დამუშავებით მიიღწევა.

ცნობილი მაღალტემპერატურული თერმოელექტრული მასალებიდან მხოლოდ SiGe შენადნობებმა ჰპოვეს პრაქტიკული გამოყენება. მათი პოტენციური მქკ, მაქსიმალური სამუშაო ტემპერატურის (T_h = 1100°C-მდე) და ეფექტურობის (Z = 0,6 - 1,0 10^{-3} K^{-1}) გათვალისწინებით[2,3,4,5], 15 %-ს აღწევს. გარდა ამისა მათ შეუძლიათ ვაკუუმში, ინერტული გაზის გარემოში და ჰაერზე სტაბილური მუშაობა, რაც თეგ-ის ექსპლუატაციას მნიშვნელოვნად ამარტივებს.

SiGe შენადნობები Si-ისა და Ge-ის მყარ ხსნარს წარმოადგენენ[6], რომელთა სითბოგამტარობა 8-10 ჯერ ნაკლებია ცალკეული კომპონენტის სითბოგამტარობაზე[3]. მათი ენერგეტიკული ფაქტორის $\alpha^2\sigma$ გაზრდა მალეგირებელი ელემენტების დამატებით (ფოსფორი n-ტიპისათვის, ბორი p-ტიპისათვის) ხორციელდება. აღნიშნული ელემენტები კარგად იხსნებიან SiGe შენადნობებში და ოპტიმალური კონცენტრაციის დენის თავისუფალ გადამტანებს – ელექტრონებსა და ხვრელებს წარმოქმნიან შესაბამისად.

კვლევები

კოსმოსურ ენერგეტიკაში გამოყენებული თეგ-ები $Si_{0,68}Ge_{0,32}$[6] და $Si_{0,8}Ge_{0,2}$[7] შენადნობების ფუძეზე არის შექმნილი. ეს შენადნობები კომპონენტების ერთობლივი დნობით, შენადნობის მაჰომონიზირებელი ზონური დნობით, ჰომოგენური სხმულის დაფქვით და მიღებული ფხვნილის ვაკუუმური ცხელი წნეხვით არის დამზადებული. ფართო მოხმარების თეგ-ის შესაქმნელად Ge-ის მცირე შემცველობის n - და p-ტიპის $Si_{0,95}Ge_{0,05}$[6] შენადნობები იქნა დამუშავებული[8,9]. მათი სინთეზი და კომპაქტირება კომპონენტების ერთობლივი დაფქვითა და მიღებული ულტრადისპერსული ფხვნილის

1 A. F. Ioffe. Semiconductor's Physics. M. – L., USSR AS Publishing. 1957, 491 p.

2 Dismukes J. P., Ekstrom l., Steigmeier E. F., Kudman I., Beers D. S. Thermal and Electrical Properties of Heavily Doped Ge-Si Alloys up to 1300K. J. of Appl. Phys. 35 (1964), pp. 2899-2907.

3 J. F. Braun. Application of Silicon Germanium thermoelectric devices for electrical power production in Space. In: Proc. of XIV International Conference of the Energy Conversion. S.-Petersburg, 1995, pp. 394-400.

4 B. A. Cook, J. L. Harringa, S. H. Han, and C.B. Vining. $Si_{80}Ge_{20}$ thermoelectric alloys prepared with GaP additions. J. Appl. Phys. 78 (9), 1 November 1995, pp. 5474-5480.

5 D. M. Rowe and V. S. Shukla. The effect of phonon-grain boundary scattering on the lattice thermal conductivity and thermoelectric conversion efficiency of heavily doped fine-grained, hot-pressed silicon germanium alloy. J. Appl. Phys. 52(12), December 1981, pp. 721-726.

6 M. Hansen, K. Anderko. Constitution of binary alloys. v.2, M, 1962, 1488 p.

7 https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9A%D0%BE%D1%81%D0%BC%D0%BE%D1%81-954

8 https://en.wikipedia.org/wiki/SNAP-10A

9 K. Barbakadze, M. Biliseishvili, Z. Isakadze, I. Tabatadze, V. Gabunia, A. Kutsia, M. Barbakadze, M. Rekhviashvili. Development of Thermoelectric n- and p-type $Si_{0,95}Ge_{0,05}$ Alloys and Creation on Their Base Thermoelectric Batteries, Working in Air Till Temperature 1000 ^{0}C. International Conference Advanced Materials and Technologies (Proceedings). Tbilisi, Georgia. October 21-23, 2015.

ვაკუუმური ცხელი წნეხვით განხორციელდა. ცხრილში 1 მოყვანილია აღნიშნული შენადნობების თერმოელექტრული მახასიათებლების საშუალო მნიშვნელობები (n- და p-ტიპის მიმართ) T_h = 1000°C და T_c= 100°C ტემპერატურულ გრადიენტში. ცხრილიდან ჩანს, რომ თერმოელექტრული SiGe შენადნობების ეფექტურობა Z და მქკ η ნაკლებად არის Ge-ის შემცველობაზე დამოკიდებული. ამ ფაქტისა და n - და p-ტიპის $Si_{0,95}Ge_{0,05}$ შენადნობების შედარებით დაბალი თვითღირებულების გათვალისწინებით, მათი გამოყენება ფართო მოხმარების თეგ-ის შესაქმნელად შედარებით პერსპექტიულია.

ცხრილი 1

SiGe შენადნობების თერმოელექტრული მახასიათებლები

შენადნობი	α 10^{-6} ვ. K^{-1}	σ ომ$^{-1}$ სმ$^{-1}$	λ 10^{-2} ვტ.სმ$^{-1}$ K^{-1}	$\alpha^2\sigma$ 10^{-4} ვტ	Z 10^{-3} K^{-1}	η %
$Si_{0,68}Ge_{0.32}$	225	500	4.65	25,3	0.54	9.1
$Si_{0,8}Ge_{0,2}$	200	575	4.25	23.0	0.54	9.1
$Si_{0,95}Ge_{0,05}$	210	706	6.55	31.1	0.47	8.2

თერმოელექტრული მასალის ფუძეზე თეგ-ის შექმნის ერთ-ერთ წინაპირობას მისთვის მექანიკურად მტკიცე და დაბალი ელექტრული და სითბური წინააღმდეგობების კომუტაციური გადასვლების დამუშავება წარმოადგენს. ამ მიზნით n- და p-ტიპის $Si_{0,95}Ge_{0,05}$ შენადნობებისათვის საკომუტაციო მასალებად გამოყენებულია გრაფიტი და Si-B შენადნობი[10,11]. გრაფიტის კომუტაციას ჰაერზე 350°C ტემპერატურამდე შეუძლია სტაბილურად მუშაობა, ვაკუუმში და ინერტული გაზის გარემოში კი – 900°C ტემპერატურამდე. მისგან განსხვავებით, Si-B შენადნობის კომუტაციას, როგორც ვაკუუმში და ინერტული გაზის გარემოში, ასევე ჰაერზე 1100°C ტემპერატურამდე შეუძლია სტაბილურად მუშაობა.

ნახ. 3-ზე ნაჩვენებია მიმდევრობით შეერთებული 16 თერმოელემენტის შემცველი მონოლითური თერმოელექტრული მოდულის ფოტოგრაფია. მისი შტოები დამზადებულია n- და p-ტიპის $Si_{0,95}Ge_{0,05}$ შენადნობებისაგან. მათი ზომებია: ფართი – 0,3 x 0.5 სმ^2; სიგრძე – 1.8 სმ. შტოები ერთიმეორესთან 0.03 სმ სისქის მინა-კერამიკული კომპოზიტის ფენით არის დაკავშირებული. მოდულის ცხელი მხარის კომუტაციური ფირფიტები დამზადებულია 0.3 სმ სისქის Si-B შენადნობისაგან, ცივი მხარის კომუტაციური ფირფიტები კი – 0.2 სმ სისქის ელექტროდული გრაფიტისაგან. კომუტაციური ფირფიტები შტოებთან Fe-Ni–ის შენადნობისაგან დამზადებული ფირით არის მირჩილული. მოდულს ცივ მხარეზე მიერთებული აქვს AlN-ისა და გრაფიტის ფირფიტებისაგან დამზადებული ელექტროსაიზოლაციო კვანძი, დენის გამომყვანებით[12] მათი შეკავშირება დიფუზიური შედუღებით განხორციელდა.



ნახ. 3. მიმდევრობით შეერთებული 16 თერმოელემენტის შემცველი მონოლითური თერმოელექტრული მოდული. (მასშტაბი: 1:1)

ნახ. 4

ა-ზე ნაჩვენებია 0.2 სმ სისქის ფოლადის ფირფიტებისაგან შეკრული წყლის გამაცივებელთან მირჩილული თერმოელექტრული მოდულის ფოტოგრაფია. მირჩილვა კალიით განხორციელდა ნახ. 4

10 Guram Bokuchava, Karlo Barbakadze, Giorgi Darsavelidze, Boris Shirokov. Achievements of Sukhumi Ilia Vekua Institute of Physics and Technology in the field of thermoelectric materials science and instrument making. Jour. of Thermoelectricity #6, Kiev, 2017.

11 Karlo Barbakadze, Zurab Isakadze, Aza Kutsia, Meri Barbakadze, and Meri Rekhviashvili. Structural and thermoelectric characteristics of n- and p-types $Si_{0.95}Ge_{0.05}$ alloys, synthesized by hot pressing. International Conferense Lopota Resort, Georgia, October 1-6, 2017 (thesis).

12 Karlo Barbakadze, Guram Bokucava, Zurab Isakadze, Aza Kutsia, Irakli Tabatadze, Meri Barbakadze, Meri Rekhviashvili. Electrical insulating assembly on base aluminum nitride for thermoelectric Batteries. Journal ENERGI № 3(91) Tbilisi, 2019.

ბ-ზე ნაჩვენებია თერმოელექტრული მოდულის გამოცდის ამსახველი ფოტოგრაფია. მოდულის ცხელი ბოლო ბუნებრივი გაზის წვის შედეგად წარმოქმნილი ალით ცხელდება, ცივი ბოლო კი გამდინარე წყლით ცივდება.

ა **ბ**

ნახ. 4. **ა.** თერმოელექტრული მოდული მირჩილული წყლის გამაცივებელთან (1x 0.4); **ბ.** თერმოელექტრული მოდულის გამოცდა
მოდულის ენერგეტიკული მახასიათებლები:
T_h = 717°C; T_c = 97°C; T_h - T_c = 620°C; E= 3.3 ვ;
$R_{ოპტ.}$ = 0.5 ომ; v = 1.64 ვ; W= 5.38 ვტ; w = 0.73 ვტ/სმ^2.

ანალოგიური კონსტრუქციის თერმოელექტული მოდული, დამზადებული n- და p-ტიპის $Si_{0,68}Ge_{0,32}$ შენადნობების ფუძეზე, გამოცდილი იქნა ჰაერზე 700–200°C ტემპერატურულ გრადიენტზე მუშაობის პირობებში. მისი ენერგეტიკული მახასიათებლები 1 წლიანი გამოცდის შემდეგ 3% იქნა შემცირებული.

დასკვნები

n- და p-ტიპის $Si_{0.95}Ge_{0.05}$ შენადნობების ფუძე შექმნილი მონოლითური თერმოელექტრული მოდული, როგორც მინი თეგი, აღჭურვილი გაზის გამახურებლით, დემონსტრირებული იქნა თავდაცვის ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე, რამაც ოფიცრებისა და მსმენელების დიდი ინტერესი გამოიწვია.

თერმოელექტრული SiGe შენადნობების ფუძეზე შექმნილი დენის წყაროს გამოყენება საქართველოს მთიან რეგიონებში განთავსებული სასაზღვრო პუნქტების ელექტრული მომსახურებისათვის პერსპექტიულად მიგვაჩნია. ანალოგიური მიზნით იქ ფოტოელექტრული დენის წყაროები გამოიყენება, რომელთაც ღამისა და უამინდობის პერიოდში თეგ-ი ჩაენაცვლება.

ანალოგიური თეგ–ის გამოყენება (ჰაერის რადიატორით) ძნელად მისადგომ ადგილებში განთავსებული მონიტორინგისა და სათვალთვალო ობიექტების უწყვეტი ელექტრული მომსახურეობისათვის პერსპექტიულად მიგვაჩნია.

საინტერესოა აგრეთვე გაზისა და მზის წყლის გამაცხელებლებთან კომბინირებული SiGe შენადნობების ფუძეზე შექმნილი თეგ-ის გამოყენება. თეგ-ის მიერ გატარებული სითბო ამ შემთხვევაში პირდაპირი დანიშნულებით (წყლის გასაცხელებლად) გამოიყენება და თეგ–ის ეფექტურობა მისი მუშა ფართის ერთეულის მიერ გამომუშავებული ელექტრული ენერგიის სიმძლავრით შეფასდება.

გამოყენებული ლიტერატურა

- https://en.wikipedia.org/wiki/Thermoelectric_materials;
- https://en.wikipedia.org/wiki/Thermoelectric_generator;
- https://en.wikipedia.org/wiki/Radioisotope_thermoelectric_generator;
- Ромашка (ядерная энергетическая установка);
- https://ru.frwiki.wiki/wiki/BES-5;
- https://en.wikipedia.org/wiki/SNAP-10A.

საგანგებო სამეულები, მათი სხდომები და ნაირსახეობები

ლერი სარაიდაროვი
საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილის თანაშემწე,
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში საუბარი წარიმართება საბჭოთა ხელისუფლების დროინდელ ფენომენზე - საგანგებოდ შექმნილ კომისიებზე და იმჟამინდელ ტერორზე. მიუხედავად საბჭოთა კავშირის დროინდელი საკონსტიტუციო საკანონმდებლო ნორმისა, სადაც მეტ-ნაკლებად გასაგები ფორმით იყო განსაზღვრული სახელისუფლებო შტოები და მათი ფუნქციები, უზენაესი კანონის მიღმა, გაცილებით დაბალი ნორმატიული იერარქიის საფეხურზე მდგომი აქტის საფუძველზე შემოღებულ იქნა ე.წ. „მართლმსაჯულების“ ორგანოები - ორეულები და სამეულები კომისიების და სათათბიროების სახით. კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხშირ შემთხვევებში იყო რადიკალური და გამარტივებულად მიიღებოდა, შესაბამისად აღსრულების თვალსაზრისით სირთულეებთან არ იყო დაკავშირებული. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გადაწყვეტილების მძიმე სანქციისა, კომისიას არავითარი ბმა არ ჰქონდა სასამართლო ხელისუფლებასთან და მათი „განაჩენი“ რეპრესიების და ტერორის ხასიათის მატარებელი იყო და არა სამართლიანობის აღდგენის. გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღებოდა იმჟამინდელი მაღალი ჩინის მქონე სახელმწიფო მოხელეების მხრიდან, ვითომდა კომისიური წესით, იყო საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, რაც თავისთავად იყო უსამართლო და უკანონო.

საკვანძო სიტყვები:
საბჭოთა მთავრობა, კომისია, ტერორი, „მართლმსაჯულების“ ორგანოები, რეპრესიები

The Soviet ad hoc Troikas (Triplets), Their Meetings and Varieties

Leri Saraidarov
Assistant to the Deputy Chairman,
Defence and Security Committee of
the Parliament of Georgia
PhD in International Relations

Abstract

The present article deals with the phenomenon of the Soviet government - the ad hoc commissions and the terror of the time. Despite the constitutional legislative norm of the time of the Soviet Union where the branches of government and their functions were defined in a more or less clear way, the so-called “Judicial” Bodies - dvoikas and troikas - were introduced beyond the supreme law in the form of commissions and deliberative bodies based on an act of a much lower level of normative hierarchy. In many cases, the decision made by the commissions was radical and easy to reach; therefore it was not associated with difficulties in terms of execution. Unfortunately, it should be noted that despite the heavy sanction of the decision, the commission bore to relation to the judicial authority and their “judgment” was one of repression and terror, not justice. The decisions made by the high-ranking government officials, supposedly in a commission manner, were final and not subject to appeal that was unfair and illegal itself.

Keywords:
Soviet government, commission, terror, judicial bodies, repressions

შესავალი

ალბათ ძნელი დასაჯერებელია, რომ თანამედროვე რეალობაში, მაშინ, როდესაც დემოკრატიული პრინციპების განმტკიცება ხდება თითქმის მთელს მსოფლიოში, ახლო წარსულში არსებობდა სახელმწიფო წყობა, სადაც სახელისუფლებო შტოების მოჩვენებითი დანაწევრების მიუხედავად, სასამართლოს აქტების ტოლფას და ძალის მქონე გადაწყვეტილებას იღებდა ერთი კაცის ბრძანებით შექმნილი სათათბირო და კომისიური ორგანოები, ტრიუმვირატები.

ხელისუფლების დანაწევრების პრინციპი დასაბამს იღებს ძველი რომიდან, რასაც აქტუალობა შეემატა შუა საუკუნეების ევროპაში. ძალაუფლების აბსოლუტიზმის დამარცხების მიზნით, არაერთი თეორია ჩამოყალიბდა, მათ შორის ჯონ ლოკის[1] და შარლ მონტესკიეს[2] მოდელი.

სწორედ, ამ პრინციპების გათვალისწინებით სახელისუფლებო ძალაუფლების ერთ-ერთ ძლიერ და მნიშვნელოვან შტოს წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლება, როგორც საერთო სასამართლოების, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს[3] სახით. მიუხედავად სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელოვანებისა და დამოუკიდებლობისა, სახელისუფლებო რგოლებს შორის ბალანსი და ურთიერთკონტროლი დაცულია.

თუმცა ასეთი პროგრესული და დემოკრატიული მიდგომებისა, თითქმის ერთი საუკუნის წინ საბჭოთა კავშირში, რომლის შემადგენელ ნაწილსაც რესპუბლიკის სახით საქართველოც წარმოადგენდა, მოქმედებდა სისხლისსამართლებრივი დევნისა და „მართლმსაჯულების“ ორგანო, რომელიც სასამართ-ლოსგან დამოუკიდებლად იღებდა ისეთ მძიმე გადაწყვეტილებებს, როგორიც იყო სიკვდილით დასჯა, პატიმრობის მისჯა და სხვა მსგავსი მძიმე და განსაკუთრებული სანქციები.

ეს იყო საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის[4] საგანგებო სამეული, რომელიც შეიქმნა 1937 წლის 30 ივლისს იმჟამინდელი კომისრის ნიკოლაი იეჟოვის[5] ბრძანებით[6]. ბრძანება მიზან-მიმართული იყო აქტიური ანტისაბჭოთა ძირგამომთხრელი საქმიანობით დაკავებული პირების მიმართ. გადაწყვეტილებამ ლეგიტიმური გახადა მასობრივი რეპრესიები, დაიწყო დიდი ტერორის ხანა, რომელიც შეეხო გლეხებს, მუშებს, სოფლის სასულიერო პირებს, ინტელიგენციას, ასოციალურ ელემენტებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს, ოპოზიციური პარტიების წევრებს.

რუსეთის სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ 1922 წელს დაარსდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელშიც თავდაპირველად გაერთიანდა 4 რესპუბლიკა. საბჭოთადროინდელი რიგით პირველი კონსტიტუცია დამტკიცებულ იქნა 1924 წელს მეორე მოწვევის საბჭოთა ყრილობის მიერ. კონსტიტუცია შედგებოდა ორი კარისგან: საბჭოთა კავშირის დაარსების დეკ-ლარაციისგან და საბჭოთა კავშირის დაარსების შეთანხმებისგან. დეკლარაციაში ფორმულირებული იყო გაერთიანების პრინციპები, კერძოდ, ნებაყოფლობითობა და თანასწორობა, საბჭოთა სახელმწიფოს ნაციონალური პოლიტიკის განსაკუთრებული ხასიათი. განსხვავებით დეკლარაციის თავისაგან, შეთან-ხმებაში თავმოყრილი იყო 11 თავი, რომელიც მოიცავდა საკითხებს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სუვერენული უფლებების, საბჭოთა ყრილობების, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისრების საბჭოს, უმაღლესი სასამართლოს, სახალხო კომისარიატების და სხვა მნიშვნელოვანი გარე-მოებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ იმჟამინდელ კონსტიტუციაში გარდა ხსენებული საკითხებისა, ასევე განხილული იყო დროშის, დედაქალაქის, ჰიმნის, კანონმდებლობის ფორმირების, საგარეო ვაჭ-

---

1 ლოკი ჯონ (1632-1704 წწ) - გამოჩენილი ინგლისელი მოაზროვნე, რომლის სახელი მჭიდროდაა ასოცირებული განმანათლებლობასთან. ხშირად მას ლიბერალიზმის ფუძემდებლადაც მიიჩნევენ.

2 შარლ ლუი დე მონტესკიე - ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი და კრიტიკოსი, რომლის იდეებიც კონსერვატივიზმისა და პროგრესივიზმის საუცხოო სინთეზია, ერთი მხრივ იცავდა არისტოკრატიული ფენის ინტერესებს, რომელსაც მისი აზრით შესწევდა უნარი დაეცვა სახელმწიფო აბსოლუტური მონარქიისა და მასობრივი ანარქიისგან.

3 საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედებს როგორც ნეგატიური კანონმდებელი, იგი უფლებამოსილია, იმსჯელოს კანონის დისკრიმინაციულობაზე.

4 **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, შსსკ** (რუს. Народный комиссариат внутренних дел, НКВД) — ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო კრიმინალთან ბრძოლაში და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში 1917-1946 წლებში. შემდგომში ,,შინაგან საქმეთა სამინისტრო" დაერქვა.

5 ნიკოლაი ეჟოვი - (რუს. Николай Иванович Ежов; დ. 1 მაისი, 1895 – გ. 4 თებერვალი, 1940) - საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. დიდი წმენდის პერიოდში იყო სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი. თანამდებობას იკავებდა 1936-1938 წლებში. 1938-1939 წლებში იყო სსრკ-ის წყლის ტრანსპორტირების სახალხო კომისარი. 1935-1939 წლებში მე-17 პოლიტბიუროს სამდივნოს წევრი. 1937-1939 წლებში მე-17 პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. იგი დიდი წმენდის დროს ხელმძღვანელობდა მასობრივ დაპატიმრებებსა და დახვრეტებს. 1939 წელს ეჟოვი დააპატიმრეს და აღიარა ანტისაბჭოთა მოღვაწეობა, მოგვიანებით კი ცხნობილი გახდა რომ აღიარება წამებით იქნა მოპოვებული. ამავე წელს ეჟოვი 44 წლის ასაკში დახვრიტეს.

6 ოპერატიული ბრძანება N00447 გრიფით სრულიად საიდუმლო - „ყოფილი კულაკების, სისხლის სამართლის დამნაშავეთა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების რეპრესირების ოპერაციიების შესახებ“

რობის შესახებ საკითხები, მაინც ფორმალურ ხასითს ატარებდა, ვინაიდან, დოკუმენტში არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული ხელისუფების დანაწევრების პრინციპი. საბჭოთა ხელისუფლება ამ უკანასკნელ პრინციპს მიიჩნევდა ბურჟუაზიულ თვალთმაქცობად, რაც მშრომელ ხალხს უქმნიდა სამართლიანობის, თანასწორობის და კანონიერების განცდის ილუზიას.

იმ დროისათვის მიუხედავად, კონსტიტუციის ფორმალური უზენაესობისა, რომელიც მხოლოდ ინსტრუმენტის როლს ასრულებდა ქვეყანაში, უმაღლესი ხელისფლების როლს კისრულობდა საბჭოების ყრილობა[7], სწორედ მის გადაწყვეტილებებს ჰქონდათ უპირატესი ძალა სხვა საკანონმდებლო აქტებთან მიმართებაში, მათ შორის კონსტიტუციასთან. „მთელი ხელისუფლება საბჭოებს". გარდა ყრილობის მნიშვნელოვანებისა და საკანონმდებლო აქტების გამოცემის უფლებისა, მსგავსი იურისდიქციით გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და სახალხო კომისრების საბჭო[8].

გათვალისწინებით იმისა, რომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში ცალკე თავი ჰქონდა დათმობილი სასამართლო სისტემას, სტალინის მმართველობის დროს ანტისაბჭოთა აქტივობების მატების და მათ მიმართ სასამართლო სისტემის საეჭვო ქცევების გამო, რომელიც ხშირად ეწინააღმდეგებოდა არსებულ კანონმდებლობას, აუცილებელი გახდა საგანგებო დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა, რომელიც მიიღებდა გადაწყვეტილებას ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად და არა მის საწინააღმდეგოდ.

შესაძლოა უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ იმჟამინდელ სასამართლო სისტემაში დასაქმებული მოსამართლეების ნაწილი არ იყო კომუნისტური პარტიის იდეოლოგიის მატარებელი და გამზიარებელი, თუმცა ეს ასე იყო, რაც ხელს უწყობდა მათი მხრიდან ხელისუფლების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას. ხელისუფლებისთვის განსაკუთრებით საშიშ პრობლემას წარმოადგენდნენ მემარჯვენე დაჯგუფებები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ანტისაბჭოთა შეიარაღებულ აჯანყებებში. მსგავს დაჯგუფებებს წარმოადგენდნენ მემარჯვენე ესერები[9], დაშნაკები[10], გრუზმეკები[11], იტიხადისტები[12], მუსავატები[13]. მათ და სხვა კასტების წარმოამდგენელთა მიმართ წარმოებული საქმეების რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა, სასამართლო კი ვერ ახერხებდა სწრაფად განხილვას, საქმეები ჭიანურდებოდა, თანაც, როგორც აღვნიშნეთ ხელისუფალთათვის სასურველი გადაწყვეტილების და შედეგის მიღების მოლოდინი ხშირად ცრუვდებოდა.

დავუბრუნდეთ სამეულების საკითხს, რომელიც მოქმედებდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყველა დაქვემდებარებულ რესპუბლიკაში. ჩვენ, უკვე ვისაუბრეთ მისი შექმნის ასპექტებზე, უპრიანი იქნება, თუ საუბარს განვაგრძობთ მის ფუნციონირებასა და გადაწყვეტილების მიღების სისტემაზე.

---

7 საბჭოთა კონსტიტუციის მე-8 მუხლის მიხედვით ყრილობათა საბჭო ითვლება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ, ყრილობათა შორის პერიოდში კი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. http://www.hist.msu.ru/ER/Etext/cnst1924.htm

8 სახალხო კომისართა საბჭო (შემოკლებით: საბჭოთა სახკომსაბჭო; 1918 წლამდე სახალხო კომისართა საბჭო) — საბჭოთა რუსეთის მმართველი ორგანო 1917-1946 წლებში. დაარსდა 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს), როგორც „მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობა" და ეწოდა ,,სახალხო კომისართა საბჭო". ეს სახელწოდება გამოიყენებოდა რსფსრ-ს 1918 წლის კონსტიტუციის მიღებამდე.

9 ესერები, სოციალისტ-რევოლუციონერები, წვრილბურჟუაზიული გლეხური პარტია (1901–22). შეიქმნა რუსეთში 1901 დეკ. – 1902 იანვარში. მათი ძირითადი მოთხოვნა იყო მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება და მათი გადაცემა გლეხური თემებისათვის, ე. წ. მიწის სოციალიზაცია.

10 დაშნაკცუთიუნი, ოფიციალურად სომხეთის რევოლუციური ფედერაცია (სომხ. Հայ Հեղափոխական Դաշնակցութիւն — ჰაი ჰეღაპოხაკან დაშნაკცუტიუნ, «სომხური რევოლუციური თანამეგობრობა», შემოკლებით დაშნაკი)— სომხური პოლიტიკური პარტია.დაფუძნდა 1890 წელს, თბილისში, ქრისტაფორ მიქაელიანის, სტეფან ზორიანისა და სიმონ ზავარიანის მიერ. იდეოლოგია ნაციონალიზმი, სოციალიზმი.

11 Грузинская социал-демократическая партия (გრუზ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია) — марксистская партия, существовавшая в Грузии с 1918 по 1926 годы. Ведущая политическая сила в Грузинской Демократической Республике. გრუზმეკები იყვნენ ამ პარტიის წარმომადგენლები.

12 იტიხადისტები (აზერბ. Ittihad-გაერთიანებული კავშირი)-აზერბაიჯანული პარტია პანისლამური ორიენტაციის მქონე, ფუნქციონირებდა 1917-1920 წლებში, შეიქმნა თურქული პარტიის „გაერთიანება და პროგრესის" ანალოგად.

13 მუსავათი — აზერბაიჯანის პოლიტიკური პარტია. მისი ისტორია შეიძლება დაიყოს სამ პერიოდად: ადრეული (ძველი) მუსავატი, მუსავატი გადასახლებაში და ახალი მუსავატი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, მუსავატი შედარებით მცირე, საიდუმლო და მიწისქვეშა ორგანიზაცია იყო. მისი პროგრამა მიზნად ისახავდა ოსმალეთის იმპერიის მფარველობაში ერთიანი მულიმური სახელმწიფოს შექმნას აზერბაიჯანის ჩათვლით. პირველი მსოფლიო ომის დროს მუსავატმა უარი თქვა პანისლამურ და პანთურქულ იდეებზე და მხარს უჭერდა ცარისტულ რეჟიმს. **პან-მოძრაობები**, ან **პან-ნაციონალიზმები** — გარკვეულ ნაციონალისტური, ან რელიგიურ იდეოლოგიები, რომელთა მიზანია გააერთიანოს ტომები, ხალხები, ერები ერთ სახელმწიფოდ ერთგვარი ეროვნული (ეთნიკური) გეოგრაფიული, ან რელიგიური იდეის მეშვეობით.



СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО.

Экз. № 3

ОПЕРАТИВНЫЙ ПРИКАЗ

НАРОДНОГО КОМИССАРА ВНУТРЕННИХ ДЕЛ СОЮЗА ССР

30 июля 1937 г. № 00447 гор. Москва.

Материалами следствия по делам антисоветских формирований устанавливается, что в деревне осело значительное количество бывших кулаков, ранее репрессированных, скрывавшихся от репрессий, бежавших из лагерей, ссылки и трудпоселков. Осело много, и прошлом репрессированных церковников и сектантов, бывших активных участников антисоветских вооруженных выступлений. Оставшись почти не тронутыми в деревне значительные кадры антисоветских политических партий /эсеров, грузмеков, дашнаков, мусаватистов, иттихадистов и др./, а также кадры бывших активных участников бандитских восстаний, банд, карателей, реэмигрантов и т.п.

Часть перечисленных выше элементов, уйдя из деревни в города, проникла на предприятия промышленности, транспорт и на строительство.

Кроме того, в деревне и городе до сих пор еще гнездятся значительные кадры уголовных преступников - скотоконокрадов, воров-рецидивистов, грабителей и др. отбывавших наказание, бежавших из мест заключения и скрывающихся от репрессий. Недостаточность борьбы с этими уголовными контингентами создала для них условия безнаказанности, способствующие их преступной деятельности.

Как установлено, все эти антисоветские элементы являются



ПРОТОКОЛ №-267.

от 23-го мая 1938 года.

ПРИСУТСТВОВАЛИ: 1) Заместитель Народного Комиссара Внутренних Дел Союза ССР - Комкор тов. [redacted].

2) Прокурор Союза ССР - тов. [redacted].

СЛУШАЛИ:

Материалы на лиц, обвиняемых в шпионской и диверсионной деятельности в пользу Латвии, представленные Управлением НКВД по Новосибирской области.

ПОСТАНОВИЛИ:

1. [redacted], 1893 г.р., ур. д. Перпене, Лютинского уез., Витебской губ., гр.СССР — РАССТРЕЛЯТЬ

2. [redacted], 1898 г.р., ур. б. Курляндской губ., (Латвия), гр.СССР — РАССТРЕЛЯТЬ

3. [redacted], 1897 г.р., Курляндской губ., (Латвия), гр.СССР — РАССТРЕЛЯТЬ

4. [redacted], 1892 г.р., ур. Псковской губ., гр.СССР — РАССТРЕЛЯТЬ

» სურათი 1. ისტორიული ბრძანება N00447 სრულიად საიდუმლო, ბრძანების ნუმერაციაში ნულების რაოდენობა მიუთითებდა დოკუმენტის სენსიტიურობის ხარისხზე.

» სურათი 2. ოქმი N267, გასასამართლებელ პირთა თაობაზე მიღებული დადგენილება. ოქმში მითითებული შინსახკომის მოადგილის რეგალია Комкор ნიშნავს კორპუსის მეთაურს[14].

კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდებოდა შემდეგი სახის დოკუმენტით - „ოქმი-სია“. მასში ეთითებოდა „სანქციას“ ანუ დასჯას დაქვემდებარებული პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, მოქალაქეობა და ე.წ. „განაჩენით“ განსაზღვრული სასჯელის სახე - დახვრეტა. აღნიშნულმა კომისიამ ათობით ათასი საბჭოთა მოქალაქის დახვრეტის თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ სტალინური დიდი ტერორის პერიოდში, გარდა საბჭოთა მოსახლეობის მიმართ გატარებული რეპრესიებისა, მასობრივი რეპრესიების კამპანიები ხორციელდებოდა უცხოელების მიმართ, რომლებსაც მიიჩნევდნენ კაპიტალისტური ქვეყნების ჯაშუშებად და შემჩნეული იყვნენ დივერსიულ და ძირგამომთხრელ საქმიანობაში, რომელთაგანაც მომდინარეობდა მასობრივი ამბოხის საფრთხე. ესენი იყვნენ ძირითადად პოლონელები, გერმანელები[15], ლიტველები, ესტონელები, ფინელები, ბერძნები, რუმინელები, ბულგარელები და სხვანი. ცალკეული ოპერაცია გატარდა ხარბინელი[16] რუსების მიმართ. აღნიშნულის საფუძვლად მიიჩნეოდა ის ფაქტორი, რომ ეთნიკურად რუსები მნიშვნელოვან დროს ყოფდნენ საზღვარგარეთ და მსახურობდნენ იქ არსებულ სამსახურებში. საბჭოთა კავშირის იმჟამინდელი ელიტის თვალსაზრისით საზღვარგარეთ სამსახური გარკვეულწილად ნეგატიურ გავლენას ახდენდა რუსების ცნობიერებასა და შეხედულებებზე, რაც საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფო მთლიანობას და მის ურყეობას. აღნიშნულ ოპერაციებს ეწოდა შინსაქსახკომის „ნაციონალური ოპერაციები“, რომლის მიმდინარეობაც დაფიქსირდა 1937-1938 წლებში. ხსენებული ოპერაციების დაწყებამდე, 1934 წელს შინსაქსახკომმა დასავლეთის ქვეყნების ეროვნულ უმცირესობათაგან დაიწყო მიზანმიმართული ძებნა და გამოვლენა ჯაშუშების და „მავნებლების“, პარალელურად მიმდინარეობდა ლუთერანული და კათოლიკური სასულიერო პირების დაპატიმრებები. საბჭოთა ხელისუფლება მოსახლეობაში პროპაგანდის მეშვეობით ნერგავდა აზრს დასავლეთელი ჯაშუშების ყოვლისმომცველი

14 **Комкор** – (командир корпуса); კომკორი -წითელი არმიის უმაღლესი სამეთაურო შემადგენლობის სამხედრო წოდება.

15 გერმანული მიმართულებით რეპრესიები ვოლგისპირეთის გერმანელების მიმართ იყო მინიმალური, ვინაიდან მათ არ აღიქვამდნენ უცხოელებად.

16 ხარბინი- ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე პროვინცია ხეილუნძიანის დედაქალაქი და უდიდესი ქალაქი. იგი წარმოადგენს ქვეყნის ამ რეგიონის როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასევე კულტურულ და სამეცნიერო ცენტრს. ხარბინი ყინულის ქალაქად იწოდება და ცნობილია ზამთრის ტურიზმითა და ყოველწლიური ყინულის სკულპტურების ფესტივალით. ადრე ეს ტერიტორია ითვლებოდა პოლონურ ქალაქად, რუსების მიერ დაპყრობის შემდეგ, სოლიდური ნაწილი გადასახლდა საცხოვრებლად, მათ შორის საქართველოდან.

მავნებლობის და მათი მასშტაბურობის შესახებ, ასევე საბჭოთა კავშირში მეხუთე კოლონის არსებობის შესახებ[17].

არასასამართლო „მართლმსაჯულებაზე“ საუბრისას, რთულია გვერდი ავუაროთ 1934-1953 წლებში, შინსაქსახკომში მოქმედ ადმინისტრაციულ ორგანოს - საგანგებო სათათბიროს (Особое совещание при НКВД СССР-Осо), რომელსაც მინიჭებული ჰქონდა საკმარისად ფართო უფლებამოსილებანი. სათათბიროს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში პიროვნების საზოგადოებრივად საშიშ სუბიექტად მიჩნევის შემთხვევაში, შეეძლო პირის გადასახლება[18], თავისუფლების აღკვეთით შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსება, საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ გასახლება[19]. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის საგანგებო სათათბირო ორგანოს მიენიჭა კონტრევოლუციური და საბჭოთა კავშირის მმართველობისა და წყობის წინააღმდეგ მიმართული სხვა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებზე სადამსჯელო ღონისძიებების გატარების უფლება, დახვრეტის ჩათვლით. ომის დასრულების შემდეგ საგანგებო სათათბრო ორგანოს გადაწყვეტილებით სასჯელის მაქსიმალურ ზომად განისაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ეხლა კი მსურს შევეხო იმ პერიოდისათვის მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობას, რომელსაც აქტიური გამოყენება ჰქონდა იმჟამინდელ ხელისუფლებაში.

საბჭოთა სისხლის სამართლის მატერიალურ კოდექსში მრავლად იყო ისეთი მუხლები და მუხლების ნაწილები, რომელიც ბრალდების დადასტურების შემთხვევაში ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას - დახვრეტას. მსგავს დანაშაულთა კატეგორიას გენეკუთვნებოდა ისეთი მძიმე დანაშაულები, როგორიც იყო სამშობლოს ღალატი, შეიარაღებული ამბოხი, შპიონაჟი, კონტრრევოლუციური საბოტაჟი, ბანდიტიზმი, ყალბი ფულის დამზადება, კონტრაბანდა და სხვა. თვალნათელია, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა გამოიყენებოდა სახელმწიფოს მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში, მაშინ როდესაც განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ითვალისწინებდა სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთას. უდავოა, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა მიმართული იყო უპირატესად სახელმწიფო ინტერესების დასაცავად და შედარებით ნაკლებად პრიორიტეტულად მიიჩნევდა ადამიანის უფლებების დაცვას, განსხვავებით დღეს არსებული რეალობისაგან. დახვრეტას ითვალისწინებდა მხოლოდ სამხედრო მოსამსახურის მიერ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის დროინდელ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, მასში მართლმსაჯულების ორგანოებად იდენტიფიცირებული და აღიარებული იყო სასამართლო სისტემა, კერძოდ: სახალხო სასამართლოები, სახალხო სასამართლოების საბჭო, გუბერნიის რევოლუციური ტრიბუნალები[20], სამხედრო-სატრანსპორტო ტრიბუნალები და უზენაესი ტრიბუნალი. თვალნათელია, რომ მათ შორის არასად არის ნახსენები ე.წ. სამეულთა სხდომები, საგანგებოდ შექმნილი კომისიები. ალბათ ვერც იქნებოდა, ვინაიდან იგი არ იყო შექმნილი კონსტიტუციის საფუძველზე, სადაც მე-9 თავი ჰქონდა დათმობილი სასამართლო სისტემას და პროკურატურას. კონსტიტუციის მიხედვით საბჭოთა კავშირში მართლმსაჯულება ხორციელდებოდა ქვეყნის უზენაესი სასამართლოს, რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების, სამხარეო და საოლქო, ე.წ. ოკრუგის (ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში), სპეციალური და სახალხო (საქალაქო, რაიონული) სასამართლოების მეშვეობით.

გარდა მონათხრობში ნახსენები არასასამართლო ორგანოებისა არსებობდა 1933 წელს საბჭოთა კომისართა საბჭოს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ОГПУ)[21] ცირკულარის საფუძველზე შექმნილი „მილიციის სამეულები“[22], რომელებიც შედარებით მსუბუქ დარღვევებზე რეაგირებდნენ. მათ ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით საპასპორტო რეჟიმის დარღვევის ფაქტებზე რეაგირება. ოდნავ მოგვიანებით, უკვე შინსაქსახკომის № 00192 ბრძანების საფუძველზე მათ კომპეტენციას დაემატა სისხლის სამართლის დამნაშავეთა და დეკლასირებული

---

17 მე-5კოლონა - ადამიანთა ჯგუფი, რომელიც სახელმწიფოს ან ხალხის რაიმე გაერთიანებას უთხრის ძირს მტრის, მოწინააღმდეგის სასარგებლოდ. მეხუთე კოლონის მოქმედება შეიძლება იყოს ღია ან ფარული.

18 გადასახლება Ссылка (სასჯელი) - მსჯავრდებულის მისი მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილიდან გაძევება, განსაზღვრულ ადგილებში უფლების აკრძალვით.

19 გასახლება Высылка (სასჯელი) - გასამართლებული პირის მისი საცხოვრებელი ადგილიდან გაძევება იმავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრების უფლების აკრძალვით, ცხოვრების უფლებას ანიჭებდნენ ძირითადად პერიფერიებში, დიდ და ცენტრალურ ქალაქებში, ოლქებსა და დაბებში ეკრძალებოდათ დასახლება.

20 რევოლუციის შემდეგ შექმნილი სასამართლო ორგანო.

21 Объединённое государственное политическое управление при СНК Совет народных комиссаров (სახალხო კომისრების საბჭო) СССР, საბჭოთა კავშირის დროინდელი სახელმწიფო უშიშროების სპეციალური ორგანო, რომელიც ფუნქციონირებდა 1923-1934 წლებში.

22 იგივე საპასპორტო მილიციის სამეულები, ჩვეულებრივი სამეულები, სამეულები სოციალურად მავნებელი ელემენტების მიმართ - Осужден как "СВЭ – социально вредный элемент", 1935 წლიდან ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყველა რეგიონალურ შინსაქსახკომში, შემადგენლობაში შედიოდნენ შინსახსაკომის სამმართველოების და ადგილობრივი მუშურ-გლეხური მილიციის წარმომადგნელები, სხდომებში აუცილებლობის პრინციპით მონაწილეობას იღებდნენ პროკურორები.

ელემენტების მიმართ არაპოლიტიკურ საქმეთა წარმოება. აღნიშნული ორგანოს შექმნის საჭიროება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეებს იხილავდა საგანგებო სათათბირო, რომელიც ასევე შინსაქსახკომის დაქვემდებარებაში იყო, საქმეთა რაოდენობის განსაკუთრებულმა მატებამ ხელისუფლებას მიაღებინა გადაწყვეტილება მილიციის სამეულების შექმნის თაობაზე, რომლებსაც ექნებოდათ უფლებამოსილება შედარებით მსუბუქი კატეგორიების სამართალდარღვევებზე რეაგირების, რითაც მოხდებოდა საგანგებო სათათბირო ორგანოსა და წინასწარი პატიმრობის ადგილების განტვირთვა ნაკლებად აქტუალური საქმეებისგან. ხსენებული სამეულის იურისდიქცია, პოლიტიკური სამეულისგან განსხვავებით, რომელსაც გააჩნდა უფლებამოსილება პირისთვის სასჯელის უმაღლესი ზომის - დახვრეტის შეფარდების, შემოიფარგლებოდა 5 წლიანი საპატიმრო სასჯელის შეფარდებით.

ხსენებული წარმონაქმნების გარდა, მათ პარალელურად 1937-1938 წლების განმავლობაში ასევე ფუნქციონირებდა უწყებათაშორისი კომისია-ორეული, რომელიც შედგებოდა იმჟამინდელი შინსახკომის ხელმძღვანელისგან და გენერალური პროკურორისგან. ხსენებული ორგანო სხვა საგანგებოდ შექმნილი ორგანოების მსგავსად დაკავებული იყო თვალთმაქცური და ფორმალური მართლმსაჯულებით და ვითომდა სამართლიანობის აღდგენის მოტივით მოქმედებდა, რელურად კი პოლიტიკური რეპრესიების განმახორციელებელ არასასამართლო და არამართლმსაჯულების „ინსტიტუციას“ წარმოადგენდა. ისინი იხილავდნენ გასასამართლებელ პირთა სიებს და ხშირ შემთხვევაში იყენებდნენ სასჯელის უმაღლეს ზომას - დახვრეტას, იშვითად შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოსახდელად მოთავსებას და გამოძიების შევსების მიზნით საქმის დაბრუნებას შესაბამისი საგამოძიებო დანაყოფისთვის.

აღსანიშნია ის ფაქტი, რომ სტატისტიკურად განსახილველ სისხლის სამართლის საქმეთა 75 %-იანი წილი მოდიოდა საგანგებოდ შექმნილ ვითომდა მართლმსაჯულების ორგანოებზე, ხოლო დანარჩენი 25 % სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზე.

რეპრესიები საბჭოთა საქართველოში

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საზოგადოებაში ტოტალური შიშის დანერგვის მიზნით რეპრესიული ღონისძიებების სისრულეში სწრაფად მოსაყვანად, არასასამართლო ორგანოები საბჭოთა კავშირის მასშტაბით არსებობდა ყველა რესპუბლიკაში, გამონაკლისი არც საბჭოთა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა იყო. რეგიონის მასშტაბით რეპრესიული მიდგომების განხორციელებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირები, ასევე ქალაქებისა და სოფლების, დაბებისა და თემის ხელმძღვანელი პირები. გარდა ხსნებული პირებისა, რეპრესიული საქმიანობის წარმატებულად განხორციელების უზრუნველსაყოფად, იყვნენ მოხალისეებიც, რომლებიც სხვადსხვა მოტივაციით ასმენდნენ ადამიანებს და ხელს უწყობდნენ ძალადობის პროგრესირებას.

რეპრესიების სამართლიანობის და გარდაუვალობის კუთხით საზოგადოების თვალში დიდ როლს თამაშობდა მედია და პრესა, რომელიც აღნიშნულს წარმოაჩენდა ქვეყნისთვის და რეგიონებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ მოვლენად. პრესაში ხშირად ამოიკითხავდა საზოგადოება წამაქეზებელ პროპაგანდისტულ ლოზუნგებს, რომელიც შინაარსობრივად ქვეყნის მტრებთან დაუნდობელ ბრძოლას მოიაზრებდა. საბჭოთა პოლიტიკური ხელისუფლების გადაწყვეტილებისთვის სამართლიანი საფუძვლის გამოსანახად, კარგი საშუალება იყო საზოგადოების მხარდაჭერა, მტერთან დაუნდობელი ბრძოლაში ხალხის პოზიციას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, სწორედ ამიტომაც, პრესასა და მედიაში ხშირად ფიქსირდებოდა მტრებთან გასამკლავებლად სახელმწიფოებრივი მიდგომის მხარდამჭერი აზრები და შეხედულებები მშრომელთა და ინტელიგენციის წარომადგენელთა მხრიდან.

საბჭოთა პოლიტიკური ბიუროს მაღალჩინოსანთა მიერ ხელმოწერილ რეპრესირესირებულთა სიებს, ხშირად ნაშრომებსა და კვლევებში მოიხსენიებენ, როგორც „სტალინურ სიებს“, რომლის საფუძველზეც გასამართლებას დაექვემდებარა ათასობით ადამიანი, მათ შორის ელიტის და პარტიული ნომენკლატურის, ბიუროკრატიისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათთან ერთად ძველი ბოლშევიკები. მათ საქმეებს განიხილავდა ზემოხსენებული სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესია.

რეპრესიების პერიოდში საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად და გატარებული პოლიტიკის გასამართლებლად ქართული საბჭოთა ხელისუფლება ხშირად მართავდა საჩვენებელ პროცესებს, რასაც აშუქებდნენ მედია და რადიო საშუალებები.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა რეპრესიას დაქვემდებარებულ პირთა სახელობითი სიებისა, არსებობდა დაწესებული ლიმიტი დასასჯელ პირთა რიცხოვნობისა, რომელიც თავის მხრივ იყოფოდა კატეგორიებად სანქციების მიხედვით. თითოეულ რესპუბლიკას შესაბამისი ლიმიტი გააჩნდა, რომელიც მკაცრად ზღვარდადებული იყო მაქსიმალური რაოდენობის მიხედვით. მისი კორექტირება რიცხოვნობის კუთხით შეზღუდული იყო, თუმცა შესაძლებელი იყო დაწესებულ ლიმიტზე ნაკლები რაოდენობის პირთა დასჯა. (ლიმიტის გაზრდა შესაძლებელი იყო მხოლოდ რეგიონის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მოთხოვნით).

საქართველოში, როგორც სხვა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებში მოქმედებდა დასასჯელ პირთა კატეგორიზაციის ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც პირველ კატეგორიას მიკუთვნებულ პირებს - ხვრეტდენ, ხოლო მე-2 კატეგორიაში მოხვედრილ პირებს უსჯიდნენ თავისუფლების აღკვეთას შრომა-გასწორების კოლონიებში.

1937 წლის ივლისში, საქართველოს კომუნისტური პარტიის იმჟამინდელი პირველი მდივნის ლავრენტი ბერიას ბრძანებით შეიქმნა ადგილობრივი განსაკუთრებული სამეული, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ საქართველოს შინსაქსახკომის მოადგილე აქვსენტი რაფავა, გენერალური პროკურორი ილარიონ ტალახაძე და მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსი შალვა წერეთელი. ქართულმა სამეულმა, როგორც სხვა მსგავსმა დანაყოფებმა, 1938 წლის ოქტომბრის ჩათვლით იფუნქციონირა, საქმიანობის განმავლობაში კი წევრთა შემადგენლობა არაერთხელ შეიცვალა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1937-1938 წლებში რეპრესიას დაქვემდებარებულ პირთა ზუსტი რაოდენობა უცნობია. თუმცა, ცნობილია მსხვერპლთა მინიმალური რიცხოვნობა – ამ ორ წელიწადში, როგორც მინიმუმ, 1,7 მილიონი ადამიანი დააპატიმრეს, სადანაც 725 ათასი პირი დახვრიტეს. ეს მონაცემები დოკუმენტებით არის გამყარებული – 90-იან წლებში გახსნილი სტალინური არქივებით.

გარდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისა, ეს წლები საქართველოსთვისაც უმძიმესი აღმოჩნდა, მიუხედავად საბჭოთა პოლიტიკურ ელიტაში ქართველების მმართველ პოზიციებზე ყოფნისა. ორმილიონნახევრიან საქართველოში 30 000-მდე პირს შეეხო რეპრესიის დაუნდობელი სანქციები, საიდანაც თითქმის ერთი ნახევარი დახვრიტეს, მეორე ნახევარს კი საპატიმრო დაწესებულებებსა და გადასახლებაში მოუწია სასჯელის მოხდა. რეპრესიას შეეწირნენ გამოჩენილი ქართველები: მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, სანდრო ახმეტელი და სხვა დიდი ქართველები, რომელთა მოღვაწეობა და შემოქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლის მატარებელი იყო ჩვენი ქვეყნისთვის.

ამ ყველაფრის მაპროვოცირებელ გარემოებებად შეგვიძლია მივიჩნოთ იმჟამად მსოფლიოში შექმნილი სიტუაცია, კერძოდ ის, რომ ძლიერდებოდა ნაცისტური გერმანია, სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნით საჭირო გახდა ქვეყანაში არსებული დესტრუქციული ძალების განეიტრალება, ამ ყველაფერს ერთვოდა ეკონომიკური ფაქტორი, შეიქმნა აუცილებლობა მმართველობის რეჟიმის შეცვლის, რაც გამოხატული უნდა ყოფილიყო ტერორსა და ძალადობაში. შიგა და საგარეო საფრთხეებზე დაყრდნობით იმჟამინდელ საბჭოთა ხელისუფლებას შეექმნა საშიშრობა ძალაუფლების გამოცლის, რაც გახდა საფუძველი კულაკების, სამღვდელოებისა და ინტელიგენციების წარმომადგელების, მწერლების, მეცნიერებისა და გლეხების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების და მათ მიმართ რეპრესიული ღონისძიებების გატარების.

უნდა აღინიშნოს, რომ რეპრესიების განხორციელებაზე ფიქრი საბჭოთა პოლიტელიტამ მის აღსრულებამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწყო, სწორედ მაშინ, როდესაც 1934 წელს პარტიის მაღალი რანგის პირი - სერგეი კიროვი მოკლეს. ცოტა ხნით ადრე კი ხელისუფლებამ დაიწყო ახალი შრომაგასწორებითი კოლონიებისა და ბანაკების მშენებლობა.

რეპრესიების პერიოდში ხელისუფლებამ საკმაოდ წარმატებულად გამოიყენა 1929 წელს შექმნილი ბანაკების მთავარი სამმართველო ე.წ. გულაგი (რუს. ГУЛаг) – აკრონიმი Главное управление исправительно–трудовых лагерей и колоний, შრომით-გამოსასწორებელი ბანაკების და კოლონიების მთავარი სამმართველო. კოლონიებში მოსათავსებელ პირთა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა, პიკს კი 1938 წელს მიაღწია და პატიმართა რაოდენობა 2 მლნ. გაუსწორდა. ამ პერიოდისათვის რამდენიმე ათასი ადამიანი უკვე დახვრეტილი იყო.

რაც შეეხება სიკვდილმისჯილთა ტრაგიკული ბედის აღსრულებას, ხორციელდებოდა საგანგებოდ შერჩეულ ადგილებში, რომელიც იმ პერიოდისათვის სპეციალურად გასაიდუმლოებული და დაცული იყო. თბილისში ასეთ ადგილად შერჩეული იყო სოღანლუღის[23] ტერიტორია, რუსთავის მხარეს, სადაც 10 ან უფრო მეტ კაციან ჯგუფებთან მიმართებაში დახვრეტის გადაწყვეტილება მოყავდათ სისრულეში. უფრო ადრიან პერიოდში დახვრეტილთა სახელები ოფიციალურად ცხადდებოდა პრესაში, რაც შიშის დანერგვის ერთ-ერთი იარაღი იყო.

ვინაიდან, საქართველოს მამულიშვილთა დიდი ნაწილი არ იზიარებდა და მეტიც, წინააღმდეგობას უწევდა საბჭოთა პოლიტიკას, ხელისუფლება მათ საქმიანობას მიიჩნევდა მავნებლური, ჯაშუშური და კონტრევოლუციური ხასიათის მატარებლად, რის გამოც მმართველმა ძალამ გადაწყვიტა ინტელიგენციის ეროვნული სულისა და აზრის ჩახშობა, იგივე მდგომარეობა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, სადაც მსგავსი ინტენსივობით და მოცულობით ხორციელდებოდა რეპრესიები.

სამეულბზე საუბრისას ვფიქრობ არ იქნება ურიგო თუ, რამდენიმე აბზაცს დავუთმობთ 20-იან წლებში არსებულ სამეულებს და მათ საქმიანობას.

1921 წლიდან რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, კომუნისტები აქტიურად შეუდგნენ თავის მოწინააღმდეგე ძალთა დათრგუნვას და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას. მოწინააღმდეგეთა შორის აღმოჩნდნენ ქართველებიც, რომელებიც აპროტესტებდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების, სახელმწიფო და არჩევითი ორგანოების და არაპროლეტარული პარტიების გაუქმებულად გამოცხადებას. სახელმწიფომ ხელთ იგდო მრეწველობა, რკინიგზა, ბანკები, გააუქმა კერძო საკუთრება მიწებზე. ხელისუფლების მხადამჭერმა ორგანიზაციებმა დაიწყეს მასობრივი რეპრესიების გატარება სახელმწიფო პოლიტიკით განაწყენებულ პირთა მიმართ, რომელთა შორის აღმოჩნდნენ თავადაზნაურები, ინტელიგენცია, ყოფილი ოფიცრები. პარალელურად ათეიზმის დანერგვისა და განმტკიცების

23 ისტორიული სოფლების მკვლევარის თეიმურაზ ბერიძის აზრით „სონღული“ თურქული წარმოშობისაა და შევარდნისთანა მტაცებელი ფრინველის სახელიდან უნდა იყოს ნაწარმოები, ხოლო „სოღანლუღი“ კი ასიმილაციის შედეგია. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=36&t=595

მიზნით, კომუნისტები ანგრევდნენ ეკლესიებს, ხოცავდნენ სასულიერო პირებს.

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გამოხატული ტერორისა, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ანტიკომუნისტურ აქციებს. განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიიჩნევა 1924 წლის აჯანყება[24], რომლის ჩახშობაც მისი დეზორგანიზებულობის გამო ხელისუფლებას გაუადვილდა, მოხერხდა შეთქმულების რამდენიმე ლიდერის დაპატიმრება.

ამბოხის ჩახშობიდან მალევე, მასში მონაწილეთა უმრავლესობა აღმოჩნდა სართიჭალის საგანგებო კომისიის საგამოძიებო ნაწილში და საგანგებო სამეულის გადაწყვეტილებით, 1924 წლის 1 სექტემბერს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით ამბოხში მონაწილეობისთვის სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიესაჯა. სიკვდილმისჯილთა შორის იყვნენ სასულიერო პირებიც, რომლებსაც სხვებთან ერთად ბრალად წაეყენათ ამბოხების იდეოლოგიური ხელმძღვანელობა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის აგიტაციაში და მრევლის წაქეზებაში მონაწილეობა. აღნიშნულის წინა დღეს თბილისის კომპარტიის პრეზიდიუმმა გამართა საგანგებო სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი - მიხეილ კახიანი, სწორედ მისი გადაწყვეტილებით გამოცხადდა პარტიულ ორგანიზაციებში მობილიზაცია, შეიქმნა დამრტყმელი სამეულები[25], რომლებიც უხელმძღვანელებდნენ პოლიტიკურ დღის წესრიგს. სამეულების გადაწყვეტლებას შეეწირა ათობით ადამიანი, რომელთა რიცხოვნობა პერიოდულად მატულობდა. რაიონებში მოქმედი საგანგებო სამეულების განაჩენმა შეიწირა ასობით ადამიანის სიცოცხლე, რომელთა დევნა განხორციელდა სოციალური, რელიგიური და ქონებრივი კუთვნილების მიხედვით.

დასკვნა

მართალია, რთული დასაჯერებელია მსგავსი სისასტიკე იმჟამინდელი საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან, თუმცა ეს ყველაფერი რეალობას შეესაბამება და ქართული ისტორიის ნაწილია. ათასობით გაუბედურებული ოჯახი და უსაფუძვლოდ დასჯილი ადამიანი, რეპრესირებულთა შთამომავლების შელახული მდგომარეობა, იდუმალებით მოცული საქმეები და ძალიან მარტივად გადაწყვეტილი ბედი, ეს იყო წინა საუკუნის 20-30-იანი წლების წესად ქცეული საქმიანობა.

რეპრესიების დროს ნაკლებად მიიღებოდა მხედველობაში დასასჯელი პირის სოციალური და ეთნიკური წარმომავლობა, აქცენტი კეთდებოდა პირის საქმიანობაზე, ცხოვრების წესზე, საურთიერთობო წრეზე, მისი პიროვნების შეფასების სუბიექტურ ნიშნებზე. ძირითადი განმსაზღვრელი იყო ანტისახელისუფლებო და ანტისაბჭოთა იდეოლოგია, საქმინობა და მიმდევრობა, განსაკუთრებით დასაგმობი იყო ძირგამომთხრელი, კონტრევოლუციური საქმიანობა, შეთქმულებები, ამბოხი, უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან საიდუმლო ურთიერთობები, რელიგიური საქმიანობა, იატაკქვეშა ორგანიზაციების არსებობა. ეს ყველაფერი მიზანმიმართული იყო მოსახლეობის დასაშინებლად, მასობრივი დასმენები, შეთხზული და უსაფუძვლო ბრალდებები, მოწმედ გამოსვლები, ხალხში თესავდა უნდობლობას, აქვეითებდა სოციალური ურთიერთობების ხარისხს, შესაბამისად ხელისუფლების მიმართ ნეგატიურად განწყობილი ადამიანების გუნდურობის პერსპექტივის საშიშრობა ნაკლები იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

- პაპაჩემი სტალინი - აკრძალული მემუარები, ევგენი ჯუღაშვილი, გამომც. აზრი 2016 წელი;
- სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები - კანდიდ ჩარკვიანი, გამომც. არტანუჯი, 2015 წელი;
- მამაჩემი. კარგი სტალინი, ვიქტორ ეროფეევი, თბილისი, 2019 წელი;
- სტალინური სიები საქართველოდან, https://idfi.ge/ge/stalins-lists-from-georgia;
- საბჭოთა წარსული, https://www.gfsis.org/files/my-world/30/3_artcile.pdf;
- სტალინური სიები საქართველოდან, http://www.damoukidebloba.ge/c/news/october_1937_stalins_lists
- სტალინის "დიდი ტერორი". ყველაზე მარტივი კითხვები 1937 წელზე, https://jam-news.net/ge/stalinis-didi-terori-yvelaze-martivi-kitkhvebi-1937/;
- რეპრესიები საქართველოში, https://archive.gov.ge/ge/2017-1/represiebi-sakartveloshi-
- Съезд Всесоюзной коммунистической партии (б). 10-21 марта 1939 г. стенографический отчет. Москва, 1939;
- Из обращения ЦК ВКП(б) к коммунистам - работникам всех ЧК с оценкой деятельности ВЧК и местных

24 1924 წლის 28 აგვისტოს დილით, საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის და თვით აჯანყების ორგანიზატორებისთვისაც სრულიად მოულოდნელად, ამბოხების ალი ჭიათურაში აინთო. ამას მოჰყვა გამოსვლები ქვეყნის სხვადასხვა წერტილში. იმავე ღამით, ამბოხებულთა გამოსვლა გარე-კახეთის რიგ სოფლებში დაიწყო, კერძოდ, პატარძეულში, მარტყოფში, ნორიოში, დიდ ლილოში, ახალსოფელში. აჯანყებულები, რომლებიც, ძირითადად, ადგილობრივი მაცხოვრებლები იყვნენ, მიზნად ისახავდნენ სადგურ ვაზიანთან განლაგებული წითელი არმიის ბანაკზე იერიშის მიტანას, ქართული საჯარისო დანაყოფის გადმობირებით მათთან გაერთიანებასა და წითელარმიელების განიარაღებას.

25 საგანგებო სამეული შედგებოდა შემდეგი პირებისაგან: მ. კახიანი, ლ. ღოღობერიძე და ივანოვ-კავკაზსკი.

ЧК «Известия ВЦИК», № 29 (581);
- Сталин И. Итоги первой пятилетки. - М.: Партийное издательство, 1933;
- Из истории ВЧК. 1917-1921 гг. Сб. документов. - М.: Госполитиздат, 1958;
- ГУЛАГ: Главное управление лагерей. 1918-1960 / Под редак. Акад. А. Н. Яковлева. - М.: МФД, 2002;
- Гинзбург А. Я Тройки НКВД как особый инструмент в системе политических репрессий. // Вестник Университета им. Д. А. Кунаева № 2 (19). 2006;
- История сталинского ГУЛАГа. Конец 1920 - первая половина 1950-х годов: Собрание документов в 7-ми томах (Т.1. Массовые репрессии в СССР) /Отв. Ред. Н. Верт, В. Мироненко. - М.Российская политическая энциклопедия, 2004;
- Политические процессы 30-50-х годов. - М.: Политическая литература, 1991;
- Петров Н. В. Скоркин К. В. Кто руководил НКВД. 1934-1941: Справочник / Общество «Мемориал», РГАСПИ, ГАРФ. - М.: Звенья, 1999;
- УГОЛОВНЫЙ КОДЕКС РСФСР РЕДАКЦИИ 1926 года;
- https://docs.cntd.ru/document/901757374.

მომხმარებელთა უფლებების სამართლებრივი რეგულირება - წინ გადადგმული ნაბიჯი ევროინტეგრაციისკენ

ლიკა მორალიშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ციფრულ განზომილებაში ინაცვლებს კომერცია და სამოქალაქო ბრუნვა. ასეთი ფუნდამენტური ცვლილებების შემდეგ მნიშვნელოვანია კომერციულ ურთიერთობებში მომხმარებლის უფლებების დაცვა. მომხმარებელი წარმოადგენს გარიგების სუსტ მხარეს, რადგან მას არ აქვს საბაზრო ძალაუფლება. კომერციული საქმიანობის გაციფრულების შედეგად კი უკვე მოწყვლადი მომხმარებელი ხდება უფრო მეტად მოწყვლადი. მომხმარებლის დასაცავად მნიშვნელოვანია არსებობდეს სრულყოფილი და ეფექტური კანონმდებლობა, რომელიც ორიენტირებული იქნება თანამედროვე გამოწვევებზე.

საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი 2012 წლიდან 2022 წლამდე არ არსებობდა. 2022 წელს კი, ერთის მხრივ ევროკავშირთან ინტეგრაციის, ხოლო მეორე მხრივ - სამომხმარებლო ურთიერთობების დარეგულირების საჭიროების არსებობის გამო, კანონმდებელმა მიიღო გადაწყვეტილება და ძალაში შევიდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონი სრულ თანხვედრაშია ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან/რეგულაციებთან.

საკვანძო სიტყვები:
მომხმარებელთა უფლებები, ევროკავშირი, უსამართლო კომერციული პრაქტიკა, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ინფორმირების ვალდებულება

Regulation on Consumer Protection - A Step Forward to the EU Integration

Lika Moralishvili
Master of Laws,
Department of Law,
Tbilisi State University

Abstract

In the contemporary world along with developing the technologies, commerce and business transactions are slowly moving towards full digitalization. After this fundamental changes, it is crucial to protect the rights of consumers in commercial relationships. A consumer is considered to be a vulnerable side of the transaction because he/her does not have a bargaining power. After the digitalization of commercial activities, already

vulnerable consumer becomes more vulnerable, Therefore, In order to protect the rights of consumers, effective and complete legislation is needed. The legislation that will be oriented towards modern challenges is crucial in order to strengthen the protection of consumer rights.

For more than 10 years, between 2012 and 2022, Georgia lacked consumer legislation. In 2022 Georgian legislators made a decision and adopted the law “On the Protection of Consumer Rights”. The adoption was caused by the country’s desire to integrate in EU and, moreover, the actual need of regulations in the field of consumer rights. The law is aligned with all the relevant EU acquis.

Keywords:
Consumer Rights, European Union, Unfair Commercial Practice, Right to withdraw from contracts, Right to be informed

შესავალი

მომხმარებელსა და ბიზნესს შორის დღეს არსებული მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ე.წ ,,სუსტი მხარის" ინტერესების მაქსიმალურად დაცვა და მისი უფლებების რეალიზება. აღნიშნული დაცვის საუკეთესო მექანიზმი ამ ყოველივეს კანომდებლობაში მოწესრიგებაა, რათა დაიცვას მომხარებელი ისეთი საქონლის ან/და მომსახურების შეძენისგან, რომელიც შეიძლება იყოს ნაკლოვანი, საშიში ან სულაც, არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის პრეფერენციებს. ეფექტური მომხმარებელთა უფლებების კანონმდებლობა ორიენტირებულია მომხმარებლის არჩევანზე და ამავდროულად, კრძალავს მოქმედებით ან უმოქმედობით მომხმარებლის არჩევანზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენას. თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის ურთიერთობა ცდება ტრადიციულ გზებს და ინაცვლებს ელექტრონულ სივრცეში, განსაკუთრებით აქტუალურია მომხმარებელთა უფლებების დაცვის ისეთი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა, რომელიც თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაში იქნებოდა.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით, საქართველომ აიღო ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან დაახლოების ვალდებულება. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით განისაზღვრა მომხმარებელთა უფლებების მომწესრიგებელი დირექტივებისა და რეგულაციების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობაში.[1]

2022 წლის 29 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ", რომელიც შეესაბამება ევროკავშირში არსებულ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მომწესრიგებელ დირექტივებსა და რეგულაციებს.[2] შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კანონის მიღებით საქართველომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ევროინტეგრაციის შეუქცევად გზაზე.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო განვითარება საქართველოში

მომხმარებელთა უფლებების დაცვა ჯერ კიდევ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით იყო აღიარებული. 1996 წლიდან 2012 წლამდე არსებობდა კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", თუმცა იგი 2012 წელს გაუქმდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლიდან 2022 წლამდე (თითქმის 10 წლის განმავლობაში) საქართველოში არ არსებობდა მომხმარებლის უფლებების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები. მართალია, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრული იყო მოვაჭრის მიერ უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსება, თუმცა უგულებელყოფილი იყო მომხმარებლის მიერ მოვაჭრისთვის პროდუქტის უკან დაბრუნება ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, მოვაჭრის მიერ უსამართლო კომერციული პრაქტიკის განხორციელება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. მსგავსი ტიპის დავების წარმოქმნის შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობდა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმებით, რომელიც არ აწესრიგებდა კონკრეტულ ურთიერთობას და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ევროკავშირის სტანდარტებს. სამოქალაქო კოდექსით სრულყოფილად არ არის დარეგულირებული ისეთი ფუნდამენტური საკითხი, როგორიცაა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მომხმარებლის უფლებები, რაც თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს როგორც მომხმარებელზე, ასევე, ზოგადად სამოქალაქო ბრუნვაზე. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით, სამოქალაქო ბრუნვის ნაწილმა გადაინაცვლა ელექტრონულ სივრცეში, სადაც მომხმარებელი ყოველდღიურად დებს სხვადასხვა დისტანციურ ხელშეკრულებას (მაგ. ე.წ „Delivery" სერვისით სარგებლობა, ნივთის გამოწერა ვებ.გვერდიდან და ა.შ.)[3]. შესაბამისად, გარდა ევროკავშირთან ინტეგრაციის მიზნისა, უდავოა, რომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანი იყო ისეთი სპეციალური კანონის მიღება, რომელიც დეტალურად მოაწესრიგებდა მსგავს საკითხებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2022 წლის 29 მარტს ძალაში შევიდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, სადაც კონკრეტულად არის გაწერილი მომხმარებლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.

---

1 იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27/06/2014, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

2 იხ. განმარტებითი ბარათი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 5, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113041

3 Howells, „G. Protecting Consumer Protection Values in the Fourth Industrial Revolution". Journal of Consumer Policy 43, (2020). 147-148. ხელმისაწვდომია: https://doi.org/10.1007/s10603-019-09430-3

ინფორმირების ვალდებულება, როგორც მომხმარებლის უფლების დაცვის ერთ-ერთი გამოხატულება

გონივრული და სასარგებლო არჩევანის გასაკეთებლად მომხმარებელს უნდა მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია პროდუქტის დეტალური მახასიათებლებისა და მოვაჭრის შესახებ. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გზამკვლევში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ[4], ასევე ევროკავშირის საკანონმდებლო ნორმებში.[5]

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულია როგორც მომხმარებლისთვის ძირითადი ინფორმაციის მიწოდების ზოგადი ვალდებულებები, ასევე დისტანციურ ან/და სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულების დროს ინფორმირების დამატებითი მოთხოვნები. ძირითადი ვალდებულებები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა საქონლის/მომსახურების არსებითი მახასითებლები და ფასი, მოვაჭრის სახელწოდება და მისამართი, გარანტიის, მიწოდების ხარჯის და ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები.[6] თუმცა, დისტანციური ან/და სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულების დროს მოვაჭრე დამატებით ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ისეთი ტიპის დამატებითი ინფორმაცია, როგორიცაა საქონლის/მომსახურების ფასი გადასახადების ჩათვლით, საქონლის მიწოდების ფასი, მოვაჭრის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი (თუ იურიდიული მისამართისგან განსხვავებულია), დისტანციური კომუნიკაციების გამოყენების ხარჯი, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.[7]

მომხმარებლის უფლებების დაცვის გარანტია დისტანციურ და სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებებში

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ" ქვეპუნქტით განმარტებულია დისტანციური ხელშეკრულების ცნება, რომლის შესაბამისად, დისტანციურია ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის მხოლოდ დისტანციური კომუნიკაციის ერთი ან რამდენიმე საშუალების გამოყენებით, დისტანციური ნასყიდობის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზებული სქემის მეშვეობით და არ მოითხოვს მომხმარებლისა და მოვაჭრის ფიზიკურ თანაყოფობას. ამასთანავე, ხელშეკრულება დისტანციურ ხელშეკრულებად არ მიიჩნევა, თუ მხარეები ხელშეკრულების პირობებზე სარეწში შეთანხმდნენ და ხელშეკრულება დისტანციურად მხოლოდ ამის შემდეგ დაიდო.[8] ამავე მუხლის „ლ" ქვეპუნქტის მიხედვით კი, სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებაა ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის სარეწს გარეთ და მოითხოვს მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკურ თანაყოფობას.[9] კანონის აღნიშნული განმარტება თანხვედრაშია ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დირექტივასთან.[10]

შეიძლება ითქვას, რომ კანონი დისტანციურ ხელშეკრულებად განიხილავს, ყველა ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც მხარეებს შორის დაიდო მათი ფიზიკური თანაყოფის გარეშე. ასეთი ტიპის ხელშეკრულების მაგალითები შეიძლება იყოს რაიმე ნივთის შეძენა ვებ.გვერდზე, სატელეფონო კომუნიკაციის ან სხვა საკომუნიკაციო ქსელის საშუალებით. რაც შეეხება სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულების ცნებას, აღნიშნული მოიცავს ისეთ შემთხვევებს, სადაც ხელშეკრულება დადებულია მოვაჭრის ჩვეულებრივი სავაჭრო საქმიანობის ადგილის გარეთ, ორივე მხარის ფიზიკური თანაყოფობით.[11]

აღსანიშნავია, რომ კანონმდებელმა მნიშვნელოვანი უფლებამოსილება მისცა მომხმარებელს, კერძოდ, ყოველგვარი მიზეზისა და საფუძვლის არსებობის გარეშე უარი თქვას დისტანციურ ან/და სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე მომსახურების ხელშეკრულების დადებიდან ან ნასყიდობის ხელშეკ-

4 United Nations, "Guidelines for Consumer Protection", New York and Geneva, United Nations, 2016. 7, მე-5 მუხლის (e) ქვეპუნქტი. ხელმისაწვდომია: https://unctad.org/system/files/official-document/ditccplpmisc2016d1_en.pdf

5 იხ. Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, მე-2 და მე-3 თავი. ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A02011L0083-20220528

6 საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ", მე-5 და მე-6 მუხლები, ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5420598?publication=0

7 დეტალურად იხილეთ. საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ", მე-10 მუხლი, ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5420598?publication=0

8 იქვე, მე-4 მუხლის „დ" ქვეპუნქტი.

9 იქვე, მე-4 მუხლის „ლ" ქვეპუნქტი.

10 იხ. Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, 20-ე და 21-ე პარაგრაფები. ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A02011L0083-20220528

11 ტერმინი „სარეწი" განმარტებულია „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" კანონის მე-4 მუხლის „კ" ქვეპუნქტით, „სარეწი – ნებისმიერი უძრავი ობიექტი ან მოძრავი ობიექტი, სადაც მოვაჭრე, ჩვეულებრივ, კომერციულ საქმიანობას ახორციელებს".

რულებიდან გამომდინარე ნივთის მიღებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, მომხმარებელს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ უნდა დაეკისროს არანაირი ხარჯის, მათ შორის ნივთის მიწოდების ხარჯის გაწევა.[12] აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევა ძალიან მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რადგან როდესაც პირი დებს დისტანციურ ხელშეკრულებას და არ აქვს შესაძლებლობა შეაფასოს ესა თუ ის ნივთი მატერიალურად, ეს ყოველივე გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული და მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე.

დამატებით აღსანიშნავია, რომ მოვაჭრემ მომხმარებელს დისტანციური ან/და სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულების დროს უნდა აცნობოს ხელშეკრულებაზე უპირობოდ უარის თქმის უფლების არსებობის შესახებ, ხოლო თუ არ აცნობებს, 14 კალენდარული დღე იცვლება 12 თვით.[13] მიუხედავად იმისა, რომ კანონი მომხმარებელს ანიჭებს ასეთი ტიპის ფართო უფლებამოსილებას, არსებობს ლოგიკური გამონაკლისების ჩამონათვალიც, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ წარმოიშობა მაშინ, როდესაც მომსახურება სრულად იქნა გაწეული, ნივთი ინდივიდუალური შეკვეთითაა დამზადებული, ნივთის დაბრუნება შეუძლებელია ჰიგიენური ან/და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზეზების გამო და ა.შ.[14]

ხელშეკრულებიდან გასვლის ეს უფლება განპირობებულია ე.წ „ინფორმაციული ასიმეტრიის“ და მოვაჭრის საბაზრო ძალაუფლების (ე.წ Bargaining Power) გამო. მომხმარებელი, როგორც ფიზიკური პირი, სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის მოვაჭრესთან, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის ძლიერი მონაწილეა, შესაბამისად, მომხმარებლის „მოწყვლადობა“, განსაკუთრებით კი დისტანციური/სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებების დროს, დაბალანსებული უნდა იყოს მისთვის ფართო უფლებების არსებობით.[15]

უსამართლო კომერციული საქმიანობა

უსამართლო კომერციული საქმიანობა წარმოადგენს მოვაჭრის ისეთ საქმიანობას, რომელმაც შესაძლებელია შეცვალოს მომხმარებლის ქცევა პროდუქტთან მიმართებით, შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი ან აიძულოს პროდუქტის/მომსახურების შესყიდვა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის უსამართლო კომერციული საქმიანობის მომწესრიგებელი დირექტივა 2005/29/EC არ მოითხოვს, რომ მომხმარებელი უკვე იყოს დაზარალებული, დირექტივის მიზნებისთვის საკმარისია ისიც, რომ მოვაჭრის საქმიანობა პოტენციურად უარყოფით გავლენას ახდენს მომხმარებლის ინტერესზე.[16]

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის მე-6 თავი ეხება სწორედ უსამართლო კომერციულ საქმიანობას. კანონის მიხედვით, უსამართლო კომერციული საქმიანობაა ისეთი საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს და არსებითად უარყოფითად ცვლის მომხმარებლის ქცევას. კანონი უსამართლო კომერციულ საქმიანობას ყოფს მოქმედებით გამოხატულ შეცდომაში შემყვან და უმოქმედობით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობად, ასევე, აგრესიულ კომერციულ პრაქტიკად.

მოქმედებით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული პრაქტიკის მაგალითებია ისეთი ქმედებები, როგორიცაა სანდოობის ან ხარისხის ნიშნის მითვისება, პირამიდული სქემის ჩამოყალიბება, განსაკუთრებულ პირობებზე ცრუ განაცხადის გაკეთება და ა.შ. [17] უმოქმედობით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობის სიას/მაგალითებს კანონი არ გვთავაზობს, კანონმდებლის მიდგომა ამ კონკრეტულ შემთხვევაში უფრო ფართოა და მიუთითებს ისეთ ზოგად შემთხვევებზე, როდესაც მოვაჭრემ მომხმარებელს არ მიაწოდა საჭირო ინფორმაცია და ამ ქმედების შედეგად უარყოფითად შეიცვალა მომხმარებლის ქცევა.[18]

აგრესიული კომერციული საქმიანობა მოიცავს მოვაჭრის ისეთ ქმედებებს, როგორიცაა სატელეფონო ან სხვა დისტანციური საშუალებით მომხმარებლისთვის მუდმივად არასასურველი შეთავაზებების გაკეთება, შთაბეჭდილების შექმნა, რომ მომხმარებელი ვერ დატოვებს სარეწს ნივთის/მომსახურების

12 საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, მე-13 მუხლი, ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5420598?publication=0

13 იქვე, მე-13 მუხლის მე-8 პუნქტი.

14 დეტალურად იხილეთ იქვე, მე-14 მუხლი.

15 Abril, Patricia, Oliva Blázquez. „The Right of Withdrawal in Consumer Contracts: A Comparative Analysis of American and European Law“ . InDret, Vol. 3, 2018, University of Miami Business School Research Paper No. 18-13, 2020. 5. ხელმისაწვდომია: https://ssrn.com/abstract=3260506

16 მაისურაძე, შაკიაშვილი და სხვები. რეგულირების ზეგავლენის შეფასება საქართველოს კანონპროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“. თბილისი, GIZ, 2019 წ. გვ. 31. ხელმისაწვდომია: http://lawlibrary.info/ge/books/giz2020_GEO_RIA_CRP_LAw.pdf

17 დეტალურად იხ. საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 25-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5420598?publication=0

18 იქვე, 26-ე მუხლი.

შეუძენლობის შემთხვევაში, რეკლამაში ბავშვისთვის მოწოდება ნივთის/მომსახურების შესაძენად.[19] შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი აგრესიულიად მიიჩნევს მოვაჭრის ისეთი საქმიანობას, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მომხმარებელზე, აიძულებს ქცევის შეცვლას, იძულების ან სხვა გავლენების ბოროტად გამოყენებით. ანალოგიური მიდგომაა გამოყენებული ევროკავშირის შესაბამის საკანონმდებლო აქტშიც - უსამართლო კომერციული საქმიანობის შესახებ 2005/29/EC დირექტივაში. კერძოდ, ევროკავშირი კომერციულ საქმიანობას მიჩნევს აგრესიულად, თუ იგი ფაქტობრივად, ზეწოლით, ფიზიკური ძალის ან სხვა ზეგავლენის გამოყენებით ზღუდავს საშუალო მომხმარებლის თავისუფალ ნებას.[20]

დასკვნა

როგორც აღინიშნა, 2012 წლიდან დღემდე საქართველოში არ არსებობდა მომხმარებლის უფლებების დაცვის მომწესრიგებელი ნორმები. აღნიშნული კანონის მიღებით კი ჩნდება შესაძლებლობა შეივსოს ეს საკანონმდებლო ვაკუუმი. წინამდებარე სტატიაში მიმოხილული რამდენიმე ძირითადი საკითხი უდაოდ პოზიტიურად იმოქმედებს როგორც ქართველ მომხმარებლებზე, ასევე ეკონომიკაზეც. აღიარებულია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეფექტური საკანონმდებლო ჩარჩო ხელს უწყობს დინამიური და ეფექტური ბაზრების განვითარებას, სადაც ბიზნესებს შესაძლებლობა აქვთ გაზარდონ მოგება. პირველ რიგში, ეფექტური საკანონმდებლო ჩარჩო ხელს უწყობს ბაზრის სტაბილურობას, ბიზნესი (მოვაჭრეები) სამომხმარებლო პოლიტიკას აგებენ სწორედ მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო ჩარჩოს გათვალისწინებით. მომხმარებელთა მოთხოვნები ხელს უწყობს ინოვაციასა და ეკონომიკურ განვითარებას იმ კუთხითაც, რომ მოვაჭრეები ვალდებულნი არიან დააწესონ სამართლიანი ფასები და მომხმარებლებს შესთავაზონ ფასის შესაბამისი ხარისხის საქონელი და მომსახურება.[21]

მომხმარებელთა უფლებების სამართლის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ინსტიტუციურ გარანტიებს, რომლითაც მომხმარებელს საშუალება ექნება კანონის დარღვევის შემთხვევაში დაიცვას საკუთარი უფლებები. ასეთი ინსტიტუციები განსაზღვრულია კანონით. კერძოდ, კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, ამავდროულად, თუ სავარაუდო დარღვევა სახეზეა ეკონომიკის რეგულირებად სექტორებში, მის აღსრულებაზე პასუხისმგებლობა გადადის შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ ორგანოზე (მაგ. სემეკი, კომუნიკაციების კომისია, ეროვნული ბანკი, დაზღვევის ზედამხვედველობის სამსახური).[22] დამატებით აღსანიშნავია, რომ კონკურენციის ეროვნული სააგენტო და მარეგულირებელი ორგანოები არ წარმოადგენენ კანონის აღმასრულებელ ექსკლუზიურ ორგანოებს. მომხმარებელს საკუთარი უფლებების დასაცავად შეუძლია მიმართოს სასამართლოს, არბიტრაჟს ან დავა მოაგვაროს მედიაციის საშუალებით.[23]

უდავოა, რომ კანონი გვთავაზობს მომხმარებლის დაცვისთვის მაღალ სტანდარტებს. აღნიშნული სტანდარტები დიდი სარგებლის მომტანია, როგორც მომხმარებლისთვის, ასევე - ბიზნესისთვის. თუმცა, ამ სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა უპირატესად ბიზნესის წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ. ხოლო შემდგომში, ამ სტანდარტების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების ავ-კარგიანობა უნდა შეფასდეს შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ. ამ კუთხით განსაკუთრებით დიდი როლი შეიძლება მიენიჭოს სასამართლოს, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, კანონის დარღვევის თაობაზე მომხმარებელს სასამართლოსადმი მიმართვაც შეუძლია. სასამართლოს დანერგილი პრაქტიკა, კონკრეტული ნორმის განმარტება კი დე ფაქტოდ სავალდებულო იქნება კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელ სხვა ორგანოებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

- Abril, Patricia, Oliva Blázquez. „The Right of Withdrawal in Consumer Contracts: A Comparative Analysis of American and European Law“ . InDret, Vol. 3, 2018, University of Miami Business School Research Paper No. 18-13, 2020;
- ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States and Georgia. 27/06/2014;
- Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights;

19 იქვე, 27-ე მუხლი.

20 Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council of 11 May 2005 concerning unfair business-to-consumer commercial practices. მე-8 და მე-9 მუხლები. ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32005L0029

21 Maciej BUKOWSKI, Tomasz KACZOR. 'Consumer Protection, Delivering economic benefits for citizens and businesses". European Parliament, 2019. 6-7. ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2019/638396/IPOL_STU(2019)638396_EN.pdf

22 საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ", 28-ე მუხლის პირველი პუნქტი, ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5420598?publication=0

23 იქვე. 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

- Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council of 11 May 2005 concerning unfair business-to-consumer commercial practices;
- Explanatory Note of The Parliament of Georgia on the draft law "On the Protection of Consumer Rights";
- Howells, „G. Protecting Consumer Protection Values in the Fourth Industrial Revolution". Journal of Consumer Policy 43, (2020);
- Law of Georgia "On the Protection of Consumer Rights". 29/03/2022;
- Maisuradze, Shakiashvili and others. "Regulatory Impact Assessment of the Draft Law of Georgia on Consumer Rights Protection". Tbilisi. GIZ. 2019;
- Maciej BUKOWSKI, Tomasz KACZOR. 'Consumer Protection, Delivering economic benefits for citizens and businesses". European Parliament, 2019;
- United Nations, "Guidelines for Consumer Protection", New York and Geneva, United Nations, 2016.

წამებისა (სსკ-ის 1441) და განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულების (სსკ-ის 335) გამიჯვნის პრობლემატიკა თეორიასა და ქართულ პრაქტიკაში

მარიამ რუბაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი
თემის ხელმძღვანელი: გიორგი დგებუაძე
თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ადამიანის ძირითადი უფლებების, თავისუფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვასა და რეალიზებისთვის სათანადო პირობების შექმნას. საქართველომ ამ მხრივ პროგრესული ნაბიჯი გადადგა და იკისრა შესაბამის საერთაშორისო ნორმებთან საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ვალდებულება, რამაც შემდგომში უკვე საშუალება მოგვცა, ახლებურად გაგვეაზრებინა სამამულო კრიმინოლოგიის ცალკეული მეცნიერული დებულებანი, შეგვეცვალა თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტები და ყოველივე ეს მოგვერგო იმ გამოწვევებისთვის, რომელთა წინაშეც დგას დღეს ქართული სისხლის სამართალი. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონით დაცული ღირებულებების ჩამონათვალში პირველ ადგილზე სწორედ ადამიანის უფლებები თუ თავისუფლებები დგას, ხოლო პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმები კოდექსის კერძო ნაწილშია წარმოჩენილი.

ქართულმა სისხლისსამართლებრივმა კანონმდებლობამ გარკვეული ცვლილებები განიცადა და 2005 წლის 23 ივნისისთვის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა წამების მუხლი (1441), რომელიც კოდექსის ძველი რედაქციით ექცეოდა სსკ-ის 126-ე მუხლის რეგულირების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა ნოვაციამ ერთის მხრივ ხელი შეუწყო საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცის პროცესს, მეორე მხრივ წარმოშვა გარკვეული სახის პრობლემებიც, რამაც პრაქტიკაში ძირითადად გამოვლინება ჰპოვა დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციის საკითხში.

აღნიშნული ნოვაციის შემდეგ დოქტრინასა და პრაქტიკაში გაჩნდა მთავარი კითხვა - თუ როგორ უნდა მოხდეს იმ მოხელის ქმედების შეფასება, რომელმაც წამება ან მისი მუქარა გამოიყენა ჩვენების მიცემისთვის.

საკითხის აქტუალურობისა და მწვავე პრობლემატიკის გათვალისწინებთ, წინამდებარე ნაშრომის მთავარ ამოცანაა წამებისა და სამოხელეო დანაშაულის (სსკ-ის 335-ე მუხლი) ინსტიტუტებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემის განხილვა, რისთვისაც, უპირველესად, შემოთავაზებული იქნება აღნიშნული თემის სისტემური კვლევა.

გარდა ამისა, სტატიის ძირითადი ნაწილი დაეთმობა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის ანალიზს, როგორიცაა ამ ორი ნორმის ურთიერთმიმართების, მათი გამოყენების საკითხი დოქტრინასა და ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, რომლის უკეთ გასაანალიზებლად მოშველიებული იქნება ქართული სასამართლო პრაქტიკიდან კონკრეტული მაგალითები და სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობები, რომელთა ანალიზი ცხადჰყოფს იმ სამართლებრივ შედეგს, რაც კანონში არსებულ ამ ,,ბზარებს'' მოჰყვა.

ნაშრომის დასასრულს კი საუბარი იქნება კონკრეტულ რეკომენდაციებზე, რომელთა სამომავლო საკანონმდებლო რეგულირება თავიდან აგვაცილებდა პრაქტიკაში ,,გაუგებრობებს'' და ხელს შეუწყობდა ჯანსაღი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები:
წამება, მოხელე, სამოხელეო დანაშაული, იძულება, გამიჯვნა

The Problem of Separation of Torture (1441 of the Criminal Code) and Coercion to Give an Explanation, Testimony or Conclusion (335 of the Criminal Code) in Theory and Georgian Practice

Mariam Rubashvili
4th Year Student of Bachelor Degree Program, Department of Law,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Supervisor: George Dgebuadze
Assistant Professor at TSU,
Doctor of Law

Abstract

In the modern world, an increasing attention is paid to creating appropriate conditions for the protection and realization of basic human rights, freedoms, and legal interests. It is worth noting that Georgia took a progressive step in this regard and undertook the obligation to harmonize its legislation with the relevant international norms, which subsequently allowed us to understand the separate scientific provisions of the national criminology in a new way, to change the priorities of the modern criminal law policy, and to adapt all of this to the challenges that Georgia is facing today in criminal law. It is no coincidence that the rights and freedoms of human beings and citizens are in the first place in the list of values protected by the criminal law of Georgia. As for the norms determining the criminal responsibility for a crime committed against a person, they are presented in the private part of the Code.

The criminal law of Georgia has undergone some changes and by June 23, 2005, the article on torture (1441) was added to the Criminal Code that was under the regulation of Article 126 of the old version of the Criminal Code. In spite of the fact that the mentioned novation, on the one hand, contributed to the process of harmonization with international norms, on the other hand, it gave rise to certain types of problems, which in practice were mainly manifested in the issue of qualification of criminal actions.

After introducing the mentioned novation, the main question arose in the doctrine and practice - how to evaluate the action of an official who used torture or threat of it for giving a testimony.

Considering the relevance and acuteness of the problem, the main purpose of the present paper is to discuss the basic problem related to the institutions of torture and official crime (Article 335 of the Civil Code). For attaining this goal, first of all, a systematic study of the mentioned topic will be proposed.

In addition, the main part of the paper will be devoted to the analysis of an important issue such as the relationship between these two norms and their application in doctrine and Georgian judicial practice. For better analysis, specific examples from Georgian judicial practice and the judgments developed by the court will be provided. Analyzing all of this will reveal the legal consequence resulting from these “gaps” in the law.

At the end of the paper, we will talk about specific recommendations that would prevent “misunderstandings” in practice in case of future legislative regulation and would contribute to the establishment of sound judicial practice.

Keywords:
Torture, official, official crime, coercion, separation

შესავალი

დანაშაულთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა უკავია სისხლის სამართლის კანონს, რადგან, სწორედ მის საფუძველზე ხორციელდება როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ისე საქართველოს კონსტიტუციური წეს-წყობილობის შენარჩუნება და დაცვა. თანამედროვე მსოფლიოს განვითარებამ ნელ-ნელა დაამკვიდრა სისხლის სამართლის დანაშაულთა რიცხვის ზრდის ტენდენცია, რასაც სტატისტიკაც მოწმობს. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანის სისხლის სამართალი მრავალი გამოწვევისა და პრობლემის წინაშე დადგა, მათ შორის ერთ-ერთ აქტუალური საკითხი იყო და არის დანაშაულთა საერთო რიცხვში წამების, როგორც დანაშაულის ხვედრითი წილი.

აღსანიშნავია რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველომ თავისი სამართლებრივი პოლიტიკის კონცეფცია მთლიანად მოაქცია ჰუმანიზმისა და ,,სისხლისსამართლებრივი რეპრესიების ეკონომიის'' [1] პრინციპის განუხრელ დაცვაზე, რაც უკვე იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი ღონისძიების გატარებისას, უნდა გამოირიცხოს შეურაცხყოფა, წამება და სხვა ძალადობრივი ქმედებანი.

მეცნიერების ნებისმიერ სფეროში არის პრობლემები, რომელთა მიმართ ინტერესი მუდმივია და არ არის დამოკიდებული თეორიული ორიენტაციებისა და პარადიგმების ცვლაზე, თუმცაღა, თანამედროვე მიდგომებმა დღის წესრიგში დააყენა ქართულ სისხლისსამართლებრივ კაანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების ინიცირება, რის საფუძველზეც 2005 წლის 23 ივნისისთვის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა წამების მუხლი (144[1]), რამაც ერთიორად გაზარდა ინტერესი აღნიშნული ქმედებისადმი და საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცის პროცესთან ერთად საფუძველი დაუდო დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა პრობლემების წარმოშობას. სწორედ ამიტომ, წინამდებარე სტატიის მთავარი ამოცანა იქნება პასუხი გაეცეს მთავარ კითხვას -თუ სად გადის ზღვარი წამებასა და ჩვენების მიცემას შორის და როგორ მოხდება იმ მოხელის ქმედების შეფასება, რომელმაც წამება ან მისი მუქარა გამოიყენა ჩვენების მიცემისთვის.

თავი 1 - წამების, როგორც დანაშაულებრივი ქმედების ზოგადი მიმოხილვა

წამებისთვის, როგორც დანაშაულებრივი ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი დასაბუთების საკითხი უკანასკნელ პერიდში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და ამავდროულად საკამათო თემად იქცა ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებისთვის, რაც განპირობებული იყო იმ ფაქტის არსებობითაც, რომ განსახილველი ნორმა ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის სიახლეს წარმოადგენს, რომლის განმარტებაც აგებულია სამართლებრივი ქცევის იურიდიულ კონსტრუქციაზე დაყრდნობით და შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ წამების ზუსტი ცნების განსაზღვრა არ არის მარტივი, ვინაიდან , თავად დეფინიცია არის საკმაოდ ფართო და მრავლისმომცველი, თუმცაღა, წამების ყველაზე სრულყოფილი განმარტება წარმოდგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ,,წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ'' კონვენციაში, რომლის 1-ელი მუხლის თანახმად წამება ნიშნავს ,,ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტკივილი ან ტანჯვა განზრახ მიადგა პირს იმ მიზნით, რომ მისგან ან მესამე პირისაგან მიღებულ იქნეს ინფორმაცია ან აღიარება, მისი დასჯა იმ ქმედებისთვის, რომელიც მან ჩაიდინა ან ბრალდებულია მის ჩადენაში, მისი დაშინებით ან იძულებით ან ნებისმიერი სახის დისკრიმინაციაზე დაფუძვნებული მიზეზით, როცა ასეთი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია წაქეზებით, თანხმობით ან თანამდებობის პირის უსიტყვო თანხმობით''.[2]

დღეის მდგომარეობით წამება მოწესრიგებულია სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლში, რომელიც, ასევე იძლევა აღნიშნული ქმედების ლეგალურ დეფინიციასაც. თავად ნორმის დისპოზიციის გათვალსწინებით, შეიძლება ითქვას, რომ კოდექსის დღეს მოქმედი რედაქცია წამებას განიხილავს, როგორც ,, პირისთვის ან მისი ახლო ნათესავისთვის, ან მასზე მატერიალურად დამოკიდებული პირისთვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას.''[3]

განსახილველი დანაშაულის ანალიზისას, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნორმის პირველი ნაწილის დისპოზიციური ბუნდოვანება და ,შესაბამისად, პრობლემის პირველი ნაწილიც აქ იწყება, კერძოდ, ნორმის დანაწესიდან ვკითხულობთ ,, ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა ,

1 ბესელიაე.,,წამებისმსხვერპლისუფლებებისდაცვისპრობლემასაქართველოში:სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები'' , თბილისი, 2015 წელი, გვ.36

2 ბატონიშვილი დ. ,, სამართლის ინსტიტუტი, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა'', თბ., 2013, გვ. 66.

3 გვასალია თ. ,,წამება როგორც დანაშაული და სასჯელი როგორც სახელმწიფოს ლეგიტიმური ზეწოლის მექანიზმი'', სამართალი და მსოფლიო, N4, 2016 წელი, გვ.129

რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხაგრძლივობით იწვევს...". კანონმდებელი ქმედების ობიექტური მხარის განსაზღვრისას არ აკონკრეტებს თუ ზუსტად რას შეიძლება მოიცავდეს ,,პირობების შექმნა'' ან ''მოპყრობა'' ან როგორი ქმედებები შეიძლება მოიაზრებოდეს აღნიშნული ცნებების ქვეშ. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე. წ ,,კაუჩუკის პრინციპთან''[4], რაც თავის მხრივ სასამართლოს სუბიექტივიზმს აძლევს ფართო გასაქანს, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებითა და მათ ანალიზზე დაყრდნობით გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, ქართველმა კანონმდებელმა წამების დეფინიცია დაუქვემდებარა კონკრეტული მიზნებით მოქმედებას, რომ ქმედება უნდა ხორციელდებოდეს განზრახვით კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ნორმის მე-2 ნაწილის მიხედვით, ქმედების განმახორციელებელი სუბიექტი ზუსტდება და სახეზე გვყავს სპეციალური მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც ექცევა დამამძიმებელ გარემოებათა კატეგორიაში, რაზედაც სახელმწიფოს რეაქციაც უფრო მწვავეა, ვინაიდან, სახელმწიფოს მსახური მთლიანადაა დაჩრდილული საჯარო ინტერესებით, რათა მოხდეს საზოგადოების ინტერესების მიზანშეწონილი და სამართლებრივად გამართლებული დაკმაყოფილება.

პრობლემა ამით არ მთავრდება, მეტიც, ძირითადი კვანძი აღიშნული პრობლემატიკისა ამ ეტაპზე იხსნება, როცა საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის დროს, დღის წესრიგში დგება ქმედების კვალიფიკაციის საკითხი და ჩნდება მთავარი კითხვა - ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს წამებით (144[1]) თუ განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულებით (335-ე მუხლი), რაც მოწესრიგებულია კოდექსის სამოხელეო დანაშაულის თავში. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კი მნიშვნელოვანია ზუსტად მოხდეს სსკ-ის 335-ე მუხლის იურიდიული მეცნიერების ჩარჩოებში მოქცევა და მისი ცნების სისტემური ანალიზი.

თავი 2 - განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიღების იძულების (სსკ-ის 335 მ.) ზოგადი დახასიათება

უნდა აღინიშნოს, 335-ე მუხლის დისპოზიცია მოქცეულია სამოხელეო დანაშაულის თავში და ,შესაბამისად, ამ დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ,,ხელისუფლების ორგანოების ნორმალური საქმიანობა, რომელიც ხელყოფილია წინასწარი გამოძიების ორგანოთა მოხელის უკანონო მოქმედებით. ამ დანაშაულის დამატებით ობიექტს წარმოადგენს ადამიანისა და მოქალაქის კანონიერი ინტერესები."[5]

მუხლის დისპოზიციის ანალიზიდან გამომდინარე, ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა არა მარტო მაშინ, როდესაც პირს აიძულებენ მისცეს ცრუ ჩვენება, არამედ მაშინაც, როდესაც იძულებით ხდება მისგან ჭეშმარიტი ჩვენების მიღება. ასეთ დროს კვალიფიკაციისთვის არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა არის დამნაშავის საბოლოო მიზანი - საქმის გახსნა თუ ,,საქმის გაფუჭება",[6] ან მოპოვებული ჩვენება ბრალდების მხარის სასარგებლო ინფორმაციას შეიცავს თუ დაცვის მხარის. ამრიგად, კანონმდებელი 335-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ამსრულებელის კონკრეტიზაციას ახდენს და იმპერატიულად განამტკიცებს რომ სსკ-ის 335-ე მუხლით რეულირების სფეროში სახეზეა სპეციალური სუბიექტი, რომელიც შესაძლოა იყოს მაგალითად პროკურორი ან გამომძიებელი.

დამატებით, გარკვეული კითხვის ნიშნები შეიძლება გაჩნდეს მოსამართლესთან, როგორც მოხელესთან მიმართებით, თუმცაღა, ამ შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტა მარტივია, ვინაიდან ამ უკანასკნელის მიერ კონკრეტული პირის დაკითხვისას ნებისმიერი სახის იძულების გამოყენება მოექცევა სხვა მუხლის რეგულირების სფეროში და დაკვალიფიცირდება უფლებამოსილების გადამეტებად, რაც ამ ეტაპზე ინტერესის სფეროს მიღმაა.

თავი 3 - წამებისა და სამოხელეო დანაშაულის (335-ე მუხლი) გამიჯვნის პრობლემატიკა თეორიაში

3.1 - ნორმათა კოლიზია თუ ნორმათა კონკურენცია?

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკრეტული ქმედების კვალიფიკაციის მომენტში თავს იჩენს ხოლმე მთელი რიგი პრობლემები თუ კონკრეტულად რომელი მუხლის რეგულირების სფეროში უნდა მოექცეს ესა თუ ის ქმედება. პრაქტიკაში ხშირად დამატებით კითხვის ნიშნები ჩნდება იმ მოხელის ქმედების კვალიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც წამება ან მუქარა გამოყენებული აქვს ჩვენების გამოძალვის ერთ-ერთ აქტიურ ხერხად.

4 ლეკვეიშვილი მ, მამულაშვილი გ , თოდუა ნ, ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი", წიგნი 1, თბილისი, 2019 წელი, გვ.321

5 ლეკვეიშვილი ნ, მამულაშვილი გ, თოდუა ნ , ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი", წიგნი 2, თბილისი, 2020 წელი, გვ.380

6 აქვე გვ. 382

ამ შემთხვევაში, 144^1 მუხლის მეორე ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტი ამით გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნის 335-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტთან მიმართებით, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის დაწესებას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის იძულებისათვის განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მისაცემად , როცა ასეთი ქმედება ჩადენილია სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ბუნებრივია ჩნდება კითხვა: როცა მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი წამებით აიძულებს კონკრეტულ პიროვნებას მისცეს ჩვენება, მაშინ რომელი მუხლის რეგულირების სფეროს უნდა მივაკუთვნოთ ქმედება - ეს უკანასკნელი დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 144^1 მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტით თუ 335-ეს მეორე ნაწილით, რაც თავისთავად გულისხმობს წამებასაც?

ერთი შეხედვით ამ ორ დანაშაულებრივ ქმედებას შორის მარტივია განმასხვავებელი ნიშნების ზედაპირზე გამოტანა. კერძოდ, ის, რომ წამება არის მიზნით დაფუძნებული დელიქტი და შესაბამისად, წამება ხდება პირისგან ინფორმაციის ან/და მტკიცებულების მიღების მიზნით, რისი საჩვენებელი მაგალითი არაერთია რეალურ ცხოვრებაში, თუნდაც, როცა პროკურორი მოწმისგან იღებს რაიმე სახის მისთვის სასარგებლო ინფორმაციას ან როცა ამ უკანასკნელმა უნდა გამოუჩინოს გადამალული ნივთიერი სახის მტკიცებულება.

ამდენად, თითქოს სადავო არცაა, რომ, როცა მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი იყენებს წამებას ჩვენების თუ დასკვნის მისაღებად, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 144^1 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტით, [7] თუმცაღა , სწორედ აქ იწყება მთავარ პრობლემაც. კანონმდებელს ამგვარი ქმედებისთვის პასუხისმგებლობა უკვე დაწესებული აქვს სამოხელეო დანაშაულის თავში 335-ე მუხლის სახით, თანაც აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეს უკანასსკნელი მუხლი კოდექსის ძველ რედაქციაშიც მოცემული იყო, ხოლო წამება კი დღეს მოქმედი სისხლის სამართლისთვის ნოვაციას წარმოადგენს და თავისი არსებობის ისტორიას მხოლოდ 2005 წლიდან ითვლის. მაშასადამე, დგება საკითხი- კვალიფიკაციისას რომელ მუხლს უნდა მიენიჭოს უპირატესობა?

იმისთვის, რომ პასუხი გაეცეს დასმულ შეკითხვას, ჯერ ამ ნორმათა ურთიერთმიმართების საკითხი უნდა გადაწყდეს: ადგილი აქვს ნორმათა კოლიზიას თუ ნორმათა კონკურენციას?

აღნიშნული თემა მეცნიერთა წრეში ცხარე დავის ობიექტად იქცა და შედეგად გამოიკვეთა არაერთი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაც, თუმცაღა, თუკი ნორმათა სისტემური განმარტებისას ჩავთვლით, რომ იკვეთება ამ ორი მუხლის კოლიზია, ანუ მოცემულობა, როცა ერთიდაიგივე ქმედება დაკვალიფიცირებულია ორი სხვადასხვა მუხლით, მაშინ პრობლემატიკის გადასაწყვეტად იარსებებს ერთადერთი გონივრული გზა, რომ უპირატესობა მიენიჭოს სსკ-ის 144^1 მუხლს (წამება),მისი ნოვაციური ხასიათიდან გამომდინარე, მაგრამ თუ ჩავთვლით, რომ სახეზე გვაქვს ნორმათა კონკურენცია ანუ ზოგადი და კერძო ნორმების ურთიერთმიმართება , მაშინ სსკ-ის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად ნათელია, რომ უპირატესობა მიენიჭება სპეციალურ ნორმას, მაგრამ დასმული საკითხის სირთულე სწორედ იმაში გამოიხატება, რომ განსახილველი მუხლები ნორმათა კოლიზიისა და მათი კონკურენციის ურთიერთმიჯნაზეა, რაც ერთიორად ართულებს პრობლემის გადაწყვეტასა და ქმედებისთვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭებას.

ორივე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ აშკარად იკვეთება ნორმათა კოლიზიის ნიშნებიც, რადგან ორივე შემთხვევაში სახეზეა ქმედება, რომლიც გამოირჩევა თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით. შესაძლოა ამ შემთხვევაში გაჩნდეს გარკვეული ბუნდოვანება სსკ-ის 335-ე მუხლის დისპოზიციასთან მიმართებით, ვინაიდან,კანონმდებელი არ აკეთებს პირდაპირ მითითებას ქმედების ხასიათის ინტენსივობასა და ხანგრძლივობაზე. მუხლის სისტემური განმარტების მეთოდი იძლევა ასეთის არსებობის ვარაუდის საშუალებას. გარდა ამისა, ორივე ქმედებაში იკვეთება ძლიერი ფიზიკური ტკივილი ან მორალური თუ ფსიქიკური ტაჯვა, რაზეც ასევე არაა პირდაპირი მითითება გაკეთებული კანონმდებლის მხრიდან, მაგრამ, ნორმის ტელეოლოგიური განმარტებიდან, შეუძლებელიც კი იქნება ქმედება მოექცეს სსკ-ის 335-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტით რეგულირების სფეროში და ის არ შეიცავდეს ფიზიკური თუ ფსიქიკური ტანჯვის ელემენტებს.

რაც შეეხება თავად დანაშაულის სუბიექტს, დამთხვევა აქაც სახეზეა. სსკ-ის 335-ე მუხლსა და წამების მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტშიც ეს არის სპეციალური სუბიექტი - მოხელე ან მასთა გათანაბრებული პირი.

მეცნიერ-იურისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ სახეზეა ნორმათა კოლიზია, თუმცაღა ამ შემთხვევაში ბევრად რაციონალური და სამართლებრივად სწორი იქნება პრობლემის გადაჭრა ნორმათა კონკურენციის მოსაზრების განმავითარებლების პოზიციის გაზიარებით, რის ჭეშმარიტებასაც ადასტურებს არაერთი არგუმენტი, მათ შორის კი ძირითადია:

ა) წამების მუხლი არის საერთო დელიქტი, რომლის ამსრულებელია სისხლის სამართლის ყველა სუბიექტი (14 წელს მიღწეული ბრალუნარიანი პირი), ხოლო სსკ-ის 335-ე მუხლი არის სპეციალური დელიქტი, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი);

<u>ბ) წამება</u> გათვალისწიებულია წამების მუხლის ძირითად შემადგენლობაშივე (ანუ მისი პირველ 7 წამება ან წამების მუქარა, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. მოხელის ქმედების კვალიფიკაცია, როცა წამება ან მისი მუქარა გამოყენებულია ჩვენების მიცემის იძულებისთვის. ,,საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევების კრებული'', თბილისი, 2015 წელი, გვ. 99

ნაწილში) მაშინ, როცა სსკ-ის 335-ე მუხლის პირველ ნაწილში წამება არაა გათვალისწინებული, ამ უკანასკნელზე მითითებაა გაკეთებული მხოლოდ მის დამამძიმებელ გარემოებაში მე-2 ნაწილში, ამდენად , სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილი არის წამების სპეციალური შემადგენლობა;

გ) წამების მიზანი შესაძლოა იყოს სხვადასხვაგვარი. კერძოდ ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღარების მიღება, ასევე პირის დაშინება ან იძულება ანდა მისი დასჯა. რაც შეეხება სსკ-ის 335-ე მუხლს , მას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს . ესაა პირის იძიულება, რათა მისცეს განმარტება ან დასკვნა.[8]

თავის მხრივ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა აჩენს კიდევ ერთ ბუნდოვანებას: რა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება წამების მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებით, რაც ჩადენილია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ?

ქმედებას ამ მუხლით კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს მაშინ, როცა წამების ჩამდენი მოხელის მიზანი არაა წამების შედეგად მოპოვებული აღიარების, ინფორმაციისა თუ მტკიცებულების სისხლისსამართლებრივ საქმეში გამოყენება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს მოხელე არ უნდა აწარმოებს გამოძიებას ან სისხლისსამართლებრივ დევნას. იგი მიმართავს წამებას, რათა შეიტყოს ისეთი ინფორმაცია ან ხელთ იგდოს ისეთი მტკიცებულება, რაც მას აინტერესებს პირადი ან/და სამსახურეობრივი ინტერესებიდან გამომდინარე.[9] მაგალითისთვის დავუშვათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ადგილი ჰქონდა ბუნტს, ხოლო ამ დაწესებულების ხელმძღვანელმა აწამა იქ მოთავსებული ერთ-ერთი პირი , რათა მისგან მიეღო ინფორმაცია აღნიშნული ბუნტის ორგანიზატორზე. ასეთ შემთხვევაში, კვალიფიკაცია დადგება არა სსკ-ის 335- მუხლით, არამედ წამების დამამძიმებელი გარემოებით.

თუმცაღა თემის ამგვარი გადაწყვეტა არ ნიშნავს პრობლემის დასასრულს, ვინაიდან, ამჯერად გარკვეულ ხარვეზებს ვაწყდებით უკვე სანქციათა ეტაპზე - სსკ-ის 335 მუხლის მეორე ნაწილის სანქცია გაცილებით მსუბუქია (თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან ცხრა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე), ვიდრე სსკ-ის 144[1] მუხლის მე-2 ნაწილის (თავისუფლების აღკვეთა ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე).

როგორც ჩანს, ის, რაც წამების ამ დამამძიმებელ გარემოებაში სასჯლის მინიმუმია, სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით სასჯელის მაქსიმუმია, რაც კანონმდებელს ობიექტურად არასახარბიელო სიტუაციაში აყენებს, რადგან ჩვენების, განმარტების ან დასკვნის მისაცემად გამოყენებული წამება ჩადენილი მოხელის მიერ, რომლის მიზანია ეს ჩვენება მტკიცებულებად იქნეს გამოყეებული გამოძებისას უფრო მსუბუქად ისჯება, ვიდრე მოხელის მიერ ჩადენილი წამება რაიმე ინფორმაციის მისაღებად, რაც სრულიად გაუმართლებელია.[10]

თავი 4 - წამებისა და სამოხელეო დანაშაულის გაიჯვნის პრობლემატიკა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

4.1 - სსკ-ის 335-ე მუხლი- მოქმედი სამართლებრივი ბერკეტი თუ თეორიული ფორმულაცია?

უდავოა, რომ წამებისა და სამოხელეო დანაშაულის თემატიკის ირგვლივ ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინაში არაერთი პრობლემატიკა გამოიკვეთა, თუმცაღა, მარტო თეორიული ანალიზი საკითხის სიღრმისეული გააზრების საშუალებას არ იძლევა, ამიტომ მნიშვნელოვანად საჭიროა შევეხოთ ქართულ სასამართლოს იმ პრაქტიკასა და მიდგომებს, რაც ნათლად გამოკვეთავს საკითხის აქტუალურობასა და იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას დღეს ქართული სასამართლო პრაქტიკა.

ამ მხრივ, საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება მსჯავდებული ჯ.შ-ს მიმართ,[11] რომლის საქმის მასალებიდანაც დგინდებოდა, რომ მსჯავდებული ჯ.შ იყო ოზურგეთის რ-ის ერთ-ერთი დაბის პოლიციის ქვედანაყოფის უფროსი. ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფდა, რომ 2006 წლის აგვისტოში პოლიციაში მოიყვანეს მოქალაქე ბ.ფ-ი , რომელსაც ბრალად ედებოდა მობილური ტელეფონის, ოქროს ყელსაბამისა და ოქროს ბეჭდის ქურდობა, პოლიციაში მიყვანისას კი მან აღიარა მხოლოდ მობილური ტელეფონის ქურდობის ფაქტი და მიუთითა კიდეც მისი შენახვის ადგილიც.

საქმის მასალებით დადასტურდა რომ ჯ.შ-მ თავის სამუშაო კაბინეტში შეიყვანა ბ.ფ და კანონსაწინააღმდეგო მეთოდებით სცადა ამ უკანასკნელის აღიარებით მიეღო მისთვის სასარგებლო ინფორ-

8 ლეკვეიშვილი მ, მამულაშვილი გ, თოდუა ნ, ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი", წიგნი 2, თბილისი, 2020 წელი, გვ.385.

9 წამება ან წამების მუქარა, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. მოხელის ქმედების კვალიფიკაცია, როცა წამება ან მისი მუქარა გამოყენებულია ჩვენების მიცემის იძულებისთვის, ,,საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევების კრებული", თბილისი, 2015 წელი, გვ 101

10 ლეკვეიშვილი მ, მამულაშილი გ, თოდუა ნ, ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი", წიგნი 1, თბილისი, 2019 წელი, გვ.325

11 *ჯ ე რ ძ ო (supremecourt.ge) უკანასკნელად გადამოწმდა 20/08/2022

მაცია, ამაზე ბ.ფ-მ უარი განაცხადა, რის საპასუხოდაც უარით განაწყენებულმა ჯ.შ-მ გაშლილი ხელის-გულის ქვედა ნაწილი გაარტყა ბ.ფ-ს ქვედა ტუჩზე, რის გამოც ტუჩის შიგნით ლორწოვანი გარსის მხრიდან დაიწყო სისხლდენის პროცესი. გარდა ამისა ძალადობრივი ქმედებები ბ.ფ-ს მიმართ გამოიკვეთა სიგარეტით კისრის არის დამწვრობაში, რის შედეგადაც დაკავებულმა მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება- მომრგვალო ფორმის კანის დეფექტი მარჯვენა წინა მხარსა (ორი) და კისრის უკანა ზედაპირზე (ერთი), ასევე ლორწოვანი ნახეთქი ჭრილობა ტუჩის მარჯვენა შიდა ზედაპირზე.[12]

სასამართლომ შეისწავლა ყველა ის მტკიცებულებები, რაც მოცემულ საქმეში ფიგურირებდა და საბოლოოდ, პოლიციის ეს ქმედება დააკვალიფიცირა არა სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტით, რაც გულისხმობდა ჩვენების მიცემის იძულებას ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმ-რთელობისთვის საშიში ძალადობით, არამედ ამ შემთხევაში სასამართლომ თავისი მსჯელობა მთლიანად დააყრდნო სსკ-ის 144[1] მუხლით გათავლისწინებულ წამების რეგულირების სფეროს და საბოლოოდ ქმედებას მიანიჭა 144[1]-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ», «ზ» ქვეპუნქტებით კვალიფიკაცია და სასჯელის ზომა განსაზღვრა თავისუფლების აღკვეთით 9 წლამდე.

მოცემულ მდგომარეობაში, შეუძლებელია დადებითად შეფასდეს სასამართლოს მიერ ქმედების წამებად კვალიფიკაცის გადაწყვეტილება, იმ ფონზე, როცა საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება აშკარად მიუთითებდა სსკ-ის 335-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამის დამამძიმებელი გარემოების არსებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი მოსამართლის სუბიექტივიზმს ფართო გასაქანს ანიჭებს მუხლის დისპოზიციის ჩამოყალიბების ნაწილში, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სუბიექტივიზმა მთლიანად უნდა შთანთქოს სადამსჯელო პოლიტიკის გადაწყვეტილების საკითხიც. ასეთ დროს სწორედაც, რომ კანონმდებელის პრეროგატივას წარმოადგენს სანქციების დაწესება, ხოლო მოსამართლე კი მხოლოდ კანონის ნების აღმსრულებლად გვევლინება. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კანონში ამ მხრივ საკ-მაოდ დიდი ,,ბზარია'', არასწორია სანქციათა ასეთი განაწილება. მოსამართლე უნდა შეიბოჭოს კანონის ნორმებით და მხოლოდ და მხოლოდ მის ფარგლებში უნდა იმოქმედოს.

დასკვნა

როგორც შედეგებმა ცხადყო, ქართული კანონმდებლობა გარკვეულ ბუნდოვანებებს აწყდება წამებისა და სამოხელეო დანაშაულის ურთიერთგამიჯვნასთან დაკავშირებით არა მარტო დოქტრინაში არამედ პრაქტიკული კუთხითაც. როდესაც საქმე ეხება ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორებიცაა წამება და სამოხელეო დანაშაული, როგორც ჩანს სასამართლო მაინც არასწორად განმარტავს სისხლის სამართლის კოდექსის ამ ორ მუხლს, რაც ქმედების კვალიფიკაციის საკითხს ართულებს და უფრო მეტ დაბნეულობას იწვევს პრაქტიკოს მეცნიერ-იურისტებში, ვინაიდან, ასეთ დროს წყდება ლოგიკური ჯაჭვი დოქტრინალურ და პრაქტიკულ მიდგომებს შორის.

წინამდებარე სტატიის მიზანიც იყო ყველა იმ პრობლემის სააშკარაოზე გამოტანა, რასაც ქართული კანონმდებლობა აწყდება ამ ორი დანაშაულებრივი ქმედებების ანალიზისას. აღნიშნული მიზნის მიღწევა ბევრად გაამარტივა კვლევის სისტემური მეთოდის გამოყენებამ და საბოლოოდ პრობლემების ცალ-ცალკე იდენტიფიცირებამ ხელი შეუწყო მათი გადაჭრის გზების პოვნას.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია, რისი გათვალისწინებაც ფაქ-ტობრივად მოაგვარებდა წამოჭრილ პრობლემას, არის ის, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტი, რაც გულიხმობს მოხელის მიერ ჩვენების, განმარტების ან დასკვნის მიღების იძულებას, სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

თუ კანონმდებელი ზემოაღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებას ამოიღებს 335-ე მუხლის რეგუ-ლირების სფეროდან, ცხადია, უკვე სადავო აღარ იქნება ქმედებათა კვალიფიკაცია, ვინაიდან, მოხელის შემთხვევაში სახეზე გვექნება უკვე წამების მეორე ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარე-მოების შემადგენლობა.

იურიდიულ ლიტერატურაში გაჟღერებული იყო ასევე მოსაზრება, რომ კოდექსიდან საერთოდ ამოღებულიყო 335-ე მუხლი, რაც პოზიტიურად ვერ შეფასდება, ვინაიდან, სსკ-ის 335-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს იძულების ისეთ ხერხებს, რომლებიც არ გვაძლევს არც წამების და არც მისი მუქარის შემადგენლობას, აქედან გამომდიარე, პრობლემის გადაჭრის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია სსკ-ის 335-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტის გაუქმება, რაც ნოყიერ საფუძველს მოუმზადებდა არა მარტო ჯანსაღი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, არამედ თავიდან აგვარიდებდა იურიდიულ დოქტრინაში ამ საკითხთან დაკავშირებულ ბუნდოვანებებსა და გაუგებრობებს.

12 *ჯ ე რ ძ ო (supremecourt.ge) უკანასკნელად გადამოწმდა: 20/08/2022

გამოყენებული ლიტერატურა

- ბესელია. ე. წამების მსხვერპლის უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში: სისხლის-სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები , თბილისი, 2015 წელი;
- ბატონიშვილი დ. სამართლის ინსტიტუტი, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, თბილისი. 2013;
- გვასალია, თ. ,,წამება როგორც დანაშაული და სასჯელი როგორც სახელმწიფოს ლეგიტიმური ზეწო-ლის მექანიზმი'', სამართალი და მსოფლიო, N4, 2016 წელი;
- ლეკვეიშვილი, მ, მამულაშვილი. გ , თოდუა. ნ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, თბი-ლისი, 2019 წელი;
- ლეკვეიშვილი ნ, მამულაშვილი გ, თოდუა ნ , სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 2, თბილისი, 2020 წელი;
- ი. ნადარეიშვიილი. ,, ძალადობრივი სამოხელეო დანაშაულის გამომწვევი ფაქტორები და მათი გამოძიებისას დასადგენი ძირითადი გარემოებები'', სამართალი და მსოფლიო, N13;
- წამება ან წამების მუქარა, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. მოხელის ქმედების კვალიფიკაცია, როცა წამება ან მისი მუქარა გამოყენებულია ჩვენების მიცემის იძულებისთვის, საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევების კრებული, თბილისი, 2015 წელი.

სიცოცხლის დაზღვევის სოციალური და სამართლებრივი ასპექტები

ნინო სოზიაშვილი
თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის
სასამართლოებში წარმომადგენლობის სამმართველოს
მთავარი სპეციალისტი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომი შეეხება სიცოცხლის დაზღვევის სოციალურ და სამართლებრივ ასპექტებს. კვლევის მიზანია გაანალიზოს სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, რომლებიც ვფიქრობთ, რომ მრავლად არის დღეს პრაქტიკაში.

ადამიანის სიცოცხლის ფულადი თანხით შეფასება შეუძლებელია, თუმცა ამის მიუხედავად სიცოცხლის დაზღვევა წარმოადგენს განსაზღვრულ ფულად თანხას, რომელსაც მიიღებენ ასეთი დაზღვევის მფლობელის კმაყოფაზე მყოფი პირები. შესაბამისად სწორედ იმის გამო, რომ დაზღვევის ეს სახე ეხება ისეთ განსაკუთრებულ უფლებას, როგორიც არის სიცოცხლე, ბუნებრივია მას განსაკუთრებული საკანონმდებლო მოწესრიგება და დაცვა სჭირდება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სამოქალაქო სამართალში, თითქოს მოწესრიგებული და ჩამოყალიბებულია სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხები, იმ შემთხვევაში, თუ სიღრმისეულად შევეცდებით მისი არსის გარკვევას, დავინახავთ, რომ არსებობს უამრავი პრობლემური საკითხი, რომლებიც განსაკუთრებით იჩენს თავს პრაქტიკაში. სწორედ ამიტომ ვეცდებით წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენოთ როგორც, ქართული სამართალი, ასევე უცხოური კანონმდებლობა, ასევე ისტორიულ-სამართლებრივი და შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.

ვფიქრობთ განსახილველი საკითხები უდავოდ პრობლემური და აქტუალურია, ხოლო ნაშრომში განხილული პრაქტიკა ამ სფეროში არსებული ხარვეზების გამოსწორების საშუალებას იძლევა, ამიტომაც დასკვნით ნაწილში შეჯამებული იქნება კვლევის შედეგები, ამ კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემები და ამ პრობლემების გადაჭრის ერთგვარი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები:
დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა

Social and Legal Aspects of Life Insurance

Nino Soziashvili
Chief Specialist, Department of Representation in the
Courts of Legal Department of the Ministry of Defence
Doctoral Student of the Department of Law,
Caucasus International University

Abstract

The article discusses social and legal aspects of life insurance. The aim of this study is to analyze problematic issues related to life insurance, which I believe, are abundant in practice today.

Despite the fact that it is impossible to evaluate the human life with monetary amount, however, life insurance suggests a certain amount of money that will be received by those beneficiaries who are dependent on the owner of such insurance. This type of insurance is related to the special right – life. Therefore, it is natural that the issues arising from life insurance should be especially regulated and protected.

Despite the impression that the matters on life insurance seem to be well regulated in Georgian civil legislation, if we try to deeply examine their essence, we would see that many problematic issues are present, that arise especially in practice. Therefore, while writing this paper, I will try to use both Georgian and foreign legislation as well as historical and legal and comparative legal analysis.

I believe that the issues under examination are definitely problematic and critical, and the practice outlined in this paper enables to fill the gaps in this field. Therefore, the conclusive part will summarize the research findings, identified problems and some kind of recommendations to solve these problems.

Keywords:
Insurance, live insurance

შესავალი

სიცოცხლის დაზღვევა სამოქალაქო სამართლის, კერძოდ კი ვალდებულებითი სამართლის განსაკუთრებული ნაწილია, და რა თქმა უნდა მასზე მოქმედებს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნორმებიც.[1] ვალდებულებითი სამართალი კი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველაზე დიდ ნაწილს არეგულირებს, წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ სისტემას ამ ურთიერთობებში.[2]

დაზღვევა სოციალური და სამართლებრივი სისტემის განსაკუთრებული ნაწილია, სადაც ყიდვა-გაყიდვის ობიექტად სადაზღვევო დაცვა გამოდის. ამის შედეგად ფორმირდებიან ფინანსური რეზერვები, რომლებიც, თავს მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლაზე და მის განვითარებაზე. დაზღვევის საფუძველს წარმოადგენს სოლიდარობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს ცალკეული პირის დანაკარგის ანაზღაურებას ურთიერთდახმარებისა და ანგარიშწორების საფუძველზე. [3]

თავისი შინაარსით დაზღვევა ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს მოულოდნელი შემთხვევების შედეგად გამოწვეული მატერიალური ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას. დაზღვევა ამჟამად მსოფლიოში არსებული უამრავი რისკისაგან თავდაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.[4]

სიცოცხლის დაცვა და ხელშეწყობა ქვეყნის წინსვლის უმნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის არა მხოლოდ თითოეული ადამიანის ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას უზრუნველყობს, არამედ მთელი საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობას უქმნის საფუძველს. დაზღვევით სარგებლობის შემთხვევაში პირი თავს გრძნობს დაცულად და აღარ ეშინია მოულოდნელი რისკების ან რაიმე ფინანსური ზარალის.[5]

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარებას ხელს უშლის მზღვევლთა არაკმარისი სახსრების არსებობაც, ამიტომაც ქვეყნის სადაზღვევო კომპანიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ სადაზღვევო რეზერვების ფორმირებას.[6]

I. დაზღვევის წარმოშობა და განვითარება საქართველოში

დაზღვევა ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, რომლის საკანონმდებლო მოწესრიგება მხოლოდ უკანასკნელ წლებში გახდა შესაძლებელი.[7] დაზღვევა კომუნისტების დროსაც არსებობდა, მათ შორის საქართველოშიც, თუმცა ამის შესახებ არავინ არ იცოდა, მოსახლეობამ, მხოლოდ ის იცოდა, რომ ექიმთან ვიზიტი უფასო იყო.[8]

დაზღვევა იმ ფორმით, რა ფორმითაც ის თანამედროვე მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშია მიღებული, საქართველოში ფეხს მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იკიდებს. პირველი სადაზღვევო კომპანია "ალდაგი" 1990 წელს შეიქმნა. პირველი ორგანიზაცია, რომელიც ამ უკანასკნელმა დააზღვია, გაერთიანებული პროფკავშირი იყო (500 მომსახურე)[9]. უკვე ერთი წლის თავზე ამ კომპანიის საწესდებო კაპიტალი 1 მილიონი მანეთით განისაზღვრა, თუმცა კაპიტალის ასეთი ზრდა იმ ფაქტორმა განაპირობა, რომ "ალდაგი" წლების განმავლობაში ერთადერთი სადაზღვევო კომპანია იყო.[10]

II. სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება

ადამიანის სიცოცხლის ფულადი თანხით შეფასება შეუძლებელია, თუმცა ამის მიუხედავად სიცოცხლის დაზღვევა წარმოადგენს განსაზღვრულ ფულად თანხას, რომელსაც მიიღებენ ასეთი დაზღვევის მფლობელის კმაყოფაზე მყოფი პირები, თუ დამზღვევი გარდაიცვლება ან გახდება შეზღუ-

1 თოდუა მ. ჰუუბ ვილემსი, ,, ვალდებულებითი სამართალი". თბილისი, 2006 გვ 4-5.

2 ახვლედიანი ზ. ,,ვალდებულებითი სამართალი", თბილისი, 1999 გვ 7.

3 შალამბერიძე ხ. დაზღვევა ფინანსური ბაზრის სისტემაში, ჟურნალი ,,ბიზნესი და კანონმდებლობა", თბილისი, 2009 გვ 77

4 შალამბერიძე ხ. დაზღვევა ფინანსური ბაზრის სისტემაში, ჟურნალი ,,ბიზნესი და კანონმდებლობა", თბილისი, 2009, გვ 77

5 იქვე, გვ 77.

6 კაკაშვილი ნ. დაზღვევადი და დაუზღვევადი რისკები, ჟურნალი ,,ბიზნესი და კანონმდებლობა", თბილისი, 2009 გვ 35.

7 კაკაშვილი ნ. დაზღვევადი და დაუზღვევადი რისკები, , ჟურნალი ,,ბიზნესი და კანონმდებლობა „ თბილისი, 2009 გვ 35.

8 http://heconomic.wordpress.com/2010/07/12/tengiz-verulava-13/.
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08.15.2022).

9 http://heconomic.wordpress.com/2010/07/12/tengiz-verulava-13/
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08.15.2022).

10 შალამბერიძე ხ. დაზღვევა ფინანსური ბაზრის სისტემაში, ჟურნალი ,,ბიზნესი და კანონმდებლობა", თბილისი, 2009 გვ 78.

დულქმედუნარიანი.[11]

პირს შეუძლია დააზღვიოს მოხუცებულობის ასაკში შესვლა, ანუ ის პერიოდი, როცა მუშაობის უნარი აღარ ექნება და არც სხვა რაიმე შემოსავლის წყარო.

საინტერესოა, რომ განსხვავებით დაზღვევის სხვა სახეებისაგან, სადაც სადაზღვევო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს დაზღვეული ობიექტის სადაზღვევო შეფასებას, სიცოხლის დაზღვევის დროს სადაზღვევო თანხის ფარგლები არ არის შეზღუდული და განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა შეფასებით, თუმცა ეს ბუნებრივიც არის, რადგან ადამიანის სიცოცხლე ხომ შეუფასებელი ღირებულებაა.[12]

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს ორმხრივ და სასყიდლიან ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ერთი მხარის უფლებას შეესაბამება, მეორე მხარის მოვალეობა.[13] სიცოცხლის დაზ-ღვევის ხედლშეკრულებას პირი აფორმებს ბუნების დამანგრეველი ძალების ან სხვა მავნე ფაქტორებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსყოფად.[14]

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს პირის სიცოცხლე, ჯამრთელობა, ასევე უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა, ხოლო ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზ-ღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.[15] ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სიცოცხლის დაზღვევის დროს სადაზღვევო საზღაური შეიძლება გაიცეს ნაწილ-ნაწილ დროის გარკვეულ პერიოდში, რომლითაც უზრუნველყოფილია დამზღვევი. ამი-ტომაა, რომ პირადი დაზღვევის დროს გაცემულ საზღაურს ამავდროულად უწოდებენ სადაზღვევო უზრუნველყოფასაც.[16]

სიცოცხლის დაზღვევა თავის შინაარსის მიხედვით პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ სარისკო ხელშეკრულებებს, ხოლო მეორეს კი დაგროვებითი ხასიათის ხელშეკრულებებს.[17]

განსაკუთრებით საინტერესოა სარისკო ხელშეკრულებები, რადგანაც ამ შემთხვევაში სადაზღვევო საზღაური გაიცემა მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, მაგალითად, სარისკო პირად დაზღვევას მიეკუთვნება უბედური შემთხვევის დაზღვევა. თუ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებით დათქმული გარადაცვალება, სხეულის დაზიანება ან დამზღვევის ჯამრთელობის სხვაგვარი მოშლა დადგება, მზღვეველი მოვალეა გასცეს სადაზღვევო საზღაური, ხოლო თუ უბედური შემთხვევა საერთოდ არ დადგება დაზღვევის პერიოდში, მაშინ მზღვეველი არ არის ვალდებული გასცეს სადაზღვევო საზ-ღაური, ხოლო დაგროვებითი ხასიათის დაზღვევის დროს მზღვეველი ყოველთვის მოვალეა გასცეს საზღაური, იმ შემთხვევაშიც თუ სადაზღვევო შემთხვევა არ დადგება პირადი დაგროვებითი ხასიათის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.[18]

III. სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადება

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზღვევის ხელ-შეკრულების დადების მომენტის სწორად განსაზღვრა, რადგანაც ამ მომენტთან არის დაკავშირებული სადაზღვევო კომპანიის მოვალეობის წარმოშობა კლიენტის წინაშე-სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გასცეს სადაზღვევო საზღაური.[19]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 806-ე მუხლის თანახმად: დაზღვევა იწყება ხელშეკრულების დადების დღის ოცდაოთხ საათზე და მთავრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის ოცდაოთხ საათზე.[20]

საინტერესოა ასევე, რომ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი იმის შესახებ, რომ დაზღვევის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა, ვინაიდან იგი ძალაშია არა დადებისთნავე (მხარეთა შეთანხმებისთანავე) არამედ, მხოლოდ სადაზღვევო პრემიის შეტანის მომენტიდან,[21] ამდენად

---

11 ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, გამომცემლობა ,,სამართალი", 2001წ; გვ 109.

12 ,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, გამომცემლობა ,,სამართალი", 2001წ; გვ 109.

13 ჭეჭელაშვილი ზ. ,,სახელშეკრულებო სამართალი", თბილისი, 1999 გვ 15.

14 ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, გამომცემლობა ,,სამართლი", 2001წ; გვ 106.

15 ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, გამომცემლობა ,,სამართლი", 2001წ; გვ. 107.

16 იქვე, გვ107.

17 იქვე, გვ 109.

18 იქვე, გვ 178.

19 სოზიაშვილი ნ. თემატური სემინარი, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, ,,სოციალური და სამართლებრივი ასექტები სადაზღვევო სამართალში", თბილისი, 2020

20 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997(01.06.2021 წლის მდგომარეობით).

21 ცისკაძე მ. ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, გამცემლობა ,,მერიდიანი", 2001 გვ 27.

806-ე მუხლი ასევე წინააღმდეგობაში მოდის ზემოხსენებულ წესთან, რომლის მიხედვითაც დაზღვევა დაწყებულად ითვლება მხოლოდ პირველადი სადაზღვევო შესატანის შეტანის შემდეგ.

სხვაგვარი ვითარებაა გერმანულ სამართალში, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს დაზვევის დაწყების სამ ეტაპს: „დაზღვევის ფორმალური" დასაწყისი, რომელიც ემთხვევა მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადებას, როდესაც დაზღვევა დაწყებულად ითვლება, როცა მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან[22], ასევე „დაზღვევის ტექნიკური" დასაწყისი, რომლითაც ხელშეკრულება დადებულად მიიჩნევა ფორმულარში ან პოლისში მითითებული თარიღიდან და ასევე „დაზღვევის მატერიალური" დასაწყისი, რომლის მიხედვითც ხელშეკრულება დადებულად ითველება დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის მომენტიდან.[23]

IV. სიცოცხლის დაზღვევა და მისი სახეები ამერიკის შეერთებულ შტატებში

სიცოცხლის დაზღვევა ამ მხრივ, ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიცაა ა.შ.შ. მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რადგან აღნიშნულ ქვეყანაში სიცოცხლის დაზღვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, სხვა დანარჩენ სამართლებრივად მაღალგანვითრებულ ქვეყნებთან შედარებითაც კი, რადგან ამ ქვეყანაში არსებობაც კი წარმოაუდგენელია თუ კი არ ხარ დაზღვეული.[24]

ზემოხსენებულ ქვეყანაში სიცოცხლის დაზღვევა შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად; მუდმივ და დროებით სიცოცხლის დაზღვევად ან კიდევ შემდეგ ქვეჯგუფებად; დროებითი, უნივერსალური, მთელი სიცოცხლით, სიცოცხლის ცვალებადი უნივერსალური და შენატანების დაზღვევად.[25]

განსაკუთრებით საინტერესოა საკითხი იმის შესახებ თუ როგორ ხდება ზოგადად სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადება მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ პირი დღეში რამდენიმე ღერს ან ნახევარ კოლოფს ეწევა ის მწეველად ითვლება და შესაძლოა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება საერთოდ ვერ გააფორმონ კომპანიასთან, მათ კითხვებს უნდა უპასუხოს სრულად და კეთილსინდისიერად[26]. სიცოცხლის დაზღვევის განაცხადის შევსების პროცესში პირს შეიძლება მოსთხოვონ სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დასაზუსტებლად.

თუ განაცხადში პირი თავს არამწეველად წარმოადგენს, ხოლო ანალიზის შედეგად აღმოჩნდება რომ ის მწეველია, კომპანიას შეუძლია გაზარდოს სადაზღვევო ტარიფი ან საერთოდ არ გასცეს პოლისი.[27]

საინტერესოა ისიც, რომ ა.შ.შ-ში სადაზღვევო კომპანიები მანამ სანამ დადებენ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებას, ისინი თანამშრომლობენ სამედიცინო საინფორმაციო ბიუროებთან, რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციულ ცენტრებს იმ ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებმაც მიმართეს სიცოცხლის დაზღვევისათვის თანამონაწილე კომპანიებს. მზღვეველი იღებს ასევე უფლებას რომ მოიძიოს ინფორმაცია დაზღვეულის ექიმისაგან,[28] ზოგიერთმა ადამიანმა კი თავისი ჯამრთელობის მდგომარეობისა და ცხოვრების სტილის გამო შეიძლება ვერც კი მიიღოს დაზღვევა.[29]

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები, რომლებსაც ადგილი აქვს სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში.

პირველ რიგში ეს არის სადაზღვევო კანონმდებლობა, რომელიც არ არის საკმარისად ჩამოყალიბებული და გამართული. „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონი და სამოქალაქო კოდექსი ვეღარ პასუხობენ თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებს სადაზღვევო სფეროში. ზემოთ აღნიშნული ქართული კანონმდებლობა მხოლოდ ზოგადი განმარტებებით შემოიფარგლება, რაც თავისებურ ასახვას პოულობს სასამართლო პრაქტიკაზეც. საკანონმდებლო ვაკუუმი ხელს უშლის აღნიშნული დარგის პროცესუალურ განვითრებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყლიბებას, რაც ასე მნიშვნელოვანია ამ და-

22 http://heconomic.wordpress.com/2010/07/12/tengiz-verulava-13/
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08.15.2022

23 http://elawjournal.wordpress.com/2012/02/05/დაზღვევის-ინსტიტუტის-წა/
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.08.2022).

24 http://www.usa.gov/Citizen/Topics/Health/HealthInsurance.shtml
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.08.2022)

25 http://www.usa.gov/Citizen/Topics/Health/HealthInsurance.shtml
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.08.2022)

26 http://www.insurance.com/life-insurance/life-insurance-basics.aspx
(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა06.27.2013

27 http://www.usa.gov/Citizen/Topics/Health/HealthInsurance.shtml
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.08.2022).

28 http://www.insurance.com/life-insurance/read-and-learn.aspx
(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 15.08.2022).

29 http://www.usa.gov/Citizen/Topics/Health/HealthInsurance.shtml
(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.08.2022).

რგის განვითარებისათვის. ამის მიზეზი კი თავის მხრივ ისიც არის, რომ დამზღვევს მისი ფინანსური მდგომარეობის გამო ეშინია კიდევ უფრო არ დააწვეს ტვირთად სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ასევე გაჭიანურებული სასამართლო პროცესები, რომლებიც მის დავას სამართლებრივ ინტერესს უკარგავენ. ამ პრობლემის დასაძლევად, ვფიქრობ კარგი გამოსავალი იქნება სპეციალური სადაზღვევო ზედამხედველობის სამსახურის მეტად განვითარება და საზოგადოებისათვის ახლოს მიტანა და გაცნობა, ასევე მედიაციის სამსახურის მეტად განვითარება, რომელიც სულ ახალი ჩამოყალიბებულია საქართველოში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოში მოქმედ სადაზღვევო კომპანიებს თუ გადავხედავთ, სიცოცხლის დაზღვევა მათთვის დაბალი სარგებლის მომტანია. ამიტომაც მიმაჩნია, რომ აღნიშნულმა კომპანიებმა ეს პროდუქტი უნდა გახადონ უფრო მიმზიდველი მომხმარებლებისათვის, მოიზიდონ ინვესტიციები მასში, რათა უფრო საიმედო გახდეს მოსახლეობისათვის და მეტი მომხმარებელი ყავდეს.

ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ისედაც მცირე რაოდენობის სამართლებრივ ნორმებში ძირითადად დაცულია სადაზღვევო კომპანიების (მზღვეველის) უფლებები, რომლებიც არახელსაყრელ და განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს დაზღვეულ პირებს. დაზღვევის ხელშეკრულება, როგორც წესი, მზადდება სადაზღვევო კომპანიის მიერ, რომელიც გაჯერებულია სტანდარტული პირობებით, მორგებულია მზღვეველის ინტერესებზე, რომელშიც დამზღვევს არ შეუძლია საკუთარი უფლებების დაფიქსირება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ აღნიშნული დარგი აუცილებლად მოითხოვს კანონმდებლის მხრიდან გადახედვას და დახვეწას.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995 (2012 წლის მდგომარეობით);
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997 (2021 წლის მდგომარეობით);
- საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, თბილისი, საქართველოს პარლამენტი 1997 (2022 წლის მდგომარეობით);
- მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე ტომი II თბილისი, 2001წ;
- ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999 წ;
- ცისკაძე მ. ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2001წ;
- ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 1999წ;
- თოდუა მ. ჰუუბ ვილემსი. ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2006წ;
- შალამბერიძე ხ. დაზღვევა ფინანსური ბაზრის სისტემაში, თბილისი, ჟურნალი ,, ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009წ;
- სოზიაშვილი ნ. თემატური სემინარი, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, ,,სოციალური და სამართლებრივი ასექტები სადაზღვევო სამართალში“, თბილისი, 2020;
- კაკაშვილი ნ. დაზღვევადი და დაუზღვევადი რისკები, თბილისი, ჟურნალი ,,ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009წ;
- Lowry, J. Rawlings, P, Insurance Law; doctrines and principles, hurt publishing, Oxford and Portland oregon, 1999.

ინტერნეტ რესურსები:

- http://www.insurance.com/life-insurance/life-insurance-basics.aspx;
- (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.08.2022);
- http://heconomic.wordpress.com/2010/07/12/tengiz-verulava-13/;
- (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.08.202);
- http://elawjournal.wordpress.com/2012/02/05/დაზღვევის-ინსტიტუტის-წა/;
- (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.08.2022);
- http://www.businessinsurance.com (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.25.2013);
- http://www.usa.gov/Citizen/Topics/Health/HealthInsurance.shtml (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.08.2022);
- http://www.legaleducation.ge(უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.08.2022).

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge
ტელეფონი: +995 32 2 30 52 85
ტელეფონი: +995 5 77 19 92 05
ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge
ტირაჟი: 40

ISSN 2587-4837